

ეროვნული ბიბლიოთეკა

619
1969

# დროშა

№ 4 აპრილი 1969

# წითელი დროშა



ფოტო თ. არჩვაძისა.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დარბაზში გამოფენილია აბრეშუმის წითელი დროშა, რომელზედაც წარწერილია:

„ქართველი ბოლშევიკები მუდამ და ყოველთვის, — როგორც შავბნელი რეაქციის ხანაში, ისე სარევოლუციო ზეიმის დროს, როგორც დამარცხების, ისე გამარჯვების დღეებში — ერთგული მიმდევრები იყვნენ ლენინის, იშვიათი ამხანაგის, დიდი მასწავლებლისა და ბელადის.

ლენინი აღარა გვყავს, — მით უფრო მტკიცედ, შეურყევლად და ერთსულოვნად განვაგრძობთ ლენინიზმის საქმეს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

საბჭოთა კავშირის საბჭოების მეორე ყრილობის დელეგატები საქართველოდან“.

ამ დროშას აქვს თავისი ისტორია. 1924 წლის იანვარში, როცა ლენინი გარდაიცვალა, მიმდინარეობდა სსრ კავშირის საბჭოების მეორე ყრილობა. ამ ყრილობაზე საქართველოდან წარგზავნილ დელეგაციაში შედიოდნენ: სერგო ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, ვანო სტურუა, ბესო ლომინაძე, მიხა კახიანი, შალვა ელიავა, სამსონ მამულია, საშა გეგეჭკორი, ბუდუ მდივანი, შამშე ლეჟავა და სხვები. სულ ოცი კაცი. სწორედ მათ, ქართველი ხალხის წარგზავნილებმა გადასცეს ეს დროშა ლენინის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, როგორც სიმბოლო ქართველი ხალხის სამარადისო ერთგულებისა დიდი მასწავლებლისა და ბელადის — მარად ცოცხალი ილიჩის იდეებისადმი, მისი საქმისადმი.

ქართველი ხალხი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მტკიცედ იცავს ბელადისათვის მიცემულ ფიცს — შეურყევლად და ერთსულოვნად განაგრძობს ლენინიზმის გზით სიარულს კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ.

ანტონ კელენჯერიძე

საქ. კ პ ც კ გამომცემლობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 4 (389) აპრილი, 1969 წ.

გამოცემის წელი 47-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა მჭედლიშვილი

## გაზაფხული და ლენინის სახლი

ცხრა მთა, ცხრა ბარი გადმოვვლე მისთვის,
ჯერ არნახული მზე რომ მეხილა!
აქ ჯერ ართქმული სიმღერა მიცდის,
აქ უკვდავება შემომესხივა.

აი ეს სახლიც... სახლი პატარა,
რიურაჟის შუქად გამოწვდილ ხელით,
ჩემი ბავშვობის ტკბილი ნატვრაა,
ნატვრაა მწველი და წრფელზე წრფელი!

შემომეგებება აქ გაზაფხული,
ამ პაწია და საყვარელ სახლთან,
მზის შუქით ცისფერ ფრთებდახატული,
და ჰა, ბავშვობის ოცნებაც ახდა!

მე ვნახე, ვნახე დღეს ეს კედლები
ნაოცნებარი ჩემს სიყრმის წლებში...
და გაზაფხულის ფრთოსანს ვედრები,
ლაღი ყივილით გაფრენილს მთებში.

გარს გაზაფხულის ჰქუხან ქარები
და პირველ წვიმის სიმები ჰქუხან,
და მე მგონია, თვით უკვდავების,
თვით უკვდავების ვიგრძენი სულთქმა!

## ულიანოვსკის ქუჩებში ღამით

მალე გარემოს მიეძინება
და მე ლექსებით ვათენებ თეთრად...
და სადღაც ვოლგა მიედინება,
ყინვის არტახებს რისხვით რომ ფლეთავს.

მობორგავს ვოლგა, შუქში და ჯანღში,
ხმალამოწვდილი მობორგავს ვოლგა,
ნაწრთობი შფოთში, ნაწრთობი ჯანყში,
მძლეთამძლე, როგორც ბურლაკთა მოდგმა.

უკვე აენთნენ ლამპიონები,
მე იმ კაშკაშა ლამპიონს ვუმზერ,
განმარტოებით რომ კრთის და ტოკავს,
შუქის შარავანდს ქარი რომ ურწევს.

და მაგონდება მე ის კოცონი
და მიხმობს მე ის შუქი ალერსით,
ნაზად რომ ენთო, როგორც ოცნება
და ბრძენთა შორის უდიადესი —
ჩაფიქრებული მის პირად იჯდა,
სადღაც ფინეთის ყურეში ერთ დროს,
ცეცხლი, რომელიც წმიდათაწმიდა
დიდი ხანძრების მორბედად ენთო.

ხსოვნავ, მზესავით სულში ჩამრჩები
და უფრო მეტად იბრწყინებ ხვალე,
მხარევ ლეგენდის და გამარჯვების,
დიდი ლენინის ბავშვობის მხარევ!



ალექსანდრე ჭაბაჭაძე

## ფიქრები ლენინზე

რაც თავი გვახსოვს, შენს სახელს ვამბობთ,
შენს ხმას, მქუხარეს, ისმენს მსოფლიო,
ყველაზე მართალ, ყველაზე სანდო,
ყველაზე კაცურ კაცად ცნობილო!
ფეხაწყობილნი მოგყვებით ისევ
წვიმაში, ქარში, ავდარში, დარში,
თავაწეულნი მივდივართ მზისკენ
ცხრაას ჩვიდმეტში შობილი მარშით.

. . .

მძიმე დღეებიც ვიხილეთ ბევრი,
შენი სიმწვანე ვერვინ გარუჯა,
ჩვენი ძლიერი კუნთი და ნერვი
რას არ მოესწრო, რას არ გადურჩა!
სამშობლოსათვის თავებს ვწირავდით,
არ დაგვცდენია: გვიშველე, ღმერთო!
საკუთარ სურვილს სულში ვძირავდით
და თვალში მხოლოდ მამული გვენთო.
კომკავშირელი ბიჭების ქუხილს
კონტინენტებზე არწევდა ქარი,
არ მოგვიყრია მტრების წინ მუხლი
და არასოდეს არ გვცვლია მხარი.

. . .

მოსკოვში, ალბათ, ლამაზად ბარდნის,
ისე ლამაზად, ისე გულწრფელად.
თითქოს ზეციდან თოვლისფერ ვარდებს
ქალაქს ვიღაცა აბნევს ფურცლებად.
ამ ქალაქს თოვლი ისე ამშვენებს,
უთოვლოდ თითქოს რაღაც აკლდება
და მავზოლეუმს, მაგ შენს აკლდამას,
ეს მშვიდი ბარდნა შვენის ასევე.
წითელ მოედანს, შემოსილს თეთრად,
ხვალ ჩემი ტოლიც გადასჭრის, ალბათ,
ის ქუდმოხდილი შემოვა შენთან
და მიგიყვება კოსმოსის ამბავს.

. . .

რაც თავი გვახსოვს, შენს სახელს ვისმენთ,
გადაჩვეულნი ცრემლსა და ტირილს
და არავისი არა გვწამს ისე,
როგორც მაგ შენი ბუმბერაზ ტვინის.
ფეხაწყობილნი მოგყვებით ისევ
წვიმაში, ქარში, ავდარში, დარში.
თავაწეულნი მივდივართ მზისკენ
ცხრაას ჩვიდმეტში ატყორცნილ მარშით.

10.925

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# „მე მინდა დღეს გესაუბროთ"

ეროვნული ბიბლიოთეკა

1920 წელი, 2 ოქტომბერი... არსებობს მრავალი მოგონება, რომლებშიც მოთხრობილია, თუ რამდენ განუზომელი შთაბეჭდილება მოახდინა ლენინის გამოსვლამ იმ ახალგაზრდობაზე, რომელიც კომკავშირის მესამე ყრილობას ესწრებოდა. ბევრ მათგანს ჯარისკაცის მაზარა ეცვა, ფრონტებიდან იყვნენ ჩამოსულნი, ბევრნი მოსულნი იყვნენ ფაბრიკა-ქარხნებიდან, სადაც იჭედებოდა იარაღი მტერზე გამარჯვებისათვის. აქ იყვნენ სოფლის ახალგაზრდობის რჩეულნი, იყვნენ ინტელიგენციის, სტუდენტობის წრეებიდან, და ყოველი დელეგატი, ყოველი დამსწრე მოუთმენლად ელოდა საყვარელი ბელადის გამოჩენას ტრიბუნაზე.

„მე მინდა დღეს გესაუბროთ თემაზე, თუ როგორია კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ძირითადი ამოცანები", ასე დაიწყო ლენინმა თავისი სიტყვა და ამ სიტყვამ ჭეშმარიტად ისტორიული როლი შეასრულა არა მარტო ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, არამედ მან, იმავე დროს, გზა გაუკვლია მთელ საბჭოთა კულტურას, ახალი კომუნისტური მორალის დადგინებას, ახალი სოციალისტური ყოფის წარმოქმნას, მთლიანად, ახალი კომუნისტური სამყაროს მშენებლობას.

ახალგაზრდობას — ქვეყნის იმედსა და მომავალს, ლენინმა ასეთი ამოცანა დაუსახა:

„ძველი დანგრეულია ისე, როგორც საჭირო იყო მისი დანგრევა; ის წარმოადგენს ნანგრევებს ისე, როგორც საჭირო იყო მისი ნანგრევებად ქცევა. ნიადაგი გაწმენდილია, და ამ ნიადაგზე ახალგაზრდა კომუნისტურმა თაობამ უნდა აშენოს კომუნისტური საზოგადოება".

კომუნიზმი რომ ავაშენოთ, — აღნიშნავდა ლენინი, — საჭიროა ისწავლოთ კომუნიზმი, მაგრამ კომუნიზმის სწავლა არ ნიშნავს ცოდნათა იმ ჯამის შეთვისებას, რაც გადმოცემულია კომუნისტურ სახელმძღვანელოებში, ბროშურებსა და შრომებში, „კომუნიზმის შესწავლის ასეთი განსაზღვრა მეტად უხეში და არასაკმარისი იქნებოდა".

იმის ნიმუშად თუ როგორ უნდა ისწავლოს ახალგაზრდობამ კომუნიზმი, ვ. ი. ლენინი მარქსზე მიუთითებდა, რომლის მოძღვრება ემყარებოდა კაპიტალიზმის დროს მოპოვებული კაცობრიული ცოდნის მტკიცე საძირკველს.

„კომუნისტი, — ამბობდა ლენინი, — მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია".

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ცოდნა გათიშული იყო ცხოვრებისაგან, ეს ბოროტება იყო. ჩვენ არ შეიძლება ამ გზით წავიდეთ, კომუნიზმის ცოდნა ჩვენ აუცილებლად მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ ცხოვრების სინამდვილეს.

„კომუნისტმა, — ამბობდა ლენინი, — რომ განიზრახოს კომუნიზმით ტრაბახი მზამზარეულად მიღებული დასკვნების საფუძველზე, უაღრესად სერიოზული, ძნელი და დიდი მუშაობის გაუწევლად, იმ ფაქტებში გაურკვევლად, რომელთაც ის ვალდებულია კრიტიკულად მოეპყრას, — ასეთი კომუნისტი მეტად შესაბრალისი იქნებოდა. და ასეთი ზერელობა პირდაპირ დამღუპველი იქნებოდა. თუ მე ვიცი, რომ ცოტა ვიცი, მაშინ მივაღწევ იმას, რომ მეტი ვიცოდე, მაგრამ თუ ადამიანი დაიწყებს ლაპარაკს, მე კომუნისტი ვარ და ჩემთვის არც არის საჭირო რაიმე მტკიცედ ვიცოდეო, მისგან კომუნისტის მსგავსი არა გამ..ვა რა".

„მივაღწევ იმას, რომ მეტი ვიცოდე" — ეს სიტყვები თავის უწმინდეს აღთქმად აქცია ყოველმა ახალგაზრდამ, და აი, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობამ მართლაც მიაღწია ცოდნის ყველაზე მაღალ მწვერვალებს. და თუ დღეს საბჭოთა კულტურა მოწინავეა მთელ მსოფლიოში, თუ ჩვენი მრეწველობა იმდენად ძლევამოსილი გახდა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს უზრუნველყო სახელოვანი საბჭოთა არმია უბრწყინვალესი ტექნიკით, რომელმაც დაამარცხა ფაშისტური გერმანიის ტექნიკა, ისე, როგორც ჩვენმა ჯარისკაცმა დაამარცხა მტრის ჯარისკაცი, თუ ჩვენი ქვეყანა მაღალკულტურული მიწათმოქმედების ქვეყნად იქცა, თუ ჩვენმა ადამიანებმა პირველებმა გაკაფეს გზა კოსმოსისაკენ — ყველაფერი ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ, ჩვენმა ხალხმა, აღზრდილმა ლენინის პარტიის მიერ, ისე დაიწყო სწავლა, ისე დაეუფლა საკაცობრიო კულტურას, როგორც ლენინი მოუწოდებდა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი თავის სიტყვაში ვრცლად შეჩერდა ახალგაზრდობის მორალურ აღზრდაზე და თქვა: „საჭიროა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას". იქვე ლენინმა ამომწურავად განმარტა, თუ როგორია ბურჟუაზიული საზოგადოების მორალი:

„ან შენ ძარცვავ სხვას, ან სხვა გძარცვავს შენ, ან შენ მუშაობ სხვისთვის, ან სხვა მუშაობს შენთვის, ან მონათმფლობელი ხარ, ან მონა და გასაგებია, რომ ასეთ საზოგადოებაში აღზრდილი ადამიანები, შეიძლება ითქვას, დედის რძესთან ერთად ითვისებენ ფსიქოლოგიას, ჩვეულებას, ცნებას — ან მონათმფლობელი, ან მონა, ან წვრილი მესაკუთრე... ერთი სიტყვით, ადამიანი, რომელიც მარტო იმაზე ზრუნავს, რომ თავისი ჰქონდეს, სხვისი ჭავრი კი არა აქვს".

ბურჟუაზიული საზოგადოების ამ ეგოიზმს ლენინმა დაუპირისპირა მაღალი და კეთილშობილური ჰუმანიზმი, და ეს ჩათვალა აღზრდის, განათლებისა და სწავლების საფუძველთა საფუძვლად.

აი, ასე აღიზარდა ახალი საბჭოთა ადამიანი, რომელიც გამსჭვალულია სამშობლოსადმი, ადამიანისადმი, მოძმისადმი, საკაცობრიო იდეალებისადმი ულრმესი სიყვარულით.

ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა ახალგაზრდობას, ყოფილიყო მუდამ აქტიური საზოგადოებრივი შრომის სარბიელზე. შრომისადმი სიყვარული კომუნისტური ზნეობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია და მას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ ადამიანის ზნეობრივი აღზრდისათვის. „კომუნისტურ ზნეობას საფუძვლად უდევს ბრძოლა კომუნიზმის განმტკიცებისა და დამთავრებისათვის".

„მე მინდა დღეს გესაუბროთ" — ასე დაიწყო ლენინმა თავისი სიტყვა კომკავშირის მესამე ყრილობაზე; და მუდამ ცოცხალი ილიჩი ასე ესაუბრება ჩვენი ახალგაზრდობის ყველა თაობას, ასე ესაუბრება ის დღევანდელ თაობასაც, მისი აზრი აბრწყინებს ჩვენი წინსვლის გზას.

კომუნიზმი — ეს არის ლენინის აზრი, რომელსაც ხორცი შეუსხამს; ჩვენს უზარმაზარ სამშობლოში, საითაც უნდა გაიხედოთ, ყველგან ნათლად დაინახავთ, როგორ იქცა სინამდვილედ ლენინის წინასწარდასახულობანი და სწორედ ამან განაპირობა საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვებანი.

ვლ. გოგიბერიძე

# დიდი ფოტო-ლენინიანა

1917 წელს და 1918 წლის დასაწყისში ლენინს სახით ყველა როდი იცნობდა. ნ. კ. კრუპსკაია თავის ერთ მოგონებაში აღნიშნავს, რომ როცა ისინი საღამოობით ჩვეულებისამებრ გამოდიოდნენ სმოლნიდან, გამვლელნი თითქმის ვერასოდეს ვერ ცნობდნენ ილიჩს, რადგან მაშინ მისი პორტრეტები ფართოდ გავრცელებული არ იყო.

1918 წლის 31 იანვარს ფოტოპორტრეტისტმა მ. ს. ნაპელბაუმმა გადაიღო ლენინის ფოტო, რომელსაც ლენინისავე ხელით წარწერილი აქვს თარიღი და შემდეგი სიტყვები: „დიდი მადლობელი ვარ ამხანაგ ნაპელბაუმისა. ლენინი". ეს სურათი ფართოდ გახდა ცნობილი, იგი მაშინვე ასეულათასობით ეგზემპლარად დაიბეჭდა.

1934 წელს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო ასეთი დადგენილება: „ვ. ი. ლენინის ყველა ხელნაწერი, წერილი, ჩანაწერი, აგრეთვე მისი ფოტოგრაფიების ორიგინალები და სხვა მასალები, სადაც არ უნდა იყოს ისინი, თავმოყრილ იქნეს ვ. ი. ლენინის ინსტიტუტში". ასე ჩაეყარა საფუძველი დიდ დოკუმენტურ ლენინიანას.

მას შემდეგ ოცდათხუთმეტმა წელმა გაიარა. ამჟამად სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში დაცულია 30 ათასი დოკუმენტი, კინოფოტოდოკუმენტების სექციაში აღრიცხულია 432 ფოტოსურათი და 874,5 მეტრი კინოფირი (22 გადაღება), 11 ლითონის დისკო ილიჩის 10 სიტყვის ჩანაწერებით. ისევე, როგორც შეისწავლება ლენინის უძვირფასესი მემკვიდრეობის თითოეული სტრიქონი, ასევე თითოეული ფოტოსურათი იქცევა გულმოდგინე გამოკვლევის საგნად.

რა არის ფოტოგრაფიული ლენინიანა, რა სიძნელეებს აწყდებიან მკვლევარები, როცა მაგიდაზე დაიდება ლენინის კიდევ ერთი, ადრე უცნობი ფოტოსურათი, რომელზეც აღნიშნული არ არის გადაღების არც წელი, არც ადგილი, არც ფოტოგრაფის ვინაობა — ამის შესახებ გვიამბობს ლ. ვოლკოვ-ლანიტის წიგნი „ვ. ი. ლენინი ფოტოხელოვნებაში", რომელსაც საიუბილეო წლისათვის გამოაქვეყნებს გამომცემლობა „ისკუსტვო". ავტორი გვაცნობს ლენინის უკვდავი სახის ალმბეჭდავი მრავალი ისტორიული ფოტოსურათის წარმოქმნის ამბავს. ეს არის გამოკვლევა წამყვანი ოსტატების დიდი კოლექტივის მუშაობის შესახებ, იმ ფოტომოყვარულთა შესახებ, რომლებსაც წილად ხვდათ ბედნიერება შეხვედროდნენ დიდ ლენინს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აქ ცხოვრობდა ლენინი

ეს სიტყვები წარწერილია არაერთ სახლზე გაკრულ მემორიალურ დაფაზე. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდ დამაარსებელს, ბრძენ ბელადს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს, თავისი რევოლუციური ბრძოლისა და მოღვაწეობის მთელ მანძილზე, მრავალ ქალაქსა თუ დასახლებულ პუნქტში მოუხდა ცხოვრება.

ფსკოვი. სახლი, სადაც ცხოვრობდა ლენინი.



ამ ქალაქებისა თუ დასახლებული პუნქტების სახელები, იმ ქუჩების სახელები, სადაც ლენინი ცხოვრობდა, სამუდამოდ შევიდა ჩვენი ხალხის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, ჩვენი პარტიის ისტორიაში.

**1900** წლის **10** თებერვალს ლენინს გაუთავდა გადასახლების ვადა; ნ. კ. კრუპსკაიასთან ერთად იგი, სოფელ შუშენსკოედან მიემგზავრება ევროპის რუსეთში. ვინაიდან დედაქალაქებსა და საუნივერსიტეტო ქალაქებში ცხოვრება აკრძალული ჰქონდა, ლენინმა საცხოვრებელ ადგილად აირჩია ფსკოვი — ქალაქი, რომელიც ყველაზე უფრო მოხერხებული იყო პეტერბურგთან კავშირურთიერთობის დასამყარებლად.

ციმბირიდან წამოსული ლენინი ჯერ უფაში ჩერდება, შემდეგ მოსკოვშია, შემდეგ — პეტერბურგში, ხოლო **10** მარტს ჩადის ფსკოვში.

ფსკოვიდან ლენინმა კავშირი დაამყარა თავის თანამებრძოლებთან რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში; ეს იყო დრო, როცა ლენინი ამზადებდა პირობებს „ისკრის“ დაარსებისათვის; აქ, ფსკოვში დაწერა მან განცხადების პროექტი საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის — „ისკრისა“ და მეცნიერულ-პოლიტიკური ჟურნალის „ზარიას“ პროგრამისა და ამოცანების შესახებ.

მნახველები დიდი ინტერესით ათვალიერებენ ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმს, რომელიც მდებარეობს მდინარე ფსკოვის ნაპირზე, პატარა შესახვევის ბოლოს, რომელსაც „ისკრის“ შესახვევი ეწოდება.

ჩვენ გადავიღეთ ფსკოვის ის ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია ლენინის მოღვაწეობასთან.

ტექსტი და ფოტო
ი. მალალაშვილისა.

ფსკოვი. მემორიალური დაფა სახლზე, სადაც ცხოვრობდა ლენინი.



მ. კორნეევი

# დაუვიწყარი დღე

1.

ზამთარია. კრემლის კედელთან, ქვის საფეხურებიან ტრიბუნებზე ქარს ხორხოშელა თოვლი მოუყრია. ზამთარია, მაგრამ მაინც არ წყდება ადამიანთა ნაკადი ლენინის მავზოლეუმთან, განუწყვეტლივ მოედინება ხალხი კარებისაკენ, რომელთანაც დღისით და ღამით დგანან საპატიო ყარაულის გუშაგები.

ადამიანები სიყვარულით ავლებენ თვალს კრემლის ძველ კედლებს, კოშკებზე მოელვარე ვარსკვლავებს, დათოვლილ ნაძვებს...

ზამთრის ცა ცივი და გამჭვირვალეა, ჰაერში კი უკვე გაზაფხულის სუნი ტრიალებს.

იმ დღეს, წითელ მოედანზე ერთი მეტად საინტერესო კაცი გავიცანი.

— ხელობით მეშუშე ვარ, — მითხრა მან, — იმ მწუხარე წელს, როცა ჩვენგან ილიჩი წავიდა, ქარხანაში დავალება მივიღეთ: მავზოლეუმისათვის სარკოფაგი უნდა დაგვემზადებინა. და ჩვენ, მუშებმა, გადავწყვიტეთ, ეს სინათლე, სისპეტაკე და გამჭვირვალება მიგვეცა ბროლისთვის, ვლადიმერ ილიჩთან შეხვედრისას რომ ისადგურებდა ხოლმე ადამიანის სულში. აი, შევალთ და ყურადღება მიაქციეთ სარკოფაგის ბროლს! მაგრამ ყველაფერი რომ ნათელი იყოს, მინდა ერთი ძველი ამბავიც მოგითხროთ.

2.

...ეს ამბავი სამოქალაქ ა ომის წლებში მოხდა. მე-4 არმიის შტაბი მაშინ ხამარაში იდგა. მე ურალსკში ვიყავი. იმ ხანებში შტაბის ბრძანებით საჩქაროდ გამომიძახეს სამარაში; რისთვის მიძახდნენ, არ ვიცოდი.

შტაბის მისაღებში იჯდა სარდლის ადიუტანტი, ის ჩემი ძველი ნაცნობი აღმოჩნდა.

— ა, ძვირფასო! — მომეგება ადიუტანტი, — რას ჰგავხარ, კაცო, გაზუნზლული, პირგაუპარსავი!

ვუთხარი, რომ დიდი ხნის ნამგზავრს, აქეთაც სასწრაფოდ მომიხდა წამოსვლა. მერე დავუმატე, მიხეილ ვასილის ძესთან ვარ გამოძახებული-მეთქი.

— კარგი, დაჯექი, სარდალი საცაა მოვა!

კუთხეში მივჯექი და მგზავრობით დაღლილს ხკამზე ჩამომეძინა. უცებ მომესმა:

— სარდალი გიხმობთ!

შევედი კაბინეტში. ოთახი ფართო და ნათელი იყო. კედლებზე ეკიდა დიდი გეოგრაფიული რუკები, აჭრელებული ლურჯი და წითელი ალმებით, რომლებიც ფრონტის ხაზს აღნიშნავდნენ. საწერ მაგიდას ფრუნზე უჯდა. მის გვერდით უცნობი მამაკაცი იდგა, მაღალი, ახოვანი, ხშირთმიანი; ტყავის ჯუბა და ტყავის შარვალი ეცვა. როგორც მერე გავიგეთ, იგი ვალერიან კუიბიშევი იყო.

მე სამწყობრო ნაბიჯით მივუახლოვდი და მოვახსენე:

— ამხანაგო სარდალო, გეახელით თქვენს განკარგულებაში!

ეს ისე ხმამაღლა გამომივიდა, რომ ფრუნზემ და კუიბიშევმა გაიღიმეს.

— ცოტა ჩუმად, ამხანაგო რატნიკოვ! მინებიც კი ზრიალებენ! — ხუმრობით მითხრა ფრუნზემ.

მერე, ის იყო ადიუტანტი გამოიძახა, ჩემზე ანიშნა და უბრძანა:

— შეიფარე ეს ობოლი, მიეცი ჩასაცმელ-დასახური და წითელი არმიის სახლში მოაწყე.

როგორც კი ადიუტანტმა კარი გაიხურა, ფრუნზე მომიბრუნდა:

— რაც საჭიროა, ყველაფერს მიიღებ; უპირველეს ყოვლისა, აბანოში წადი, ქრისტიანული სახე მიიღე, მერე ჩემთან მოდი! თორემ ცოტა დამტვერილი ხარ!

ზუსტად დანიშნულ დროს ფრუნზეს ბინაზე ვეწვიე. იგი შტაბის ახლოს ცხოვრობდა ორ ოთახში, ერთი ოთახი საწოლად ჰქონდა, მეორე კაბინეტად. ორდინარეცმა მოახსენა ჩემი მისვლის თაობაზე.

სარდალი მარტო იყო. ამჯერად მან კითხვები დამაყარა:

— როგორ მიდის ჩვენი საქმეები ურალსკში? როგორ გრძნობენ თავს ივანოველები? ჩაპაევს და ფურმანოვს ხომ არ შეხვედრიხარ?

ყველაფერი მოვახსენე, რაც ვიცოდი. მერე კი ფრუნზემ თითქოს რაღაც გამოცდის მსგავსი მომიწყო.

— ამხანაგო რატნიკოვ, — მკითხა მან. — მეხსიერება როგორი გაქვს? გულმავიწყი ხომ არა ხარ?

— მე მგონია, არა. — და ხუმრობით დავუმატე: — ერთი ეს არის, თუ ვისიმე ვალი მაქვს, მაშინვე მავიწყდება, მაგრამ თუ ჩემი მართებს ვისმეს — ეს დიდხანს მახსოვს! გნებავთ, „მამაო ჩვენოს“ წავიკითხავ? ამ მამაო ჩვენოსათვის განსვენებული დედაჩემი სულ ცხვირ-პირს მინაყავდა, ხანამ არ დავიზეპირე. იმ დღიდან შემძულდა ზუთხვა.

ფრუნზემ გაიღიმა.

— მაშ ზუთხვა არ გიყვარს? მაინც მოგიხდება ამის გაკეთება.

მისმა თვალებმა და ხმამ მიმახვედრეს, რომ იგი არ ხუმრობდა. ფურცელი გამომიწოდა:

— პირველი — წახვალ მოსკოვში პატაკით ამხანაგ ლენინთან. აი პატაკი და შეეცადე ზეპირად დაისწავლო. აქვე უნდა დაიზეპირო. მე თვითონ შეგამოწმებ. მეორე — არავინ არაფერი არ უნდა იცოდეს შენი გამგზავრების შესახებ. გასაგებია? აბა, დაჯექი და ისწავლე!

მიჭირავს ხელში ფურცელი, ვკითხულობ ჩემთვის, მჯერა და არც მჯერა, რომ ყველაფერი ეს სინამდვილეში ხდება. ფურცელი პატარაა, წვრილად და გარკვევით არის ნაწერი ფრუნზეს ხელით.

სარდალი საწერ მაგიდას მიუჯდა, სქელი წიგნი გადაშალა და თვითონაც კითხვა დაიწყო.

თვალები დავხუჭე, ვიმეორებ, საოცარი იყო, თვალდახუჭულს ყველაფერი კარგად გამომდიოდა, ყველაფერი სიტყვასიტყვით მახსოვდა, მაგრამ როგორც კი ოდნავ გავახელდი თვალს, მაშინვე მეშლებოდა. რა ჯანდაბაა! ისევ ვხუჭავ თვალებს, ტუჩებს ვაცმაცუნებ.

— ხომ არა თვლემ? — მეკითხება უცებ ფრუნზე.

— არა, ამხანაგო სარდალო, ვფხიზლობ, მხოლოდ აი, თვალებდახუჭულს უფრო კარგად მახსოვს,

ისევ ჩვენ ჩვენს საქმეს დავუბრუნდით.

— აბა, როგორ არის საქმე? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ სარდალმა.

— ზეპირად ვიცი-მეთქი, — მოვახსენე.

მან პატაკი გამომართვა და შემომხედა. მე სიტყვასიტყვით გავიმეორე ყველაფერი.

— ჩინებულია, წადი დაისვენე, ხვალ დილის ათ საათზე შტაბში იყავი! — თქვა სარდალმა და ფურცელი თავისთან დაიტოვა.

გახარებული მივვარდი ნომერში, ბედნიერებისაგან ფეხზე ძლივს ვიდექი — ყველაზე დიდი ადამიანი უნდა მენახა საკუთარი თვალით, მთელი ღამე ვწრიალებდი, ჩემთვის ჩუმად ვიმეორებდი პატაკის ტექსტს. ვშიშობდი, ვაითუ დამავიწყდეს-მეთქი. გათენებისას საბოლოოდ დამეკარგა იმედი: ერთი ასჯერ მაინც გავიმეორე საიდუმლო პატაკი, ასმეერთედ კი ისე მომეჩვენა, თითქოს ყველაფერი ავურიე. შემოწმებით კი ვერაფრით ვერ შევამოწმებ ჩემს თავს. კარგი იყო, წუხელ ნომერში დაბრუნებისთანავე რომ დამეწერა. მაგრამ საიდუმლოებაა! არ შეიძლება!

დილით შტაბში ისევ ფრუნზე და კუიბიშევი შემხვდნენ.

— გახსოვს პატაკი? — მეკითხება ფრუნზე.

— მახსოვს, ამხანაგო სარდალო!

— გაიმეორე!

კუიბიშევი ქაღალდს ჩასცქერის... აუჩქარებლად დავიწყე, რომ არ შემშლოდა, დავიწყე და გავრეკე. ეს პატაკი სამუდამოდ ჩამებეჭდა გონებაში. თურმე ამ დოკუმენტის მარტო სიტყვები კი არა, თვითეული წერტილიც და მძიმეც კი ზეპირად ვიცოდი.

იმ დროს გარშემო თეთრები დათარეშობდნენ, ზოგჯერ ჩვენს ზურგშიც შემოდიოდნენ.

— რას იზამ, გზაში რომ რაიმე ხიფათს გადაეყარო? — მკითხა ფრუნზემ.

— ხიფათს თავს ავარიდებ და ამ პატაკსაც მოვახსენებ ამხანაგ ლენინს!

— ხვალ გაემგზავრები მოსკოვს, ილიჩთან. კეთილი გზით იარე! — ასე თქვა ფრუნზემ, ის პატაკი კი ისევ მაგიდაზე დადო.

აღელვებული და დაფიქრებული მივაბიჯებდი ქუჩაში. ვერც კი ვამჩნევდი ჩემ გვერდით მიმომავალ ადამიანებს.

,...ჯერ შვიდიც არ იყო, რომ მე უკვე ფეხზე ვიყავი. შტაბში, მორიგეს გარდა, არავინ დამხვდა. ლამის შემრცხვა კიდეც იმ მორიგის: რა გინდა, ამ დილაადრიან რას გამომეცხადეო?!

ზუსტად ათ საათზე შტაბში ფრუნზე მოვიდა.

— პაკეტი, დოკუმენტები მზად არის? — ჰკითხა მან ადიუტანტს.

— ყველაფერი მზად გახლავთ, — მიუგო ადი-

უტანტმა და ხელმოსაწერად სამივლინებო მოწმობა გაუწოდა.

— ჩახვალ მოსკოვში, ჩემს ცოლთან, „მეტროპოლში“ გაჩერდები. აი წერილი. აბა, კეთილ მგზავრობას გისურვებ! — ხელი ჩამომართვა ფრუნზემ.

3.

მარტის ბოლოს უკვე მოსკოვში ვიყავ.

„მეტროპოლში“ სულ ადვილად მივაგენი ფრუნზეს მეუღლის ოთახს. დავაკაკუნე.

— შემოდით! — მომესმა.

ჩემ შესახვედრად გამხდარი ქალი გამოვიდა. ეს იყო სოფიო ალექსის ასული. გადავეცი წერილი.

— გაიხადეთ, ამხანაგო რატნიკოვ, ჩაი დავლიოთ. მიამბეთ, როგორ ცხოვრობს მიხეილ ვასილის ძე? ხომ ჯანმრთელად არის? როგორ გამოიყურება?

მოგვიტანეს ჩაი. თეფშზე თხლად დაჭრილი შავი პური და მცირეოდენი კარაქია. მე თან სამარიდან წამოღებული პროდუქტები მქონდა, მაგიდაზე თეთრი პური და ქონი დავაწყე.

სოფიო ალექსის ასულმა ხელები გაასავსავა.

— არა, არა, არც იფიქროთ! ამას მოსკოვში ვერ იყიდით, თქვენ კი უკან უნდა დაბრუნდეთ.

მივუსხედით ჩაის, უცებ სოფიო ალექსის ასულმა მკითხა:

— რატომ გაქვთ ასეთი შეწუხებული სახე? გზაში ხომ არაფერი დაგემართათ?

— გზაში ისეთი არაფერი, მაგრამ რა დამამშვიდებს, ვღელავ. აქ „მეტროპოლში“ ვზივარ, ფიქრით კი კრემლში ვარ. მე ხომ ლენინთან უნდა მივიდე.

— ერთი რამ გახსოვდეთ ილიჩი ძალიან უბრალო ადამიანია. როცა მასთან ლაპარაკს დაიწყებთ, იფიქრეთ იმაზე, რაც სათქმელი გაქვთ და არა იმაზე, თავი როგორ დაიჭიროთ. ილაპარაკეთ უბრალოდ, ნათლად, პირდაპირ. ილიჩს ეს უყვარს, იმიტომ, რომ თვითონაც მუდამ უბრალო, ნათელი და პირდაპირია. გისურვებთ წარმატებას!

იდუმალი მღელვარებით ვუახლოვდებოდი კრემლს. მივედი საყარაულო ჯიხურთან, წარვადგინე მოწმობა.

— ვისთან მიდიხართ?

— პირადად ამხანაგ ლენინთან.

— საიდან ხართ?

— ამხანაგ ფრუნზესაგან, ფრონტიდან.

მომცეს საშვი და მიჩვენეს, საით უნდა წავსულიყავ.

ავდივარ ფართო კიბეზე. გავალე ნაჩვენები კარი. ეს იყო მისაღები ოთახი. მდივან ქალს ყველაფერი მოვახსენე.

ოთახში სიწყნარე იყო, შეუჩვეველი სიჩუმისაგან ყურებს ზუზუნი გაჰქონდათ.

— გაიხადეთ, ამხანაგო, მაზარა და წამომყევით!

მაზარა გავიხადე, ხალათი გულმოდგინედ გავისწორე, გავსწორდი, როგორც ეს წითელი არმიის მებრძოლს შეეფერებოდა, და კაბინეტისაკენ გავემართე. იმ წუთებში მე თავს ვგრძნობდი მთელ დედამიწაზე ყველაზე ბედნიერ ადამიანად.

4.

ჩემს წინ ვრცელი და ნათელი ოთახია... დარცხვენილი და შეშინებული გავჩერდი კარებთან.

მაგიდასთან ლენინი იდგა, შავი კოსტუმი ეცვა, ეკეთა მსხვილ კვანძად შეკრული თეთრწინწკლებდაყრილი შავი ჰალსტუხი.

მე გავიგონე დაუვიწყარი ლენინისეული ხმა, ასეთი განუმეორებელი და დამახასიათებელი.

— გამარჯობათ, ამხანაგო! — წარმოთქვა ილიჩმა და ჩემსკენ ნაბიჯი გადმოდგა.

მხოლოდ ორი სიტყვა თქვა, და მაშინვე რაღაცნაირად მოვიკრიბე აზრები, სიმხნევე ვიგრძენი.

— გამარჯობათ, ამხანაგო ლენინ! სარდლისგან ნაბრძანები მაქვს პირადად ჩაგაბაროთ პაკეტი და, ამას გარდა, სიტყვიერად მოგახსენოთ შემდეგი...

— ჯერ დაბრძანდით, დაბრძანდით, ამხანაგო!

დავჯექი სავარძელში, საწერ მაგიდასთან რომ იდგა, და სიტყვასიტყვით გადავეცი ჩემ მიერ გაზეპირებული პატაკი.

„ძვირფასო ვლადიმერ ილიჩ!

აღმოსავლეთის ფრონტზე მდგომარეობა დღითიდღე უფრო მძიმე ხდება. სამხედრო რევოლუციური საბჭოს მყვირალა ბრძანებები და პირადად ტროცკის ერთმანეთის საწინააღმდეგო დირექტივები არ ეთანხმებიან რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ნათელ დირექტივებსა და მითითებებს, ასუსტებენ ფრონტს, ქმნიან არეულობას და გაუგებრობას. არ გვყოფნის საჭურველი. მეტისმეტად არასერიოზულ დამოკიდებულებას იჩენენ ნაწილების კადრებით შევსების საკითხისადმი. არ არის ტანსაცმელი. რევოლუციური სამხედრო საბჭოს და ტროცკის მავნე ჩარევები ოპერატიულ საქმიანობაში აღრმავებს ფრონტის მძიმე მდგომარეობას, დაშლისაკენ მიჰყავს არმია. ტროცკი და მისი დამქაშნი თვითნებურად და ცენტრალური კომიტეტისა და თავდაცვის საბჭოს გვერდის ავლით აშიშვლებენ აღმოსავლეთის ფრონტს; ტროცკიმ გადაწყვიტა სამხრეთის ფრონტზე გადაიყვანოს ათობით პოლკი, მაშინ როცა ყველა მონაცემები მეტყველებენ იმაზე, რომ თეთრგვარდიელები და ინტერვენტები ამზადებენ თითქმის მთავარ, გადამწყვეტ დარტყმას აღმოსავლეთიდან. მეტად აუცილებელია, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ ექვს ფრონტს შორის მთავარ ფრონტად აღიარონ აღმოსავლეთის ფრონტი. აქ, აღმოსავლეთის ფრონტზე გადაწყდება ჩვენი რევოლუციის ბედი.

ანტანტას, რომელმაც კბილებამდე შეაიარაღა კოლჩაკის თითქმის 130-ათასიანი არმია, განზრახული აქვს აღმოსავლეთიდან სასიკვდილო დარტყმა მიაყენოს საბჭოთა რუსეთის გულს. ანტანტას უეჭველად ხელიდან გავაგდებინებთ იარაღს, თუ პარტიის, მთავრობის, ხალხის, არმიის მთელი ძალები გადასროლილი იქნება აღმოსავლეთის ფრონტზე“.

ილიჩმა მომისმინა, პაკეტი გახსნა, კითხვა დაიწყო, თან შეკითხვებს მაძლევდა. მე ვუპასუხებდი და შევყურებდი პატაკზე დახრილ მის სახეს.

— როგორ არის ამხანაგი ფრუნზე? — მკითხა ვლადიმერ ილიასძემ.

— სარდალი თავს კარგად გრძნობს.

— ეს ძალიან სასიხარულოა.

ლენინმა დაამთავრა პატაკის კითხვა, ჭკვიანი, ოდნავ მოჭუტული თვალებით შემომხედა და მკითხა:

— კოლჩაკი გვიტევს?

— კოლჩაკი მალე დაიხევს უკან, ვლადიმერ ილიჩ!

ილიჩმა დაკვირვებით შემომხედა და აუჩქარებლად გამიმეორა კითხვა:

— როგორ თქვით?

— კოლჩაკი მალე დაიხევს უკან!..

ლენინს სახე გაუნათდა, და მან დასძინა:

— დიახ, ეს ასეც უნდა მოხდეს, მხოლოდ ასე და არა სხვანაირად!

და მე მივხვდი, რომ ყველაფერი, რაც იქ ხდება, ხანძრებით მოგიზგიზე მხარეში, მან ჩვენზე უკეთ იცის, ყველაფერს ხედავს, ყველაფერი მოფიქრებული და გათვალისწინებული აქვს. და კიდევ შევამჩნიე, რომ თავისი დიდი მუშაობის დროს იგი არ ივიწყებს უბრალო ადამიანის პატარა გაჭირვებებსაც.

— სად გაჩერდით, ამხანაგო? — დაინტერესდა ილიჩი.

— „მეტროპოლში“, სოფიო ალექსის ასულთან.

ილიჩი წამოდგა.

— ჩინებულია. მე მივწერ ამხანაგ ფრუნზეს. ყველაფერი გაკეთებული იქნება. მომიკითხეთ სოფიო ალექსის ასული.

ლენინმა ხელი ჩამომართვა. კარებთან რომ მივედი, მაშინ გამახსენდა: პაკეტი ჩავაბარე, ამის დამამტკიცებელი საბუთი კი არა მაქვს... გაუბედავად შევჩერდი, დარცხვენილი მოვტრიალდი. ლენინი უკვე საქმეს შედგომოდა, წერდა.

რა ვქნა? მუშაობას მოვაცდინო ილიჩი? თუ წავიდე ხელმოწერის გარეშე?

მაინც გავბედე, მაგიდასთან დავბრუნდი.

— რაო, ამხანაგო რატნიკოვ? — ამომხედა ლენინმა.

— მომიტევეთ ვლადიმერ ილიჩ! ეს, რა თქმა უნდა, წმინდა ფორმალობაა, მაგრამ მე სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებ. პაკეტი ჩაგაბარეთ, დამიმოწმეთ, თუ შეიძლება, მისი მიღება.

ვლადიმერ ილიას ძემ მიღებული პატაკის კონვერტი აიღო და ლურჯი ფანქრით მსხვილად მოაწერა ზედ ხელი.

— ინებეთ.

მე ერთხელ კიდევ მოვიხადე ბოდიში, მაგრამ ფაცაფუცში, მღელვარებისა და სიხარულისგან თითქოს მეხსიერება დამეკარგა, კარი ამერია და სხვას მივადექი. გამოვწიე ერთხელ, გამოვწიე მეორედ, არ იღება. რა ვქნა?

მოვიხედე. ილიჩი იღიმება და ამბობს:

— თქვენ სხვა კარებში გადიხართ...

გახარებული გამოვედი კრემლიდან, კი არ მივდიოდი, მივფრინავდი მოსკოვის ქუჩებში.

5.

...გადაიგრიალა სამოქალაქო ომმა. გავიხადე მაზარა. დავბრუნდი ჩემს ქარხანაში.

1924 წლის იანვარში მთელ ჩვენს ხალხს უდიდესი მწუხარება დაატყდა თავს — გარდაიცვალა ვლადიმერ ილიას ძე.

მეშუშეებს დავალება მოგვცეს ბროლის მინის დამზადება სარკოფაგიხათვის, რომელშიც ლენინი განისვენებს.

მახსოვს, შევიკრიბენით. ვუამბე მეგობრებს ლენინთან ჩემი შეხვედრის შესახებ.

— ისეთივე სუფთა და კამკამა უნდა იყოს ბროლი, როგორიც არის ხოლმე მოსკოვის მაღალი ცა ნათელ დღეს.

— გავაკეთებთ!

როგორი ზრუნვით, როგორი სიყვარულით შეუდგნენ ოსტატები საქმეს! მოხარშეს პირველად. ძველმა მინისმხარშავმა ანდრეიჩმა მინას დახედა: „კარგად არის მოხარშული, მაგრამ უკეთესი უნდა გავაკეთოთ“.

მოადუღეს მეორედ. „ჩინებულად არის მოდუღებული, მაგრამ გული მეუბნება, უფრო კარგი უნდა მოვადუღოთ“.

შეუდგნენ მესამედ მოდუღებას. დგას ანდრეიჩი მდუღარე მინასთან, დგას, იგონებს ილიჩს და თვალებიდან ცრემლები მოსწვეთავს.

„აი, სწორედ ასეთი ბროლია საჭირო!“ — ერთხმად გადაწყვიტეს ოსტატებმა მესამე მოხარშვის შემდეგ.

ალბათ, მუშების წმინდა ცრემლმა მიანიჭა ბროლს ასეთი გამჭვირვალება და სიკამკამე. ეს ცრემლი სამუდამოდ დარჩა იმ გამჭვირვალე მინაზე, რომლის ქვეშაც სამუდამოდ სძინავს ლენინს.

...ძველი მუშა რატნიკოვი აუჩქარებლად, დაბალი ხმით ჰყვებოდა ამ ამბავს. ადამიანები კი კვლავ მიდიოდნენ და მიდიოდნენ მავზოლეუმისაკენ, მარად უკვდავი ბელადის სანახავად.

თარგმანი ლ. შიოშვილისა

# მხატვრული სახეები იძენენ ახალ სიცოცხლეს

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ლენინიანას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს იმის შესწავლა, თუ როგორ იყენებდა დიდი ბელადი თავის თხზულებებში მხატვრული ლიტერატურის საგანძურს, კონკრეტულ მხატვრულ სახეებს. ლიტერატურა აქ გამოდიოდა როგორც უდიდესი ძალა, რომელიც ეხმარებოდა ლენინს პოლიტიკური ბრძოლების პრაქტიკაში, რევოლუციურ ბრძოლაში მთელი მშრომელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

1909 წლის ივლისში ვ. ი. ლენინმა გამოაქვეყნა წერილი „მეფის გამგზავრება ევროპაში და შავრაზმული სათათბიროს ზოგიერთი დეპუტატისა — ინგლისში": ლენინი აქ მძაფრად ამხილებს რუსი ლიბერალების საზიზღარ ლაქიობას ცარიზმის წინაშე. ხსენებულ წერილში ნათქვამია: „ისინი კრილოვის ბაყაყებივით იბღინძებიან და იბერებიან და თავს ასაღებენ იმ შავრაზმული რეაქციის მძლეველებად, რომელსაც სურს გააუქმოს „კონსტიტუცია" რუსეთშიო". ლენინს აქ მხედველობაში აქვს კრილოვის იგავი „ბაყაყი და ხარი", და, იმავე დროს, ამ შედარების წყალობით, რა საოცარი სიცხადით ხედავთ მთელ იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას! ვ. ი. ლენინი მხატვრულ სახეებს, ანდაზებს, ფოლკლორის სხვა ნიმუშებსა თუ ხერხებს იმ მიზნით იყენებდა, რომ თავისი აზრი წერილობით თუ ზეპირად გამოსვლის დროს მაქსიმალურად გასაგები გაეხადა მკითხველისა და მსმენელისათვის. ამის შესახებ ნ. კ. კრუპსკაია წერდა: „პოპულარულად ლაპარაკსა და წერას ლენინი დიდ მნიშვნელობას აძლევდა. ეს უცილობელია, რომ ამ გზით მასებისათვის ისე გასაგები და მისახვედრი გავხადოთ კომუნიზმი, როგორც საკუთარი საქმე. პოპულარულ სიტყვას, პოპულარულ ბროშურას დასახული უნდა ჰქონდეს კონკრეტული მიზანი, მიზანი, რომელიც გარკვეული მოქმედებისაკენ გვიწვევს".

1906 წელს დაწერილ ნაშრომში „კადეტების გამარჯვება და მუშათა კლასის ამოცანები", ვ. ი. ლენინმა ნათლად გვიჩვენა კადეტების პარტიის მთლიანად ანტიხალხური ხასიათი, მათი შინაგანი უმწეობა და უძლურება. „კადეტები პარტია კი არა, სიმპტომია. ეს არის არა პოლიტიკური ძალა, არამედ ქაფი, რომელიც ჩნდება ცოტად თუ ბევრად ურთიერთის გამაწონასწორებელ მებრძოლ ძალთა შეტაკებით. ისინი წარმოადგენენ, ჭეშმარიტად, გედს, კიბოსა და ორაგულს — მოლაყბე, გაბღენძილ, თვითკმაყოფილ, გონებაშეზღუდულ, მშიშარა ბურჟუაზიულ ინტელიგენციას, კონტრრევოლუციურ მემამულეს, რომელსაც სურს ხელსაყრელ ფასად თავი დაიხსნას რევოლუციისაგან, და, ბოლოს, მაგარ, ყაირათიან, მომჭირნე და ხელმოჭერილ წვრილ ბურჟუას". ყოველმხრივ ამომწურავი, უზუსტესი და ლაკონიური დახასიათებაა. და ამ ლაკონიზმს ხელი შეუწყო კრილოვის იგავის პერსონაჟების გახსენებამ. ეს მხატვრული სახეები ლენინმა გაიხსენა სხვა წერილშიც — „პოსტსკრიპტუმი სტატიისა: სოციალ-დემოკრატია და საარჩევნო კამპანია".

საყურადღებოა შემდეგი გარემოება: ლენინი არა მარტო იყენებს გაბმულ თხრობაში კრილოვის მხატვრულ სახეებს, არამედ, ხანდახან თავისი სტატიების სათაურებადაც კი ხმარობს კრილოვისეული იგავ-არაკების სათაურებს, თუ ცალკეულ ფრთიან გამოთქმებს. კერძოდ, გავიხსენოთ აქ ლენინის სტატიები „გუგული აქებს მამალსა", „მელიისა და საქათმის შესახებ" და სხვები.

ვ. ი. ლენინი ზოგჯერ არც კი ასახელებს იგავის ავტორს, მაგრამ მკითხველისათვის მაინც ყველაფერი გასაგებია. ასე, მაგალითად, 1906 წელს დაწერილ ნაშრომში „მენშევიზმის კრიზისი" ვკითხულობთ: „ლიბერალ ბურჟუას, როგორც არაკის ცნობილ ცხოველს, არ შეუძლია აიხედოს ზევით და გაიგოს, რომ მხოლოდ ხალხის „ალტყინების" წყალობით სულდგმულობს ჩვენში თავისუფლების თუნდაც ნასახი".

1901 წელს დაწერილ „შინაურ მიმოხილვაში" ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „როდესაც, მაგალითად, რუსი მემამულე-ფაბრიკის მუშების ყკანონო ექსპლოატაციისა და გაღატაკების გაცამტვერებას დაიწყებს, ჩვენ არ დავაყოვნებთ ვუთხრათ მას „ფრჩხილებში": „შენს თავზე რომ დაიხედო, ვგონებ, ის აჯობებსო". აქ მოტანილია ადგილი ი. ა. კრილოვის იგავ-არაკიდან „სარკე და მაიმუნი", სადაც ვკითხულობთ:

**დათვმა უთხრა: ჩემო დაო,**
**რად ათითებ ტყვილა სხვებსო?**
**შენს თავზე რომ დაიხედო,**
**მე ვგონებ, ის აჯობებსო.**

ამრიგად, ჩვენ თვალწინ ცოცხლად წარმოსდგა რუსი მემამულის ფარისეველური სახე, სხვას რომ ჰკიცხავს და თვითონ ქვეყანას აქცევს. ლენინი მუდამ მარჯვედ იყენებს მხატვრულ სახეებს და ყოველივე ეს ხელს უწყობს, რომ ილიჩის ენა იყოს ნათელი, შთამბეჭდავი, რელიეფური, პათოსით აღსავსე, სახოვანი. „ყოველი მისი სიტყვა ოქროდ ღირსო", — წერდა ენგელსი მარქსის ლიტერატურული სტილის შესახებ. ეს სიტყვები თამამად შეიძლება ითქვას ლენინის სტილზეც.

თხრობის გამოცოცხლების მიზნით, ლენინი ხშირად სატირასაც მიმართავდა. 1912 წელს გაზეთ „პრავდის" რედაქციას ილიჩი სწერდა:

„როდის აქეთ არის, რომ ცუდის წინაალმდეგ მწყრალი ტონი მავნეა... პირიქით, კოლეგებო, ღმერთმანი, პირიქით. მავნეზე წერა „წყრომის გარეშე მოსაწყენად წერას ნიშნავს". არ გააუბრალო აზრი, არამედ რთული იდეების სიღრმე გადმოეცი სადად და უბრალოდ — აი ლენინის მოთხოვნა. მართებულად შენიშნავდა მ. გორკი: „გაუბრალოება ეს არის ხელოვნურობა და, მაშასადამე, სიყალბე, ხოლო სისადავე და უბრალოება — ნამდვილი ხელოვნებაა". ამ ხელოვნებას სრულყოფილად ფლობდა ვ. ი. ლენინი. გავიხსენოთ მისი სიტყვები: „...მებრძოლი სოციალისტური პარტიის წევრებს თავიანთ მეცნიერულ ნაშრომებშიც მხედველობაში უნდა ჰყავდეთ მუშა-მკითხველი, ისინი უნდა ცდილობდნენ წერონ უბრალოდ, არ მიმართონ ენის იმ უმსგავსო დახვანჯულობას, „მეცნიერულობის" იმ გარეგან ნიშნებს, რომლებითაც ასე მოხიბლული არიან დეკადენტები და ოფიციალური მეცნიერების წარჩინებული წარმომადგენელნი".

ვ. ი. ლენინი კრილოვის იგავ-არაკებს მიმართავდა აზრობრივი შინაარსის გასაძლიერებლად, ამა თუ იმ დებულების აქცენტირების მიზნით; კრილოვის იგავ-არაკში „მამალი და მარგალიტი" მოთხრობილია, რომ მამალმა იპოვა მარგალიტი და თქვა, რომ გარეგნობით თვალს ატყუებს, რა აქვს ამას მოსაწონი, ამას ბევრად სჯობია პურის მარცვალიო:

**უგუნურნიც ასე სჯიან**
**და ასე ამბობენ,**
**როცა ჭკუა აღარ უჭრით**
**და ველარას სცნობენ!**

ვ. ი. ლენინმა შესანიშნავად გამოიყენა ეს იგავ-არაკი. აი, რას წერდა იგი: „მარქსი, ენგელსი, ი. დიცგენი... მთელ ყურადღებას იმას აქცევდნენ, არ მომხდარიყო ამ საანბანო ჭეშმარიტებათა ვულგარიზაცია და ზედმეტი გამარტივება, რომ მათ არ გამოეწვიათ აზრის გაყინვა... დავიწყება იდეალისტური სისტემების ძვირფასი ნაყოფისა — ჰეგელის დიალექტიკისა — ამ მარგალიტისა, რომელსაც ისეთი მამლები, როგორიც ბიუხნერები, დიურინგები და კომპ. იყვნენ,... ვერ არჩევდნენ აბსოლუტური იდეალიზმის ნაგავში".

როგორც ვხედავთ, ლენინი კრილოვისეულ სახეებს იყენებს არა მარტო სოციალ-პოლიტიკურ თუ ეკონომიკის თემებზე დაწერილ წერილებში, არამედ ფილოსოფიურ ნაშრომებშიც. აქ კიდევ ერთი მაგალითი უნდა მოვიყვანოთ. ლენინი, ამხილებს რა მახის ეკლექტიზმს, წერს: „ჯერ ნაცარქექია მთების დაძვრას გვპირდებოდა, ე. ი. გვარწმუნებდა ფიზიკურ ელემენტებს ფსიქიკურიდან ავაგებო, შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ფიზიკური ელემენტები იმ ფსიქიკური ელემენტების საზღვრებს იქით იმყოფება, „რომელნიც ჩვენს სხეულში მოიპოვებიან"! კარგი ფილოსოფია კია, თქვენმა მზემ! ნაცარქექია, მთების დაძვრას რომ აპირებს, გამოძახილია კრილოვის „ჭინჭრაქასი". ამრიგად, მხატვრული სახის მოშველიებამ უფრო ნათელი გახადა, თუ რაოდენად შეუძლებელ და წარმოუდგენელ საქმეს შესჭიდებოდნენ სუბიექტური იდეალიზმის მომხრეები, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ შეერყიათ დიალექტიკური მატერიალიზმის ფუძემდებლური დებულებები არსისა და აზრის, ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთობაზე.

ჩვენს წერილში მხოლოდ კრილოვისეულ მხატვრულ სახეებზე შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება; ეს კი უმცირესი ნაწილია მსოფლიო ლიტერატურის იმ უშესანიშნავესი სახეებისა, რომლებიც მოიხსენებიან ლენინის გენიალურ ნაწარმოებებში; ყოველივე ამის გულდასმით შესწავლა ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის უაღრესად აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

**დოც. რ. შამელაშვილი**

---

დასასრული. იხ. „დროშა" № 8.

# წლები და შეხვედრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდან ნიკოლაძე

1911 წელს უნივერსიტეტის კურსის გასავლელად ჩამოვიდა პეტერბურგში კიდევ ერთი ჩხეიძე, დავითი; ის უკვე იმთავითვე ბუნებით მოწოდებული ნამდვილი მსახიობი იყო და არა უბრალო სცენის მოხალისე, როგორც მისი წინა თანამოგვარეები. და ეს განსხვავება უმალვე დაეტყო ჩვენს თითქმის დაშლილ თეატრალურ წრეს. ახლად ჩამოსულმა დავითმა მაგრად მოჰკიდა საქმეს ხელი, შეარჩია და გამოყო სასცენო „ნაპერწკლიანი“ ამხანაგების საუკეთესო ჯგუფი და საჭირო მზადების შემდეგ, 1912 წელს ამ ახალმა სტუდენტმა-რეჟისორმა დავით კლდიაშვილის მეორე სასცენო შედევრიც, „დარისპანის გასაჭირი“ გვიჩვენა ნევის ნაპირებზე; დადგმა დიდი აღფრთოვანებით იქნა მიღებული და ისე ცოცხლად იყო ეს პიესა შესრულებული, რომ ჩვენი კოლონიის იმერეთის ნაწილს, ჩვენ-ჩვენ მშობლიურ კუთხეში გვეგონა თავი — ზესტაფონში, ჯიხაიშში, ხარაგოულში...

ადვილი წარმოსადგენია, რა სიხარულით შეხვდებოდნენ ამ ახალ კალამს და ფუნჯს რიონელი თერგდალეულები, როცა ქუთაისის თეატრმა ეს შედევრები სცენაზე გააცოცხლა. განსაკუთრებით მოსწონდათ მათ მსახიობი შალიკაშვილი დარისპანის როლში. და, საერთოდ, ეს დადგმები ისეთი ცოცხალი სარკე იყო „ნაყმევი იმერეთისა“, რომ, მაგალითად, მამა და აკაკი როცა იწყებდნენ კლდიაშვილის ნაწარმოებებზე საუბარს, ან კამათს, მის გმირებზე ისე მსჯელობდნენ ყოველთვის, როგორც ცოცხალ, რეალურად არსებულ პიროვნებებზე.

ერთი ასეთი საუბრის დროს მამამ თქვა:

— იცი, აკაკი, ალფონს დოდეს, პირველი გაცნობისთანავე „ფრანგი იმერელი“ დავარქვი, იმდენად მაგონებდა თვით ისიც, მისი კუთხის ბუნებაც ჩვენს იმერეთს. ეს არის სამხრეთ საფრანგეთის, რონას ქვემო დინების ის ნაწილი, რომელიც სამი ქალაქით არის შემოფარგლული: ნიმი, სადაც დოდე დაიბადა, არლი, სადაც ის სწავლობდა, და ტარასკონი, რომელსაც მიეძღვნა მისი სამი რომანი. ეს მშვენიერი კუთხე მხოლოდ რონის შესართავის ზოლით არის ხმელთაშუა ზღვისაგან დაშორებული, როგორც ჩვენს იმერეთსაც მარტო გურიისა და სამეგრელოს ვიწრო ზოლი აშორებს შავი ზღვის უნაპირო სივრცეს. ძალიან მიყვარს საფრანგეთის მთელი ის სანაპირო ზოლიც ზღვიანად, თვით დოდეც მისი მზიანი კალმით და იშვიათი კეთილშობილი გულით.

საერთოდ, მამა ძალიან აფასებდა დოდეს კალამსაც, მის პიროვნებასაც და მოქალაქეობრივ სახესაც, თუმცა, სედანის გაკვეთილის მიღებამდე და ნაპოლეონ III-ის დაცემამდე 1870 წელს, ის მონარქისტი ყოფილა. მამას გაცნობისას კი ის უკვე რესპუბლიკელი იყო.

მამა კარგად იცნობდა ყველა თავის თანამედროვე ფრანგ მწერალს, იცნობდა პარიზის რედაქციებიდან, ყველაზე უფრო კი დამეგობრებული იყო სამხრეთ საფრანგეთის ამ მხატვართან და პატრიოტთან. დოდე სამი წლით იყო მამაზე უფროსი, მაგრამ ადრე გარდაიცვალა, ორმოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში.

ზემოთ ჩვენ უკვე ვახსენეთ ქალაქი არლი, სადაც დოდე სწავლობდა. დაწყებული მოწაფეობის წლებიდან, დოდეს მთელი გატაცებით უყვარდა ეს მზიანი, მშვენიერი ქალაქი. ამ სიყვარულის შედეგი იყო მისი წმინდა არლისეული პოეზიით სავსე სცენები: „არლელი ქალი“, რომელიც მამას ძალიან მოსწონდა.

საინტერესო და დოდესთვის ძალიან საგულისხმო ფაქტია, რომ ნაპოლეონ III-ის ტახტიდან „გადმობრძანებით“ აღტაცებულ სახელგანთქმულ კომპოზიტორს — ბიზეს თავისი მზიანი სიხარულის მუსიკაზე გადასატანად სწორედ ეს მზიანი ნაწარმოები აურჩევია, „არლელი ქალი“ და იმავე სახელწოდების მუსიკალური სცენები შეუქმნია. აქვე მინდა დავუმატო, რომ ტერმინი „ტახტიდან გადმობრძანება“ პირველად აკაკიმ იხმარა „დროების“ რედაქციაში, ნაპოლეონ III-ის დაცემის დროს. შემდეგ ის ფრთიან ფრაზად იქცა. 1917 წლის 3 მარტს, მამამ რომ თავრიდის სასახლის წინ მოისმინა ხალხისთვის წაკითხული „მანიფესტი“ ნიკოლოზ II-ის „გადადგომის“ შესახებ, გახარებულმა და აღელვებულმა, მან პირველად აკაკი გაიხსენა და წამოიძახა: ეს „გადმობრძანება“ როგორ გაახარებდა აკაკის, მახლას, ნეტავ ეს ორი წელი კიდევ ეცოცხლაო!

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ „არლელ ქალს“. ბიზეს „მუსიკალური სცენები“, მამას დახასიათებით, ისეთივე მზიანი და „ცეცხლიან-ნაპერწკლიანია“, როგორც თვით დოდეს ტექსტიც. 1872 წელს ბიზეს ეს ახალი შედევრი პირველად პარიზში შეუსრულებიათ მამას იქ ყოფნის დროს; კომპოზიტორის ნაწარმოებს მსმენელთა მთელი დარბაზის აუწერელი აღტაცება გამოუწვევია, ტაშის გრიალს თურმე ბოლო არ ჰქონდა.

ამას გარდა, ბიზეს ეს მზიანი შედევრი მამას თვით არლშიაც ჰქონდა მოსმენილი; ეს ქალაქი მასაც ძალიან მოსწონდა და „სამხრეთ საფრანგეთის მარგალიტს“ ეძახოდა. მამას უნდოდა ადგილზე შეემოწმებინა რამდენად იდეალურად დაემთხვეოდა ერთმანეთს აქ, ადგილზე მისი თვალის, ყურის და გულის შთაბეჭდილებანი თვით ქალაქისაგან და ბიზეს მუსიკისაგან აღძრულ შთაბეჭდილებებს. და მართლაც, ბედს გაუღიმია მამასთვის: არლელებს გაუმართავთ უდროოდ დაღუპული ბიზეს (1838-1875) „ხსოვნის დღე“, დილის და საღამოს დიდი საზეიმო კონცერტებით, სადაც, ცხადია, მთავარი ადგილი ამ ნაწარმოებს ეჭირა. დოდე და მამა იქ ერთად წასულან პარიზიდან. იქ მიღებული შთაბეჭდილება ერთ-ერთი უძლიერესი იყო, მამას თქმით, მის სიცოცხლეში; მან იქ ნახა, როგორ ღრმად სწვდება ხალხის გულს ნამდვილი ეროვნული მუსიკა.

მამა მგზნებარე თაყვანისმცემელი იყო სამი თავის თანამედროვე ფრანგი კომპოზიტორ-მოქალაქისა, რომელთაც ის ხშირად იხსენებდა და მათი მუსიკის შესრულებას გვთხოვდა როიალზე; აქ იგულისხმება ბერლიოზის ოპერა ორატორიით „ფაუსტის დაწყევლა“, ბიზეს ქმნილებები, კერძოდ „კარმენი“ და „არლელი ქალი“, ოფენბახის „მშვენიერი ელენე“, „ორთეოსი ჯოჯოხეთში“, „პერიკოლა“ და „ჰეროლდშტეინის ჰერცოგინია“. საერთოდ, ოფენბახის ნაწარმოებები, რომ იტყვიან, მეტად გაბედული, მწვავედ საამდღეისო იყო და ხანდახან მათ დადგმას პარიზში, განსაკუთრებით მეორე იმპერიის წლებში, ე. ი. ნაპოლეონ III-ის დაცემამდე, რაიმე პოლიტიკური სკანდალიც მოსდევდა ხოლმე (ფარდის ვადამდე ჩამოშვება, წარმოდგენის აკრძალვა, ზოგი მინისტრის გადადგომა, ანტიმონარქისტული გამოსვლები მაყურებელთა დარბაზში, მოწინავე გაზეთების დახურვა და სხვ. რაც მამას აღნიშნული აქვს პარიზში გამოცემულ „დეკადანსის პრესაში“).

ილია ჭავჭავაძეს ძალიან უყვარდა მამას ეს მოგონებანი ხსენებული დადგმების შესახებ; და ჩვენი თაობისთვის ხომ ნამდვილი დღესასწაული იყო, თუ მათი ეს საუბარი ჩვენი თანადასწრებით ტარდებოდა; მაგალითად, სუფრაზე, ჩვენთან ან ილიასთან, თბილისში ან საგურამოში. დედას გადმოცემით, ასევე ჰყვარებია ამ დადგმათა შფოთიანი ამბების მოსმენა პეტერბურგში მამას გადასახლებისას (1881-1886) სალტიკოვ-შჩედრინსაც „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ რედაქციაში.

ოფენბახის ნაწარმოებებს ყველა თავის ინტერპრეტაციას აძლევდა და ბრძოლისათვის იყენებდა. მისი „ჰეროლდშტეინის ჰერცოგინია“ რუსეთში სასტიკად აკრძალული იყო, რადგან პირველი დადგმისას ჰერცოგინიას სახით — ეკატერინე II გამოიყვანეს, აქვე ადვილად იცნობოდა ეკატერინეს დროის ერთი სარდალი, რომელიც არიას უმღეროდა თავის ხმალს. ეს იყო ამ ოპერეტის ერთი ინტერპრეტაცია. მაგრამ აი მეორეც: მამამ ჩვენ ეს ოპერეტა საფრანგეთში გვიჩვენა 1905 წელს, ოკეანისპირა კურორტ არკაშონში, სადაც ეს ოპერეტა ფრანგებმა ისეთნაირად დადგეს, რომ იგი ეხმაურებოდა თვითმპყრობელობის დამარცხებას რუსეთ-იაპონიის ომის დროს.

მამას ახალგაზრდობის დროინდელ პარიზში ოფენბახის ნაწარმოებთაგან განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა „მშვენიერი ელენე“ და „პერიკოლა“: პირველი მათგანი მამას ოცზე მეტჯერ ჰქონდა ნანახი, და ამბობდა, რომ ყველა სპექტაკლში ჩართული იყო ერთიმეორეზე უფრო მოსწრებული, მწვავე პოლიტიკური, საიმდღეისო მხილებანი. აი, მაგალითად: ელენეს და პარისის ბოლო მოქმედების უვერტიურა აუხდელი ფარდის წინ კი არ იყო შესრულებული, არამედ ფარდა აიხადა, და გამოჩნდა, რომ შუა სცენაზე, ვითომ რომელიღაც ბალში სხედან ზუსტად წარმოდგენილი გრიმით და მუნდირებით... ნაპოლეონ III და მისი ყველაზე მავნე მინისტრები; სხედან არხეინად და საპნის ბუშტებს უშვებენ. შედეგი გასაგებია: პარისის და ელენეს დუეტი აღარავის მოუსმენია; ჩამოუშვეს რკინის ფარდა (სახანძრო) და მსმენელ-მაყურებლები პოლიციამ სათითაოდ შინ გაისტუმრა.

არანაკლებად დაუვიწყარი იყო მამასთვის „პერიკოლას“ ის დადგმა 1870-იან წლებში, როდესაც პარიზის რედაქციებს მიღებული ჰქონდათ ცნობები ახალ კალედონიაში გადასახლებული როშფორის იქიდან გამოქცევისა და ინგლისში თავის შეფარების შესახებ. ამ ამბით გახარებულ ჟურნალისტებს, როშფორის თანამოაზრეებს გადაუწყვეტიათ ოფენბახის მუსიკით დამტკბარიყ-

* იხ. „დროშა“, № 2.

ვნენ და იმ საღამოს „პერიკოლას“ სანახავად წასულან. ადვილი წარმოსადგენია მათი, და მაყურებელთა მთელი დარბაზის გაოცება და აღტაცება, როდესაც სარდაფიდან და მიწისქვეშეთიდან ამომსვლელმა ბარონმა... როშფორის თავი ამოჰყო იატაკქვეშიდან და ერთ წუთში თვითონაც ყოჩაღად ამოხტა სცენაზე, რათა თავის თანამემამულეებს მისალმებოდა.

ცხადია, ამ სპექტაკლის შედეგიც, თუმცა ეს უკვე რესპუბლიკური პარიზი იყო, და არა ნაპოლეონური... ისევ ჩამოეშვა რკინის ფარდა და ისევ პოლიციელების თანხლებით გააბრძანეს აღგზნებული მაყურებლები დარბაზიდან.

და კიდევ რამდენი ამგვარი მოგონება მოგვისმენია მამასგან, რომელსაც გატაცებით უყვარდა ფრანგების მახვილსიტყვაობა და პარიზელთა რევოლუციური ტემპერამენტი.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ კლდიაშვილს. ვინც საფრანგეთს კარგად ვერ იცნობდა, მისთვის მამას უძნელდებოდა ახსნა, რას ხედავდა ის საერთოს დოდესა და კლდიაშვილს შორის მათი „ტილოების“, „ბარაქიანი ფუნჯის“ (რუსულად ის ამბობდა СОЧНАЯ КИСТЬ) და „პალიტრის სიმდიდრის“ თვალსაზრისით. — არ ვიცი, როგორ აგიხსნათ, რისი თქმაც მინდა, — იტყოდა ხოლმე მამა, — კლდიაშვილს კალმის და თვალის ისეთივე მზიანი სიმსუბუქე და სამხრეთის მაღალი ცის სილაღე ახასიათებს, როგორიც დოდეს ყოველ ნაწარმოებში იგრძნობა. დააკვირდით ორივეს ნაწერებს: ყოველი მათი პწკარიდან გამოსჭვივის მათი მგზნებარე სიყვარული თავისი ქვეყნისა, კუთხისა, ხალხისა და ორივე ერთნაირი მზიანი თვალით ხედავს ყველა ამას და თავისი სამშობლოს ყოველ ნაკლსაც კი. მათი უარყოფითი გმირებიც კი რაღაც განსაკუთრებულ შუქზე გვევლინებიან მათი ნაწერების ფურცლებიდან და თავს გვაყვარებენ!

მამა აღტაცებული იყო დოდეს ნაწარმოებთა დიაპაზონით. ტარასკონელებისთვის დოდეს მიძღვნილი აქვს სამი რომანი: „ტარასკონელი ტარტარენის საკვირველი თავგადასავალი“ (1872); „ტარტარენი ალპებზე“ (1885) და „ნავსადგური ტარასკონი“ (1890). ხსენებულ რომანებში დოდე ისე შესანიშნავად აღწერს ამ რაიონების ბუნებას და ხალხს, მათ ყოფა-ცხოვრებას, ადათებს, ზნე-ჩვეულებას და ხასიათს, რომ საფრანგეთის არმნახველსაც კი ცოცხლად წარმოუდგენს თვალწინ თავის „ფრანგულ იმერეთს“. მრავალი ნაკლის მქონე თავის გმირებს კი ისე მოსწრებულად უჩვენებს მკითხველს მათი ბუნების მზიანი მხრით, რომ თავის კომიკურ ტარტარენსაც კი მთელ მსოფლიოს აცნობს და მხიარულად შეაყვარებს უკვე პირველივე წიგნიდან.

— ასეთი მზიანია კლდიაშვილის იმერეთიც, — ამბობდა მამა, ყოველი მისი ახალი შედევრის გაცნობისას, — ჩანს, რომ ამის დამწერის გულში ნათელი სუფევს და თან ამოჰყვება ქაღალდზე მის გმირებს, რაც გინდა უარყოფითი იყოს მათი ბუნება, ან საზოგადოებრივი მდგომარეობა თუ ცხოვრების გზა.

მამასათვის დამახასიათებელია, რომ იგი არ უშინდებოდა „წვრილმან“ დაბრკოლებებს, და აჩემებული ჰქონდა დოდეს ჩამოყვანა ჯიხაიში, საერთოდ იმერეთში, რადგან უნდოდა საკუთარი თვალით დაენახვებინა მისთვის „საქართველოს პროვანსი“, ე. ი. იმერეთი.

მამას ნაცნობობა დოდესთან 1873 წელს დაწყებულა, პარიზში, სადაც დოდე ჩვიდმეტი წლის ასაკიდან ცხოვრობდა. თითქმის პირველივე შეხვედრიდან მათი ნაცნობობა მეგობრობად გადაქცეულა. ეს სწორედ ის მომენტი იყო დოდეს ცხოვრებისა, როდესაც მან, თავზარდაცემულმა ნაპოლეონ III-ის მმართველობის შედეგებით და თვალებახელილმა მისი დაცემით, მიატოვა დროებით თავის მზიან სამხრეთზე წერა და გადავიდა 1870 წლის ამბებზე, ყოველივე ამან გამოხატულება ჰოვა 1873 წელს გამოცემულ მის წიგნში „ორშაბათის ამბები“.

თვით მამა ასე იგონებდა დოდეს გაცნობას: 1867 წელს, პარიზში მსოფლიო გამოფენა რომ ჩატარდა, დამსწრეებს მონგოლფიეს ჰაერბურთი აჩვენეს. მამას და სულ ახალგაზრდა, მერვე კლასის გიმნაზიელს მაქსიმ კოვალევსკის ას-ასი ფრანკი გადაუხდიათ, რათა ამ ჰაერბურთით პარიზის ცაში ასულიყვნენ და დაუვიწყარი შთაბეჭდილება მიეღოთ. ამის შემდეგ მამა ჟენევაში ისე დაბრუნებულა, რომ ჯიბეში ერთი სანტიმიც აღარ დარჩენია და ორსამ კვირას ნახევრად მშიერი ყოფილა. შემდეგ მამა პარიზში მოხვდა 1872 წელს, როდესაც უკვე იცნობდა ალფონს დოდეს სახელით და მისი ორი პირველი წიგნით: „კაცუნა“ და „წერილები ჩემი წისქვილიდან“. მამასთვის ამ წიგნებს არ აღუძრავთ მათს ავტორთან შეხვედრის სურვილი; როგორც პარიზის მოწინავე რედაქციების თანამშრომელი 1860-იან წლებიდან, მამა ალფონსის უფროს ძმას იცნობდა, აგრეთვე მწერალს და ჟურნალისტს, ერნესტ დოდეს, რომელიც „ლიბერალ-კონსერვატორად“ ითვლებოდა მათ წრეში და ამიტომ არავითარ ინტერესს არ იწვევდა. სამი წლით მასზე უმცროს ალფონს დოდეზე კი ამბობდნენ, რომ სედანის დამარცხებამდე ის მონარქისტი იყო, ახალგაზრდა ვიქტორ ჰიუგოსავით; ახლა კი, მასავით მტკიცე რესპუბლიკელი გახდა, ე. ი. უკვე განიკურნა თავისი ბურბონიზმ-ნაპოლეონიზმისგან, მაგრამ იმ არსებითი განსხვავებით, რომ ვიქტორ ჰიუგო ნაპოლეონ მესამის ტახტზე ბანდიტურმა ასვლამ განკურნა მისი პოლიტიკური უსინათლობისაგან (1851 წელს), დოდე კი მხოლოდ ამ ტახტიდან მისმა „ჩამობრძანებამ“ (1870 წელს). სწორედ დოდეს ეს მონარქიზმი უშლიდა, თურმე, მამას დაინტერესებულიყო მწერლის გაცნობით, მანამდე, სანამ შემდგომში ამ „ბუნებით დალოცვილი“ სამხრეთელის ცეცხლოვანმა კალამმა ორი დიდი ახალი წარმატება არ მოიპოვა: პარიზელმა მკითხველმა თითქმის ერთდროულად მიიღო „ტარტარენ ტარასკონელი“, პარიზელმა თეატრალებმა კი იხილეს მისი „არლელი ქალი“, შესანიშნავ ოპერა-ორატორიად ქცეული ბიზეს მიერ; მამაჩემს უნახავს ეს დადგმა და „არლელ ქალს“ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია.

ამჯერად, 1873 წელს პარიზში მამა სულ სხვა განწყობილებით ჩავიდა; ამ ქალაქში იგი ყოველთვის თავის საყვარელ წიგნის მაღაზიებს შემოივლიდა ხოლმე, და აი, მას ყველაზე უმალ დოდეს „ტარტარენი“ შესთავაზეს.

ერთ ღამეში წაუკითხავს მამას ეს ახალი ნაწარმოები და როგორც მას არაერთხელ გაუხსენებია ჩვენს დროსაც (ბევრად უფრო გვიან), ამ მშვენიერ წიგნს იგი რონას ნაპირებიდან პირდაპირ იმერეთში გადმოუფრენია, ისე გაუტაცნია ამ „თითქოს ჯიხაიშიდან“ აფრიკაში მოხვედრილ ტარტარენს.

მამაჩემს წიგნი რომ დაუმთავრებია, ავტორის ძებნა დაუწყია. მან თურმე დილაადრიან შემოიარა საგაზეთო სამყაროს ის ადგილები, სადაც იმედი ჰქონდა, რომ ტარტარენის დამწერს შეხვდებოდა. არც შემცდარა თავის ანგარიშში: სულ მოკლე ხანში ისინი უკვე შეხვედრიან ერთმანეთს. დოდეს, მამაჩემის ფრანგული ენით გაკვირვებულს, უთქვამს:

— თქვენ ნამდვილი ფრანგი ყოფილხართ, პარიზელი!

მამას კი საპასუხოდ გახარებულს წამოუძახია

— თქვენ კი, არა მარტო თქვენი პერსონაჟებით, არამედ თვითონაც, გარეგნობით ნამდვილი იმერელი ყოფილხართ!

ასეთ მხიარულ, არატრაფარეტულ გაცნობას უეცრად დაუახლოვებია ერთმანეთთან ეს „ფრანციელი ქართველი“ და „მოქართველო ფრანციელი“ (ილიას გამოთქმით).

მამას თქმით, დოდე თავისი სტუმართმოყვარეობითაც „უფრო ქართველი იყო, ვიდრე ფრანცუზი“; ფრანგები ხომ თავის ოჯახში იშვიათად მიიწვევენ უცხოელს, განსაკუთრებით პარიზში, სადაც ამ მიზნისათვის აუარებელი კაფე და რესტორანია, რომლებიც დღე და ღამე ღიაა. დოდეს კი თითქმის მეორე თუ მესამე შეხვედრის შემდეგ მამა თავის ახალგაზრდა, ძლიერ სადად მოწყობილ ოჯახში წაუყვანია, რათა მისთვის თავისი ცოლ-შვილი გაეცნო. აქ მამას დახვდნენ დოდეს მეუღლე, ოცდაექვსი წლის იულია (ფრანგულად ჟიულია) და ხუთი წლის ვაჟი — ლეონი. ცოლი თვითონაც მწერალი იყო და ქმარსაც ეხმარებოდა, თვითონაც წერდა და ბეჭდავდა თავის ნაწარმოებებს პარიზის გამოცემებში. ბიჭმა კი სასკოლო ასაკშივე დაიწყო წერა და პარიზის დიდ გაზეთებში თანამშრომლობა; 1891-1897 წლებში, ე. ი. ჯერ კიდევ მამამისის სიცოცხლეში ის აქვეყნებს რამდენიმე სქელტანიან წიგნსაც, მეტწილად სატირიკულს, მაგრამ ეს სულ სხვა რამ იყო და არაფრით ჰგავდა მამამისის მზიანი კალმის მოსმით შექმნილ ტილოებს. ჩვენი ბიბლიოთეკის ფრანგულ კუთხეში დღესაც ჩარჩენილია ამ პირქუში კრიტიკოსის ერთი წიგნი — „სიკვდილის თანაშემწენი“ (1894); ეს წიგნი ერთ დროს აკრძალულიც იყო, ვინაიდან ფრანგ ექიმებს სატირიკოსი მკვლელებს უწოდებდა.

აქ მინდა აღვნიშნო, რომ დოდეს შვილი საზიზღარი რამ გამოდგა და ბოლოს სულ შეარცხვინა მამამისის სახელი: თავიდანვე ანტირესპუბლიკური განწყობილებებით გამსჭვალული, მამის სიკვდილის შემდეგ მიემხრო შეურიგებელ როიალისტთა პარტიას, რომელიც ორლეანელთა დინასტიის აღდგენისათვის იბრძოდა. ლეონ დოდე აქტიურად თანამშრომლობდა ანტირესპუბლიკურ და ანტისემიტურ პრესაში; ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კი ის ნამდვილი შავრაზმელი გამხდარა და ხულიგნობაც კი დაუწყია; მამას გადმოცემით, ოციან წლებში, პარიზის პარლამენტში, სხდომების დროს თურმე სკანდალს სკანდალზე აწყობდა; მომდევნო წლებშიც ისე უხეშად გამოდიოდა დეპუტატთა პალატაში, რომ სასამართლოში მიუციათ რესპუბლიკისადმი ცილისწამებისათვის და კიდეც დაუპატიმრებიათ. ეს ამბავი მომხდარა 1927-1928 წლებში, როცა ჩემი ძმა, გიორგი ნიკოლაძე დისერტაციას იცავდა პარიზში. ლეონის ვაჟს, ალფონს დოდეს შვილიშვილს, სწორედ იმ ხანებში თავი მოუკლავს. მამა უკვე აღარ იყო ცოცხალი, როცა მისი მეგობრის ოჯახის ეს დასასრული შევიტყვეთ გიორგისგან; და ყველამ სათითაოდ, ვინც ეს გავიგონეთ, იმ წამსვე წამოვიძახეთ: აი ამაში კი სულ დარღვეულა დოდეს და კლდიაშვილის მსგავსება — დავითის ესტაფეტა რა მადლიან ხელს გადაეცა, მისი კალმის ნამდვილ მემკვიდრესო. ეს მართლაც ორი პოლუსია — აბსოლუტურად ერთიმეორის საწინააღმდეგო; ჩვენი XX საუკუნის კლდიაშვილი და მათი XX საუკუნის დოდე!

შამშე ასათიანი

# ორთოგრაფიული ლექსიკონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური ეროვნული კულტურის აყვავება უშუალოდ არის დაკავშირებული საერთო-სახალხო ენის განვითარებასა და დამკვიდრებასთან. თუ წარსულში ენის დაცვისათვის ზრუნვა და ენის კულტურის საკითხებისადმი ინტერესი ჩვენი სახელოვანი მწერლების, აგრეთვე პედაგოგების, ინტელიგენციის ვიწრო წრის ფარგლებს არა სცილდებოდა, სამაგიეროდ, საბჭოთა ეპოქაში მშობლიური ენა თვით სახელმწიფომ აღიარა „ეროვნების ბურჯად“ და საერთო-სახალხო ენის მოწესრიგება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ-კულტურულ ამოცანად დასახა.

ენათმეცნიერებმა, „წმინდა“ ენათმეცნიერულ პრობლემათა და ენის განვითარების კანონზომიერებათა თეორიულ კვლევასთან ერთად, ერის უმწვავესი საჭიროების მთელი შეგნებით გაშალეს დიდი მუშაობა აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად და სწორედ ამის ბრწყინვალე გამოხატულებაა მთელი საზოგადოებრიობის მიერ „ქართული სიტყვის საგანძურად“ აღიარებული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, რომლის უკანასკნელი მე-8 ტომი 1964 წელს გამოვიდა.

სოციალისტური საზოგადოების ეროვნულ-კულტურული შეგნების ამაღლების მკაფიო მაჩვენებელია, რომ არა მარტო მწერლები და მეცნიერები, არამედ კულტურისა და განათლების მთელი ფრონტის მუშაკები სისტემატურად აყენებენ მშობლიური ენის ნორმალიზაციის მწვავე საკითხებს და სახავენ საყურადღებო ღონისძიებებს სალიტერატურო ენის განვითარებისა და დახვეწისათვის.

ენათმეცნიერთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი გულისხმიერად ეკიდებიან გაზრდილი საზოგადოებრივ-კულტურული შეგნებით ნაკარნახევ მოთხოვნებს და წლების მანძილზე დაუცხრომლად მუშაობენ ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სწორედ ამ დაუცხრომელი ენათმეცნიერული მუშაობის შედეგია ახლახან გამოცემული „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომელიც შედგენილია „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის“ (კომისიის თავმჯდომარე — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი) მიერ მიღებული პრინციპების სრული შესაბამისობით და ძვირფასი სახელმძღვანელოა ყველა დარგის ლიტერატურისათვის (მხატვრული ლიტერატურა, მეცნიერება და, რა თქმა უნდა, სკოლა, პრესა და სხვ.).

ლექსიკონში შეტანილია არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები, ზმნები, ზმნისართები, კავშირები, თანდებულები, შორისდებულები, ნაწილაკები, პრევერბები, მასდარები და მიმღეობები და მოცემულია მათი ფორმების სწორი დაწერილობა; ამასთანავე, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ლექსიკონის 80 ათასამდე სიტყვიდან დიდი ნაწილი დათმობილი აქვს ქართული ენის ბურჯს — ზმნას. ლექსიკონში მოცემული ზმნათა ფორმები და საცილო ფორმების მოწესრიგება, უეჭველია, გადამწყვეტ გარდატეხას მოახდენს წერისა და მეტყველების კულტურის ამაღლებაში.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი, როგორც ეს აღნიშნულია ორთოგრაფიული ლექსიკონის წინასიტყვაობაში, განაგრძობს მუშაობას სალიტერატურო ენის ნორმათა და მეტყველების კულტურის საკითხებზე. ირკვევა, რომ ამ მუშაობის დროს ენათმეცნიერები კვლავინდებურად გაუწევენ ანგარიშს ჩვენი მწერლების, მეცნიერების, სხვა დაინტერესებული პირების მოსაზრებებსა და წინადადებებს საერთო-სახალხო ენის შემდგომი ნორმალიზაციის შესახებ.

ამ ლექსიკონის შედგენისა და გამოცემის შემდეგ ენის ნორმალიზაციისათვის მუშაობა, როგორც ჩანს, წარიმართება უკვე ნორმატიული ლექსიკონის შესადგენად, რომელიც პასუხს მოგვცემს არა მარტო მართლწერის, არამედ ბევრ სხვა აქტუალურ საკითხზე, რომლებიც დაკავშირებულია სიტყვათა ხმარებასთან წერასა და მეტყველებაში.

არაერთგზის აღნიშნულა, რომ ქართულში გარდუვალად ვრცელდება სიტყვები და, რაც მთავარია, შესიტყვებანი, სინტაქსური ფორმები, რომლებიც, როგორც აკად. ა. შანიძე უაღრესი შთამბეჭდავი ძალით გვიცხადებს, „სრულიად უხამსია და არაბუნებრივი ქართულისათვის“. სწორედ ამ ვითარებაში განუზომლად იზრდება ხალხის მეტყველებაზე მხატვრული ლიტერატურის კანონზომიერი უკუგავლენის მნიშვნელობა, რის წარმატებასა და მაღალ ხარისხს უთუოდ უზრუნველყოფს ენათმეცნიერული ჩარევა.

ნორმატიული ლექსიკონი „გვიჩვენებს“, უწინარეს ყოვლისა, ამ „უხამსი“ გამოთქმების სამაგიერო მართებულ ფორმებს და ამით „შეაკავებს“ არასწორი ფორმების გავრცელებასა და დანერგვას.

ლექსიკონში უთუოდ შევა „სიტყვის კონის“ სიტყვები განმარტებითურთ, რომელთა ბადალი სალიტერატურო ქართულში არ მოგვეპოვება, თუმცა ეს სიტყვები უაღრესად მკაფიოდ გამოსახავენ ბევრ ისეთ ცნებას, რომელთა აღსანიშნავი სიტყვა ახლანდელ ქართულს არ გააჩნია და იძულებულია სხვა ენიდან ისესხოს.

ლექსიკონი ფართოდ აღადგენს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ცოცხალი სიტყვების უმდიდრეს საუნჯეს, აღადგენს და ახლა მაინც დაამკვიდრებს, რადგან მათ მაგივრად ოფიციალური დოკუმენტების თარგმანებში წლების მანძილზე იხმარებოდა ყოვლად უაზრო კალკები, რაც გულისწყრომით ამხილა სოფლის მეურნეობის სპეციალისტმა პროფ. ს. ერქომაიშვილმა, საქვეყნოდ რომ განაცხადა, „უვიცმა მთარგმნელებმა წაბილწეს ქართული ენაო“ („ცისკარი“, 12, 1963).

ნორმატიულ ლექსიკონში სხვადასხვა ტერმინოლოგიური ლექსიკონებიდან და უცხო სიტყვათა ლექსიკონებიდან გადმოვა სიტყვები რაც შეიძლება მეტი რაოდენობით, რადგან, ჯერ ერთი, აუცილებლად საჭიროა მათი ორთოგრაფიული მოწესრიგება, მეორე კი ის არის, რომ ეს სიტყვები, მეტწილად, აღარ შეიძლება სპეციალურ ტერმინოლოგიად ჩაითვალოს, უკვე დამკვიდრდა საერთო სახალხო ენაში და სულ უფრო ფართოდ მკვიდრდება არა მარტო სპეციალურ, ტექნიკურ და მეცნიერულ ლიტერატურაში, არამედ მხატვრულ ლიტერატურაშიც.

ლექსიკონში სრულად შევა ნეოლოგიზმები, ლიტერატურაში უკვე დამკვიდრებული ისეთი ფორმები, რომლებიც ქართულ ენას მწვავედ „ესაჭიროებოდა“ და ამიტომ სიტყვაწარმოების წესით შექმნეს ენათმეცნიერებმა.

* * *

ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონს დართული აქვს საკუთარი და გეოგრაფიული სახელების დაწერილობანი და ამის გამო წინასიტყვაობაში ნათქვამია, ეს „დაწერილობები ზუსტდება და ცალკე გამოქვეყნდებაო“.

უნდა ვიფიქროთ, რომ უცხოური საკუთარი და გეოგრაფიული სახელების დაწერილობებს საფუძვლად დაედება ქართულში დიდი ხანია დამკვიდრებული ტრადიციული პრინციპი, არსებითად, ტრანსლიტერაცია და სახელთა გადმოღების ხერხი, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, ქართული ენის ფონეტიკურ, ორთოგრაფიულ და მორფოლოგიურ სისტემას შეესაბამება.

მშობლიური ენის ნორმალიზაციისათვის ასეთი ფართო მოღვაწეობა ერის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა, რადგან თვით ენათა განვითარების ისტორია გვასწავლის, რომ ენის სიმტკიცე ძლიერდება იმის კვალობაზე, რაც უფრო მკვიდრდება მისი ლიტერატურული ტრადიციები, რაც უფრო მაღალ დონეს აღწევს მისი ნორმალიზაცია.

ენათმეცნიერთა ეს დიდი და ნაყოფიერი მუშაობა, რაც მწერლებთან და სხვა მოღვაწეებთან შესაბამისი კონტაქტით ხორციელდება, იმის საიმედო თავდებია, რომ ქართველი ერი სულ უფრო განავითარებს თავის ენას, უმწიკვლოდ დაიცავს თავის „ძვირფას სპეკალს“, „ქართველობის არსების უდიდეს განძს“ (აკად. ნ. მარი), დაიცავს ყველაზე უძვირფასეს განძს, „რაც კი მოუპოვებია ქართველ ხალხს ისტორიულად, კულტურულად და საზოგადოებრივად“ (აკად. გ. ახვლედიანი).

მთელი ჩვენი საზოგადოების უღრმესი მადლობის ღირსია გამომცემლობა „განათლება“ ამ დიდი საქმის წარმატებით შესრულებისათვის — დიდად საჭირო წიგნის გამოცემისათვის.

* ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი — ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, ვ. თოფურიას რედაქციით.



ვარკეთილი. კულტურის სახლის წინ.

იორმა ხელმეორედ წარმოქმნა და ხელახლა დაბადა სამგორის მიწები. ეს უკვე საკმაოდ ძველი ამბავია. მაგრამ ეს მიწები თავის შესაფერ მკლავსა და გულს მოითხოვდნენ ადამიანებისაგან, და ადამიანებმაც არ დაიშურეს ძალ-ღონე.

ამ სიკეთით სავსე მიწაზეა გაშენებული ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. სწორედ აქ ჩაიყარა ათი წლის წინათ სამგორის ველის პირველი ვენახები, სწორედ აქ მოიკრიფა და თბილისელებს ძღვნად მიერთვა პირველი ათეულობით ტონა სამგორული ყურძენი.

ვარკეთილი ითვლება სანიმუშო და უაღრესად კეთილმოწყობილ საბჭოთა მეურნეობად. იგი უკვე პატარა, მწვანეში ჩაფლულ ქალაქს დაემსგავსა; დღეს აქ 3 ათასამდე კაცი ცხოვრობს. ბინები მშვენივრად არის მოწყობილი. ყველა სახლში ორთქლის გათბობაა, გაზია, წელს იქნება ცხელი წყალიც. დამთავრდება გაზსადენის მშენებლობაც. ვარკეთილს აქვს კარგი აბანო, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, საოჯახო სამზარეულო, ორი სასადილო, სამრეწველო და სასურსათო მაღაზიები, საკუთარი მოდების ატელიე, ფეხსაცმელების სახელოსნო.

საბჭოთა მეურნეობის მუშის ყოველ ოჯახს აქვს 600-დან 1500 კვადრატულ-მეტრამდე საკარმიდამო ნაკვეთი, ნება აქვს იყოლიოს 2 ძროხა, 6 ცხვარი, ფრინველი, ფუტკარი. მუშებისათვის მეურნეობას სპეციალურად აქვს მოწყობილი მერძევეობის ფერმა, რომელიც ახალი რძით ყოველდღიურად ამარაგებს აქაურ მცხოვრებლებს, სკოლას, საბავშვო ბაღს. საშუალო სკოლის პირველი გამოშვება წელს იქნება. საბავშვო ბაღში კი 140 ბავშვია.

დასახლების ცენტრში აგებულია კულტურის სახლი 400-ადგილიანი დარბაზით, ფართო ეკრანით. აქ არის კაბინეტები სხვადასხვა წრეების მეცადინეობისათვის, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მუსიკალური კლასი. აქვე მოწყობილია სპორტმოედნები. შენდება სამრეცხაო, პოლიკლინიკა.

აქ ყველა სახლში ტელევიზორი უდგათ, ზოგმა მუშამ ავტომანქანაც შეიძინა.

ბევრის თქმა შეიძლება ვარკეთილზე, ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ეს ხრიოკი საბჭოთა ადამიანებმა წალკოტად აქციეს. იმ მთას, რომლის ახლოს გაშენებულია ეს წალკოტი, ძველად ᲕᲔᲠᲙᲔᲗᲘᲚᲘ ერქვა, და როგორ ბუნებრივად ულერს ამ მიდამოებისათვის ახალი სახელი — ᲕᲐᲠ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ!

* * *

უამრავი სტუმარი ჩამოდის ვარკეთილში. ჩვენი დიდი სამშობლოს რომელ კუთხიდან, მსოფლიოს რომელ ქვეყნიდან არ მოდიან აქ. რა ანბანს არ შეხვდებით საბჭოთა მეურნეობის შთაბეჭდილებათა წიგნში: აქ არის ჩანაწერები ფრანგულ, ინგლისურ, იაპონურ, არაბულ და სხვა ენებზე.

აი ინდოელ მწერალთა დელეგაციის ჩანაწერი:

„ჩვენ, ინდოელი მწერლების დელეგაცია და მისი ხელმძღვანელი დოქტორი ხ. პ. ბაჩანი, ბედნიერები ვიყავით ვწვეოდით ამ მშვენიერ საბჭოთა მეურნეობას; შესანიშნავი დირექტორის ჩინებული ხელმძღვანელობით საბჭოთა მეურნეობას ბრწყინვალე წარმატებებისათვის მიუღწევია. ეს ჭეშმარიტად, სოციალისტური სოფლის მეურნეობის სანიმუშო მაგალითია; ყველაფერი, რაც აქ ვნახეთ, თვალსა და გულს ხიბლავს.

მადლობას ვუხდით დირექტორს შესანიშნავი მასპინძლობისა და საოცარი გულთბილობისათვის. ქ. ქ. ნაერი, მანმატხა, როი, ლ. ლ. ბხავე, დოქტორი ბაჩანი“.

კუნძულ კვიპროსის გლეხთა დელეგაციას ჩაუწერია:

„ მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე თქვენი საბჭოთა მეურნეობის მიღწევებმა და პროგრესმა. აქაური მუშაკები გულწრფელი მილოცვის ღირსნი არიან, რადგან ასეთ მოკლე ხანში შექმნეს ეს წალკოტი.

სულით და გულით ვუხდით მათ მადლობას გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის და ვუსურვებთ მათ წინსვლასა და მშვიდობას ყველა ხალხის საკეთილდღეოდ“.

კვიპროსელ პოეტს კირიანოს გ. კოკიეს იქვე მიუწერია:

„სიკვდილის დღემდე მემახსოვრებით თქვენც და თქვენი საქმეებიც“.

კიდევ ერთი ჩანაწერი, ეს უკვე კანადელი ჟურნალისტის დონ ბერონის შთაბეჭდილებაა:

„დაუვიწყარია ეს ზვრები და ხეხილის ბაღები, ჩემთვის საქართველოში ჩამოსვლა ბედნიერება იყო. მე ვიტყოდი, რომ შუა ვენახში ჩადგმული ეს უშესანიშნავესი სასახლე არის ის ადგილი, სადაც სრულყოფილად იგრძნობთ ქართველი ხალხის მხურვალე სტუმართმასპინძლობას“.

ამ მიწას წყალი ენატრებოდა.







საბჭოთა მეურნეობის მუშის — წიკლაურის ოჯახი.

კულტურის სახლი კონცერტის წინ.

# ვარკეთილი



ფოტო ო. თურქიასი და ბ. დადვაძისა

აქედან იწყება ვარკეთილი.

საშუალო სკოლის ბოტანიკის კაბინეტში.





ეროვნული ბიბლიოთეკა

**მ. კაპიცა**
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

# სწრაფვა ჰეროსტრატესეული დიდებისაკენ

სახელსა და დიდებას სხვადასხვანაირად იხვეჭენ. ჰეროსტრატემ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 356 წელს დაწვა არტემიდას ტაძარი, რათა როგორმე უკვდავეყო თავისი სახელი. ჰეროსტრატეს დიდება აშკარად მოსვენებას არ აძლევს მაო ძე-დუნს. და აი იგი შეებრძოლა სოციალისტური სახელმწიფოების თანამეგობრობას.

მაომ და მისმა ხროვამ მთელი თავიანთი ძალა მიმართეს სწორედ იქით, რომ შეარყიონ ძმური ქვეყნების ერთიანობა, დაანგრიონ ის ორგანიზაციულ-პოლიტიკური სამაგრები, რომლებიც ამჭიდროებენ და აერთიანებენ სოციალისტური თანამეგობრობის ხალხებს.

სსრ კავშირთან ურთიერთობის გაუარესების პეკინურმა კურსმა თავი იჩინა სასაზღვრო ინციდენტებშიც.

1960 წლამდე საზღვრების თაობაზე არავითარი საკითხი არ იყო წამოჭრილი; პირიქით, ორივე ქვეყანას შორის ხორციელდებოდა ფართო თანამშრომლობა: მოეწყო ამურის აუზის ერთობლივი კომპლექსური გამოკვლევა, ორივენი ეხმარებოდნენ ერთმანეთს ტყის ხანძრების ჩაქრობის დროს, ტარდებოდა ურთიერთშეთანხმებული ღონისძიებები გემების მიმოსვლისა და თევზის ჭერაში, ასევე ითქმის საძოვრების გამოყენებაზე, საქონლის გადარეკვაზე და ა. შ. საბჭოთა მესაზღვრეები იცავდნენ საზღვარს ჩინეთთან, ჩამოყალიბებულს ისტორიულად და განსაზღვრულს XVII-XIX საუკუნეებში რუსეთსა და ჩინეთს შორის დადებული ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით.

1960 წლის ივნისის ბოლოს, როცა ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მოძმე პარტიების ლენინური კურსის წინააღმდეგ, ჩინეთის ხელისუფლებმა მოაწყეს ინციდენტი საზღვრის დასავლეთ უბანზე, იმ რაიონში, რომელიც ბუზ-აიგირის უღელტეხილის ჩრდილოეთით მდებარეობს. ინციდენტი მოწესრიგებულ იქნა საბჭოთა კავშირის მთავრობის მეგობრული და მშვიდობიანი პოზიციის წყალობით.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელიც საზღვრის დამრღვევთა უკანონო მოქმედების გამართლებას ცდილობდა, განაცხადა, რომ აუცილებელია კონსულტაციების ჩატარება სადავო საკითხების გადასაწყვეტად. ჩინეთის მხარე ამტკიცებდა, თითქოს საზღვრის ზოგიერთი უბანი „არ არის დადგენილი", ხოლო „დადგენილი ნაწილიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმოქმნის შემდეგ არ იყო ხელახლა გამოკვლეული ჩინეთისა და საბჭოთა მხარეების მიერ".

საბჭოთა ნოტაში, რომელიც 1960 წლის 29 ოქტომბერს გადაეცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ნათქვამი იყო, რომ სსრ კავშირის მთავრობას არაფერი აქვს საწინააღმდეგო მოეწყოს მეგობრული კონსულტაციები დიპლომატიური არხებით, თუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ამას დაჟინებით მოითხოვს, თუმცა საკითხი — ეკუთვნის თუ არა ბუზ-აიგირის უღელტეხილის ჩრდილოეთით მდებარე რაიონი სსრ კავშირს — სადავოდ არ მიაჩნია.

1962 წლის ივნისიდან დაიწყო სისტემატური პროვოკაციები სსრ კავშირის საზღვარზე. უნებართვოდ იკავებდნენ საბჭოთა უბნებსა და კუნძულებს. სხვადასხვა ადგილებში საზღვარს მასობრივად გადადიოდნენ ჩინელი მოქალაქეები და სამხედრო მოსამსახურეები. საბჭოთა მესაზღვრეების მოთხოვნას დაბრუნებულიყვნენ ჩინეთის მხარეზე, საზღვრის დამრღვევნი ლანძღვა-გინებით უპასუხებდნენ. უცხო ტერიტორიაზე ისინი ცდილობდნენ შენობების აგებას, თივის გათიბვას, არხების გათხრას, თევზის დაჭერას, სათბობის დამზადებას.

ეს პროვოკაციული მოქმედებანი ხორციელდებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფალთა წაქეზებით. 1962 წლის 26 ოქტომბერს ხეილუნძიანის პროვინციის სახალხო კომიტეტმა მესაზღვრეთა საგუშაგოებს, სამაზრო და საქალაქო სახალხო კომიტეტებს დაუგზავნა ფარული დირექტივა: მეთევზეებმა თევზი უნდა დაიჭირონ სსრ კავშირის კუთვნილ წყლებში. როცა საბჭოთა მესაზღვრეები დაიწყებენ გეოგრაფიული რუკების ჩვენებას, არაფრად არ უნდა ჩააგდონ ის რუკები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო ხელისუფლებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა წამოიყვანონ მეთევზეები მდინარე ამურისა და უსურის კუნძულებიდან, საბჭოთა მხარე კი, თითქოსდა ზომებს არ მიიღებს მათ გამოსაძევებლად. და თუ ეს მაინც მოხდა, მაშინ ჩინეთის წარმომადგენლებმა, —' ასწავლიდა ეს დირექტივა, — უნდა განაცხადონ, რომ საბჭოთა მხარე ძირს უთხრის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მეგობრობას და მოქმედებს უკანონოდ.

1964 წელს პეკინში შედგა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის წარმომადგენელთა კონსულტაციები სასაზღვრო ხაზის დაზუსტების თაობაზე. ეს კონსულტაციები ნახევარი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, მერე დროებით შეწყდა. გათვალისწინებული იყო მათი გაგრძელება მოსკოვში. 28 სექტემბერს საბჭოთა მთავრობამ გამოთქვა მზადყოფნა განეგრძოთ კონსულტაციები 15 ოქტომბრიდან, მაგრამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ არ უპასუხა ამ წინადადებაზე.

თუ რამდენად გაეღვიძათ მტაცებლური მადა ჩინეთის ხელმძღვანელებს, ჩანს მაო ძე-დუნის განცხადებიდან იაპონელ სოციალისტების ჯგუფის წინაშე 1964 წლის 10 ივლისს. „დაახლოებით ასი წლის წინათ, — თქვა მან, — ბაიკალიდან აღმოსავლეთით მდებარე რაიონი რუსეთის ტერიტორიად იქცა, და იმ დროიდან მოყოლებული ვლადივოსტოკი, ხაბაროვსკი, კამჩატკა და სხვა პუნქტები წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ტერიტორიას. ჩვენ ჯერ კიდევ არ წარგვიდგენია ანგარიშები ამ რეესტრის მიხედვით".

რის საფუძველზე აცხადებენ პრეტენზიებს მიწებზე, რომლებიც არასდროს არ ეკუთვნოდა ჩინეთს? საბუთი ასეთი იყო: მრავალი ასეული წლის წინათ ამ რაიონებში მოდიოდნენ ჩინეთის ჯარები, და ბოგდიხანი ოდესლაც ხარკს იღებდა ადგილობრივი მცხოვრებლებისაგანო.

კაცობრიობის ისტორია სავსეა სახელმწიფოთა წარმოქმნისა და დაცემის, აგრეთვე ხალხთა გადასახლების მაგალითებით, როცა ქვეყნებს შორის საზღვრები არაერთხელ იცვლიდნენ თავიანთ მოხაზულობას. ამგვარი მსჯელობით შეიძლება დავამტკიცოთ ისიც, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვარი გადის დიდი ჩინური კედლის გაყოლებით. ოდესლაც ხომ ნამდვილად აქ გადიოდა ჩინეთის საზღვარი, რასაც ნათლად მოწმობს თვით ეს კედელი.

„ისტორიული უფლებების" დამოწმებაც რომ სერიოზულად მივიღოთ, მაშინაც კი არ შეესაბამებიან ისინი ფაქტებს. XVII საუკუნის შუახანებში ჩინეთის სამფლობელოები ვრცელდებოდა მხოლოდ ხინგანის ქედამდე, ე. ი. ამურისა და არგუნის ბევრად უფრო სამხრეთით. ხინგანიდან ჩრდილოეთით მთელ ტერიტორიაზე დასახლებულნი იყვნენ ევენკები, დაურები და სხვა ადგილობრივი ტომები, რომლებსაც თავს ესხმოდნენ ხოლმე მანჯურიელები. მკვიდრი მანჯურიელი და ჩინელი მოსახლეობა ამურისპირეთში არ იყო. რუსეთის მიერ ამურის ჩრდილოეთ აუზისა და ჩინეთის მიერ სამხრეთის ათვისებისას მიმდინარეობდა ფაქტიური საზღვრების დადგენის პროცესი. 100 წლის წინათ საზღვრების ასეთი მდგომარეობა დამტკიცებულ იქნა აიგუნისა და პეკინის ხელშეკრულებებით.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობამ თავისი არსებობის პირველსავე წლებში გააუქმა ცარიზმის ყველა არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება ჩინეთთან; ვ. ი. ლენინი სასტიკად ჰგმობდა მეფის მთავრობის მიერ პორტ-არტურის ხელში ჩაგდებას და მანჯურიაში შეჭრას. მაგრამ სწორედ ლენინი, და არა სხვა ვინმე, ამბობდა: „...ვლადივოსტოკი შორს არის, მაგრამ ეს ქალაქი ხომ ჩვენია".

სსრ კავშირი არის სახელმწიფო, რომელიც წარმოიქმნა მეფის იმპერიის ნამსხვრევებზე შექმნილი საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად. საბჭოთა კავშირის საზღვრები წარმოიქმნენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე, ხალხთა ნებაყოფლობითი მიზანსწრაფვის შედეგად. სსრ კავშირის ხალხები არავის ნებას არ მისცემენ ხელჰყონ მათი წმიდათაწმიდა უფლებანი.

ინტერესმოკლებული არ იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მაშინვე ცნეს ჩინეთის „ისტორიული საფუძველი" სსრ კავშირისადმი ტერიტორიული პრეტენზიების წასაყენებლად. იქ აშკარად ისწრაფვიან იმისკენ, რომ გამოიწვიონ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის გამწვავება საზღვრის ხაზის წარმოქმნის საკითხის თაობაზე. ამერიკული საგარეო პოლიტიკის სტრატეგთა პროპაგანდისტული მანევრების ჭეშმარიტი მიზნები აშკარა გახადა 1966 წლის 25 აპრილს გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა". სტატიაში „კონფლიქტი ამურზე?" ნაწინასწარმეტყველები იყო ინციდენტების წარმოქმნის . შესაძლებლობა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვარზე ჩინეთის მთავრობის მიერ სასაზღვრო მდინარეებზე ცურვის ახალი სანავიგაციო წესების შემოღებასთან დაკავშირებით. სტატიის ავტორები აცხადებდნენ: „ასეთ დაბალ დონეზე მომხდარი შეტაკებები შეიძლება გადაიზარდონ ბევრად უფრო სახიფათო განხეთქილებებად".

მაოისტები ყოველ ნაბიჯზე ცხადყოფენ თავიანთ ექსპანსიონისტურ მისწრაფებებს, ცდილობენ დათესონ ხალხთა და სახელმწიფოთა შორის მტრობის შხამიანი თესლი.

აი, რატომ არის, რომ მაოისტ პროვოკატორთა შავბნელი საქმეებით ხარობენ მხოლოდ იმპერიალისტური რეაქციის ძალები.

* * *

ჩინელი პროვოკატორების ყაჩაღურმა თავდასხმამ კუნძულ დამანსკის რაიონში ნათელყო, რომ მაოს ხროვა საბოლოოდ დაექანა დიდმპყრობელური შოვინიზმის პოზიციებზე.

მთელი საბჭოთა ხალხი გადაჭრით ჰგმობს მაოისტთა მიერ ჩვენი მიწა-წყლის თავხედურ ხელყოფას, ჩინელ პროვოკატორთა აგრესიულ მოქმედებას ჰგმობს მთელი მოწინავე კაცობრიობა.

დაე, დაიხსომონ აგრესიულ ავანტიურათა მოყვარულებმა: საბჭოთა საზღვრები მუდამ მტკიცედ დაცული იყო და იქნება. და ყოველი ცდა — დაარღვიონ ეს საზღვრები მუდამ აწყდებოდა და კვლავაც წააწყდება მტკიცე წინააღმდეგობას. ასეთია დიდი საბჭოთა ხალხის განუხრელი ნება.

---

* წიგნიდან «Левее здравого смысла».

# შალვა მამალაძე



მთიულეთი.



ძველი წისქვილი.



სოფ. ახალქალაქი (კასპი).



აქ ვაქვეყნებთ ცნობილი ქართველი საბჭოთა მხატვრის შალვა მამალაძის (1895-1963) პეიზაჟების რეპროდუქციებს საერთოდ ამ მხატვრის პეიზაჟები გამოირჩევიან თავისი ლირიკული სითბოთი — აქაა ჩვენი ბუნების უბრალო და მომხიბვლელი სილამაზე; ბუნების ამ შესანიშნავი მომღერლის სურათები ცოცხლად წარმოგვიდგენს საქართველოს ცალკეული კუთხეების განუმეორებელ კოლორიტს.

ნიკორწმინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფელი უტაში (ტამანსა და ანაპას შუა) ნანგრევებად იყო ქცეული.



ანაპის გარეუბანში.



1943 წლის ოქტომბერი. ტამანის ბრძოლების შემდეგ.

# [illegible]



მაიორი ანტონ ბაქრაძე.

ცხრაასორმოცდასამი წლის შემოდგომა იყო; ჩვენმა ჯარებმა ჩრდილოეთ კავკასიაში გაარღვიეს ჰიტლერელების ე. წ. „ცისფერი ხაზი“; ბრძოლების ავანგარდში იმყოფებოდნენ პოლკოვნიკ გიორგი ყურაშვილის 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეომრები. იმ ხანებში, ანაპის განთავისუფლების აღსანიშნავად ხსენებულ ქართულ დივიზიას მიენიჭა ანაპის სახელი და ფრონტის სარდლობის ბრძანებით, განლაგებულ იქნა ქ. ანაპასა და მის მიდამოებში.

ანაპელები აუწერელი სიხარულითა და ზეიმით შეხვდნენ თავიანთ განმათავისუფლებელ ქართველ მეომრებს.

ამას ზედ დაერთო მეორე სიხარულიც. ნოემბრის პირველ დღეებში, ჩვენს დივიზიას ესტუმრა საქართველოს მშრომელთა დელეგაცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მიხა ბარამიას მეთაურობით. დელეგაციაში, სხვებთან ერთად, იყვნენ ქართველი პოეტები გიორგი ლეონიძე და სიმონ ჩიქოვანი, მსახიობი აკაკი ხორავა, მხატვრები უჩა ჯაფარიძე და შალვა მამალაძე.

სტუმრები ეწვივნენ დივიზიის პოლკებსა და ქვეგანაყოფებს, ისინი მეომართა წინაშე გამოდიოდნენ ამაღელვებელი სიტყვებით. პოეტები კითხულობდნენ თავიანთ ლექსებს. არც მხატვრები დარჩენილან ვალში — მათ ქაღალდზე გადაჰქონდათ მტერთან ბრძოლებში სახელმოხვეჭილ მეომართა სახეები. მე თან ვახლდი დელეგაციის წევრებს მათს მოგზაურობაში და რითაც შემეძლო ვეხმარებოდი.

ერთ დღეს, როცა სტუმრები ეწვივნენ პოდპოლკოვნიკ კალისტრატე მანაგაძის პოლკს, სანამ მებრძოლებთან შეხვედრა დაიწყებოდა, შალვა მამალაძემ მთხოვა:

— თქვენ აქ შინაური კაცი ხართ. ყველას იცნობთ. შემირჩიეთ მოწინავე მებრძოლები, მინდა მათი პორტრეტები დავხატო.

პოლკის მეთაურმა დამისახელა რამდენიმე მეომარი, რომელთაც პირადად ვიცნობდი, მოვნახე ყველანი და მხატვარს წარვუდგინე. შალვამ ისინი წაიყვანა მოშორებით, პატარა სახლის აივანზე, და შეუდგა მუშაობას.

მხატვარს ფრონტული პეიზაჟებიც აინტერესებდა. ასე გაჩნდა შალვა მამალაძის ფრონტული ჩანახატები ჩვენი დივიზიის ცხოვრებიდან.

მახსოვს, როცა ქართველ მეომართა ერთ სახელდახელო მიტინგზე გიორგი ლეონიძემ წაიკითხა ანაპელებისადმი მიძღვნილი თავისი ლექსი, შორიდან გაისმა ხმა:

— ახლა მე მომეცით სიტყვა!

მიიხედ-მოიხედეს და მებრძოლთა შუაგულიდან გამოიჭრა ბრგე ტანის ახოვანი ვაჟკაცი, რომელიც ტრიბუნისაკენ მიიწევდა.

— ჩვენი მოლექსე, ჩვენი დივიზიის პოეტი, — გაისმა აქეთ-იქიდან.

ეს გახლდათ მამაცი მებრძოლი, გურჯაანელი ალექსანდრე ლორთლიშვილი. ავიდა ტრიბუნაზე, მადლობა გადაუხადა საქართველოდან ჩამოსულ სტუმრებს სამშობლოდან თბილი სალამის ჩამოტანისათვის და ახლა თავისი ლექსი წაუკითხა მეომრებს

ლეონიძეს ძალიან გაუხარდა, ფრონტელი მოლექსე რომ აღმოაჩინა, ხოლო მამალაძემ, ლორთლიშვილს არც კი დაემთავრებინა სიტყვა, მთხოვა:

— ეგ თქვენი პოეტი აუცილებლად უნდა დავხატო, ძლიერ გთხოვ მიტინგის მერე ნურსად გაუშვებ.

შალვას თხოვნა შევუსრულე; ასე რომ, ფრონტზე თვითეულ მის ჩანახატს თავისი ისტორია აქვს.

მოკლე ხანში ჩვენმა მებრძოლებმა დიდად შეიყვარეს მხატვარი, რომელმაც ჩვენს ხალხს დაუტოვა გამოჩენილ ქართველ მეომართა პორტრეტების მთელი სერია (აქ იბეჭდება ამ ნახატების მხოლოდ ერთი, მცირე ნაწილი).

შალვა მამალაძის ნახატებში ნათლად ჩანს ეროვნული ხასიათები, ქართველი ვაჟკაცის შემართება.

ფრონტზე მოგზაურობიდან დაბრუნებისას შალვა მამალაძემ ეს ჩანახატები გამოაქვეყნა თბილისის გაზეთებში. ამას გარდა, დაწერა მშვენიერი ნარკვევი „ფრონტელებთან“, რომელშიც მთელი ძალით იგრძნობოდა მხატვრის პატრიოტული მგზნებარება და კეთილშობილური გული.

**არჩილ კოკილაშვილი**

ანაპის 414-ე ქართული დივიზიის წითელარმიული გაზეთის ყოფილი რედაქტორი.



რიგითი ჯარისკაცი ალექსანდრე ლორთლიშვილი



მაიორი ენუქი ქანთარია.



მაიორი შალვა ფრანგიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფლის გზაზე.

ფოტო ო. თურქიასი და ბ. დადვაძისა.



**ილია რურუა**

მოთხრობა

სამუშაო საათები ჯერ არ დამთავრებულა, შოთა კი უკვე სადერდელს უშლის ძმაკაცებს. ერთი საყვარელი, გულში ჩაგიხუტე ბიჭია, ყველა მხიარულებისა და პურისჭამის მოთავე.

შოთას მაგიდასთან შემოჯარულთ მხოლოდ აბიბო გასდგომია, გარეშე თვალი ამას, ალბათ, აბიბოს სიდარბაისლითა და ჭაღარით ახსნის. სინამდვილეში მიზეზი სხვაა. ძველი ჟურნალისტი შემოქმედებითს ბურანშია გახვეული.

„— გეგმას მაინც შევასრულებთ! — მტკიცედ განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და შემდეგ თავისი გულისწყრომა გამოთქვა ნალექების მისამართით", — ჩამოფქვა მისეპურად კიდევ ერთი წინადადება. ამ დროს ისეთი რამ გაიგონა, პირდაპირი სული შეუგუბდა.

— ...შემდეგ შემოაქვთ „გლეხური", — ეუბნება ბიჭებს შოთა, — თეფშებით კი არა... ნამდვილი, გაშავებული ტაფით, მაყალზე დადგმული...

— ჰო, ჰო!

— იფ, იფ!

აბიბოს, რომელსაც ჩვეულებრივი კარგად დანაყრების შემდეგ ყველა კაბინეტი ჩამოვლილი ჰქონდა და ხუთიოდე გრაფინი წყალი შეხვრეპილი, სლოკინი აუვარდა.

— დგას ტაფა მაგიდის შუაგულში, — განაგრძობს შოთა, — შიგ კი დეკეულის ჩვილი, ჩაბუჟბუჟებული ხორცი ფშვინავს. ხომ გინახავთ, ცხელი ღომი რომ ქვაბში...

— ღომი, არა, ის არ გინდა?! — ამოიგმინა მთაკაცმა, — გემრიელად მაინც მოყევი, შე ოხერო!

— მაინც როგორ?! — თვალი ჩაუკრა შოთამ ბიჭებს და ხელები მოიფშვნიტა.

აბიბო ბიჭებთან მიბაჯბაჯდა.

— უნიჭოები ხართ, მაშ რა! აბა, ეგეთი რამის ღომთან შედარება იქნება? დაიცათ, მე გითხრათ...

— აბა, ჰა!

— მიდი, შენებურად!

— მაშ, ტაფით შემოიტანეს და აქ დადგეს არა?! — თითქოს კერძი მართლა მაგიდაზე დგასო, აბიბო წინ გადაიხარა, ხარბად შეისუნთქა ჰაერი და შემდეგ მსუქანი ლოყები ჟანგბადის ბალიშივით გამობერა. — ფშშ... ფშშ... ფშვინავს, ბუყბუყებს. შენც აიღებ შოთს, გემოზე მოხევ, მოიმარჯვებ და პირდაპირ შუაგულში აძგერებ. თან დააძახებ — კიდევ არ გაჩუმდები, შე ვერანავ, შენა!

— მორჩი რა!

— გავთავდი კაცი!

— დაგვხოცე და ეგ არი!

აბიბომ არც აცია, არც აცხელა, თავის მაგიდას მივარდა და ხელნაწერები უჯრაში ჩახვეტა.

— მაშ წავსულვართ, ა?!

— წავიდეთ, მაგის ღდინიც არ იყოს!

ის იყო აბიბომ თავისი პატივცემული ლიპი კარებში გაატია, რომ რაღაც გაახსენდა და ხელი ხელს შემოჰკრა:

— ვაა! სიღნაღი რომ მყავ გამოძახებული?!

დაფეთებულმა ბიჭებმა რა არ თქვეს, რა არ მოჩმახეს. ხათრიან აბიბოს სხვა რა დარჩენოდა — კარგი, ლაპარაკი ხვალისთვის გადამიდვიაო, რომ რაღაც იღბლად ტელეფონმაც დარეკა.

— სიღნაღია?! — სიხარულით კინაღამ ხელში შემოეფშვნა ყურმილი, — ნიკო, შენა? ვაჰ, შენი ჭირიმე... ისე როგორა ხარ ჯანზე? ვაართ რა! კოტე?.. რა უშავ... ვერაა... ძველებურად ვეღარა სვამს... როგორ დაგივიწყებთ, კაცო! ხვალ მივდივართ. მაშა... არა, მანქანა გვყავ... ჰო, ჰო... კარგი!

—აბიბო, რატომ სულ კახეთისაკენ მიიჩქარები?— მზაკვრულად თვალებს ჭუტავს შოთა. ბიჭები ისუსებიან. იციან, აბიბოსათვის ეს კითხვა იგივეა, რაც დანიის პრინცისათვის „ყოფნა-არყოფნის" საკითხი. — წინა კვირას არ იყავი, განა?

— ვიყავი, მაშა! — ცოტა არ იყოს დაბნეულად ამბობს ჟურნალისტი და იქვე შეტევაზე გადადის,— რა ჩემი გიკვირთ, თქვე კაი ხალხო... განა ბენო ჩემზე ნაკლებს დადის?

— შენ წარმოიდგინე დღემდე თელავშია.

აბიბო შეხტა:

— მერედა რას ჩამჯდარა იქა ამდენი ხანი, სოფელთან მაგას რა ესაქმება?! გამაგიჟებს რა ეს კაცი!

ბიჭები უკვე ხარხარებენ. ზუსტად მოარტყეს ნიშანში. ძალიანაც რომ არ გინდოდეს, მაინც ვერ ააცილებ ეგეთი ალალი გულის კაცს.

აბიბო, საერთოდ, მიწის მაშვრალადაა გაჩენილი. მისი ძლიერი სხეული და გლეხკაცური სული ოთხ კედელში ვერ ძლებს, იხუთება. ამიტომაც, სულ გაქცევაზე უჭირავს თვალი. მივლინებასაც არ მოგთხოვს, ოღონდ გაუშვი. თუ მივლინების თანხა ამოწურულია და ისე თანამგზავრი ვერ იშოვნა, იტყვის ხოლმე: ისეთი ქვეყანა გვაქვს, მივლინება რად გინდა, სულ ჩოქვით უნდა გქონდეს შემოვლილიო.

სხვა გატაცებაცა აქვს—ვაჟა! სახლში ზეთის საღებავებით შესრულებული დიდი სურათი უკიდია— ვაჟა ბუხრის წინ ზის და ფანდურს აჩხაკუნებს.

მხატვარს, რომელმაც ამ სურათის პირი გადაიღო, სანადირო თოფიც კი აჩუქა. მერე რა თოფი! მთელ თბილისში ასეთი თოფი მარტო ერთ რომელიღაც გადამდგარ გენერალს ჰქონია თურმე.

სურათი მაინცდამაინც დიდი ღირსებით არ ბრწყინავს, მაგრამ პატრონს ძალიან მოსწონს. სტუმარს პირველად ეს სურათი უნდა უჩვენოს.

* * *

აბიბო შოფრის გვერდით დასვეს. პატივისცემა პატივისცემად, თან ერთი ადგილიც დაზოგილია.

ოქროყანის გადასახვევთან ტაქსი გაუჩერდათ.

— აი, რომ არ დამიჯერეთ! — აბუზღუნდა აბიბო. — დაიჩემეთ ფუნიკულიორი, ფუნიკულიორიო. არ აჯობებდა, სოღანლუღში წავსულიყავით?! მიწაზე მაინც გედგმებოდა ფეხი კაცს.

— ისე გაჯახირებულად მოდიოდა, ვიცოდი გზაში დაგვტოვებდა, — ბანზე აუგდო სიტყვა შოთამ.

— მერე, ბენზინის როგორი სუნი იდგა შიგ. თავი მისკდება პირდაპირ, — შესჩივლა თანამგზავრებს ელგუჯამ.

— რას ამბობ, კაცო! — გაიოცა აბიბომ. — ბენზინის სუნს რაიმე ჯობია?! პირდაპირ ვგიჟდები. რუსთაველზე ხანდახან განგებ გავდივარ მაგისთვის. ვაა, რა ნაზები ხართ!

— არ გაგიგია, მანქანის ნამწვავი გაზი კიბოს აჩენსო?

— კიბო არა!

მანქანის გაკეთებას შეაგვიანდა. ბიჭები აწუწუნდნენ. აბიბომ დაუცაცხანა — რა ვაჟკაცები ხართ, ფათერაკს ერიდებითო.

ფათერაკის ხსენებაზე ელგუჯამ ერთი ამბავი მოაგონა — ის როგორ იყო, ამას წინათ მივლინებაში ყოფნისას, მანქანა შუა წყალში რომ გააჩერებინე და იქიდან გადმოგვყარეო.

— მა რა უნდა მექნა, — ხითხითებს აბიბო, — სიცოცხლეში ფეხი არ დაგსველებიათ ცივ წყალში. თუ მიხვდებით, თქვენი მადლი მოვიკიდე. ასე არ არის განა?! — მიუბრუნდა პირველად გაღიმებულ შოფერს.

— აგრეა, აგრეა, ძია კაცო!

— ის როგორ იყო, ასკოკიანი ქვევრის თავზე გაშლილი სუფრა მასპინძელს უკან რომ გამოაწევინე, — ალაპარაკდა ვანოც, — სულ აგვიგდე. ეს ბავშვები ქალაქიდან ხელწერილით გამომატანეს, შიგ არ ჩაგვიცვივდნენ, ქვევრი მაგათ არც უნახავთო.

აბიბო ოღონდ ასეთ რამეზე ალაპარაკე.

ერთხელ, თურმე, ცნობილი მწერლის პატივსაცემად მოწყობილ ვახშამზე მოხვედრილა რაიონში. მწერალი განცვიფრებულა აბიბოს ჭამა-სმის ნიჭით. სხვა მხრივაც მოსწონებია. სუფრიდან რომ აშლილან, თავის მანქანაში ჩაუსვამს, დაუმგზავრებია. ამა და ამ კერძზე როგორა ხარო... დაუყრიათ და დაუყრიათ ერთმანეთისათვის ნეტარსახსენებელი ლუარსაბის საყვარელი კითხვები. მწერალს მალე ხელები აუწევია. აბიბოს კი თბილისში ჩამოსვლამდე ჩამოუთვლია, მაგრამ რა ჩამოუთვლია! განცვიფრებულ მწერალს უთხოვია კიდეც, თუ ძმა ხარ, ერთი საგანგებოდ შემომიარე სახლში, ეგეები ჩამაწერინეო.

ფუნიკულიორზე ხალხი ცოტა იყო.

რესტორანის აივანზე მყუდრო ადგილას დასხდნენ ხალვათად. თამადად შოთა აირჩიეს.

სვამდნენ ძალდაუტანებლად, ჩვეულებრივი ღვინის ჭიქებით.

აბიბომ ერთხანს ითმინა, ბოლომდე ვეღარ მოითმინა. საიდანღაც კანაფის წვრილი თოკი ამოაძვრინა და ყველას დასანახად მუშტში ჩაბღუჯულ ჭიქას შემოახვია პირზე.

## ლია ჭავჭავაძე

### მზის მემკვიდრე

როცა მე აღარ ვიქნები,
რა ვიცი, რა იქნება მერე,
მაგრამ მე მინდა დარჩეს
ქვა — ქვაზე,
წყარო — მთებში,
კაცი — მთაზე,
ია — ტყეში,

და, მზე დარჩეს, ჩემი წილი,
სხვის თვალებში...

როცა მე აღარ ვიქნები,
მან იცის, რაც იქნება მერე...

### ესპანური პეიზაჟი

სძინავს გვადალკვივირს,
მთვარესთან დადის,
პატარა, მშიერი გიტანო,
ისმინე კივილი:
— ის ხარია. და მე კი ვარ კაცი,
რად მიმატოვე, გიტარა?

ხვალაც მზე ამოვა,
მზე სულ პაწაწინა,
მზე რადღა ილევა, ნეტავი,
ვიღაცამ წაგვართვა,
ვიღაცამ გაგვწირა,
წაიღო სიცოცხლის ნექტარი,
ნეტავი კიდევ, მწყემსების „ოლეს“,
გავიგონებდე, ნეტავი!

იმღერე, გეხვეწები, გამითბე ქოხი,
ორემ ნაღველმა მიტანა,
გიტარა,
ვინ დაგადგა ჩექმიანი ფეხი
გიტარა...

# ცხრათვალა მზის ქვეშ

„ცხრათვალა მზის ქვეშ“ — ასე ეწოდება ნიკო კეცხოველის ახალ წიგნს. ეს თავისებური ჟანრის ნაწარმოები, რომელიც „ნაკადულმა“ გამოსცა, დიდად საინტერესოა ჩვენი ახალგაზრდობისათვის, საერთოდ ჩვენი მკითხველისათვის. ეს მეტია, ვიდრე მოგზაურის დღიური. ავტორს დავყავართ ქართულ მიწაზე, სოფლიდან სოფელში, მთასა და ბარში და ჩვენთან ერთად დაეძებს იგი ყოველი მინდვრის, უფრო მეტიც — ხისა თუ ბალახის, ტბისა თუ მდინარის წარმოშობასა და სახელწოდებას, თითქოს ეფერება მათ, რომ მეტი ათქმევინოს სამშობლოს წარსულზე, აწმყოზე. ყველას არ შეუძლია ასეთი წიგნის დაწერა — აქ მწერლისა და მეცნიერის ნიკო კეცხოველის მთელი ცხოვრების გამოცდილებაა, ხოლო როგორ იცნობს ნიკო კეცხოველი ქართულ ყოფასა და ცხოვრებას, ეს ყველამ კარგად იცის.

წიგნს ჰყავს თავისი გმირები, ისინი დადიან ჩვენს სამშობლოში; აღმოსავლეთ საქართველოში მათ მოუვლიათ სამგორი, გარეჯი, ალამდარა, შირაქი, ელდარი, პანტიშარა, ვაშლოვანი, კასრის წყალი, გული შირაქი, ალაზნის ველი: მოსაბრუნი, ხორანთა, მილარი; უფრო დასავლეთით და სამხრეთით კი მცხეთა, ქვათახევი, მანგლისი, ფარცხისი, ფიტარეთი, ტანძია, დმანისი, გომარეთი, კლდეკარი, რკონი და კასპი, წიგნის პერსონაჟთა დიალოგები ძალზე ცოცხალია და საინტერესო, იგი აღვივებს და აძლიერებს მკითხველის ინტერესს აქ აღწერილი მიდამოების აწმყოსა და წარსულისადმი.

ასეთი ჟანრის წიგნისათვის აუცილებელი იყო არა მარტო მწერლის ცოცხალი სიტყვა, არამედ მეცნიერული ჰორიზონტის სიფართოვეც; ამ ორი თვისების შერწყმამ წიგნს მეტი ინტერესი შესძინა.

არა მარტო მთელ ქვეყანას, ყველა მინდორს თუ მთას თავისი ისტორია აქვს. მწერალი ჩერდება თრიალეთთან და ერთ განმარტოებულ მუხას აღწერს. ბევრის მომსწრეა ეს ხე, მრავალი საუკუნე უცხოვრია და მის ფოთოლთა შრიალში ავტორს თითქოს მოესმის გარდასული ამბები. „ვდგევარ და ასე ვიდგები, — თითქოს ჰყვება მუხა, — აი, მოვესწარ იმ დროსაც, როდესაც ნატყევარ მთებსა და გორაკებს ახალი სიცოცხლის მახარობლები, წითელყელსახვევიანი ბავშვები შეესივნენ და რგავენ ხეებს, ბუჩქებს. აშრიალდება კვლავ ტყის ტევრი. ლოდებს შორის აღმოცენდა ჩემი ნაშიერი, იგიც მალე გაიზრდება, მხარში ამომიდგება“.

„დღეს თრიალეთის მუხას უხარია, — განაგრძობს ავტორი, — რომ ჩვენი ახალგაზრდობა მთა-ბარს შეესია და რგავს ხეებს, მუხასა და წიფელს, ფიჭვსა და ნაძვს, აკაციას და საკმლის ხეებს, თელასა და ნეკერჩხალს“.

ავტორი გვაცნობს ისტორიულ ძეგლებსაც, რომლებსაც ქართული კულტურის ისტორიაში დიდი როლი შეუსრულებიათ. აი, მოგზაურები გარეჯის მონასტერში არიან. „ჩვენთვის, ქართველებისათვის, — ვკითხულობთ წიგნში, — ამ მონასტერს ლოცვით კი არ მოჰქონდა „სარგებლობა“, აქაური ბერები ცვილის სანთლით ხელში მარტო საგოდებელზე კი არ ავედრებდნენ უფალს წინაპართა სულს, არამედ აქ იკრიბებოდნენ და მოღვაწეობდნენ მწიგნობარნი, მხატვარნი, ფილოსოფოსნი, იწერებოდა წიგნები და საგალობელნი, იქმნებოდა არქიტექტურისა და მხატვრობის იშვიათი ძეგლები, მარტო ის რად ღირს, რომ ამ უდაბნომ შემოგვინახა თამარ მეფისა და ლაშა გიორგის პორტრეტები ბერთუბანში, დიმიტრი თავდადებულისა — უდაბნოს ეკლესიაში“.

ამ წიგნს აქვს როგორც მხატვრული, ისე შემეცნებითი მნიშვნელობა; იგი ბევრ რამეს შესძენს მკითხველს საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ბუნების შესწავლის თვალსაზრისითაც.

თინა ჩიგოგიძე

---

— რახა შვრები, კაცო?!

— არ გეცოდებით, თქვე ულმერთოებო, რომ გადამცდეს?

შეიცოდეს. დიდ ჭიქებზე გადავიდნენ.

— ვა, ძლივს არ დავალბე ყელი! — ნეტარებს აბიბო და გამომშრალ ჭიქას მაგიდაზე აგორებს, — აბა, დაცალეთ!

ხუთიოდე სადღეგრძელოს შემდეგ ზოგმა ჩატოვება დაიწყო, ზოგიც ბოლომდე აღარ ივსებდა ჭიქას.

— გაავსე, გაავსე! — ბრაზობს აბიბო, — ვა, რა იწკნა-ბიწკნა ხალხში ჩავვარდი.

რომ აღარაფერი გაუვიდა, თვადაც დაიწყო ჩატოვება.

ელგუჯამ ნიშნისმოგებით გადახედა.

— იყოს, კეთილმა ანგელოსმა ფეხი დაისველოს, — მიუხვდა აბიბო.

— მაშინ, მოკაკვე თითი! — ჩააცივდა ელგუჯა.

— ჰაი დედასა!

ბიჭებმა იციან, რასაც ნიშნავს ეს ამოხვნეშა. ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, წნევამ დაგვიჯაბნა აბიბო. ოთხ-ხუთ ბოთლზე ჩამოვიდა.

— კაცო, მწვადის ასე დაწყობა იქნება?! — გაუჯავრდა აბიბო ოფიციანტს, რომელმაც ის იყო მწვადი ჩამოდგა მაგიდაზე, — სულ დაკარგეთ ლაზათი და ეგ არი!

ოფიციანტმა წაუყრუა და სხვა მაგიდას მიაშურა.

— ეჰ, არ დამიჯერეთ! — ახლა თანამოინახეებს მიუბრუნდა, — წავსულიყავით სოლანლუღში... ეგ რა მწვადია! მწვადს გემო მაშინა აქვს, მიწა რომ შეერევა და კბილებში კნაწა-კნუწს დაიწყებს.

— მართლაც საცოდაობაა, ჩვენ აქ გაყინული ხორცის მწვადებსა ვღეჭავდეთ, ბენო კიდევ იქ ქორფა ვარიებს ივლებდეს პირში, — თქვა ვანომ.

— ერთი სუფრაზე მომცა მაგისი თავი! — დაუფარავი ქადილით ინატრა აბიბომ.

— ეჰ, სადღა შეგიძლია ძველებურად!

— შენ კარგა იყავი, ჩემო შოთა... გინდა, აი იმითი დავლიოთ! — და ხელი როიალისაკენ გაიშვირა.

ბევრი იცინეს და იხუმრეს. ბევრი სადღეგრძელოც ითქვა.

აბიბოს სუფრაზე ყბედობა არ უყვარდა, სულ ორი-სამი სადღეგრძელო ეგულებოდა ისეთი, რომელსაც მთელ თავის მჭევრმეტყველებას ახმარდა.

— ერთი გულქართლი კაცი ვარ. ისეთი რა უნდა გითხრათ, ვინმე გავაკვირვო, მაგრამ შვილებისთვინა? შვილებისთვინ, რომ მითხრა, ჭიპსაც მოვიძრობ... კარგად იყავი შენი უღელი მოზვრით! — მიუჯახუნა ჭიქა ვანოს — ორი ვაჟის მამას.

ბიჭი არ ჰყავდა აბიბოს და ამიტომ გულდაწყვეტილი იყო. მაგრამ სამაგიეროდ სად არ ჰყავდა დათხოვილი თავისი ჯანიანი ქალიშვილები, სად არ გაედგა ფესვები თავისი ნაშიერებით. ყველაზე უფრო იმით ამაყობდა, ერთი ქალიშვილი მესხეთის განახლებულ მიწაზე რომ ეგულებოდა დასახლებული.

აუცილებლად მოიგონებდა ომში დაღუპულთ, არ ეწეოდა, მაგრამ ამ სადღეგრძელოს შემდეგ პაპიროსს გამოართმევდა ვინმეს. ასანთის კოლოფს ხელისგულზე გადმოაპირქვავებდა, რომ ასანთის ღეროს აღება შეძლებოდა და გააპოლებდა.

იცოდნენ, რომ აბიბოსათვის დროის ტარება ამით დამთავრებული იყო და შოთამაც სუფრა მოამრგვალა.

აბიბო ფუნიკულიორიდან ყოველთვის ფეხით ჩამოდიოდა. ნაცნობ ბილიკს გაჰყვებოდა ნელ-ნელა, პანთეონში შევიდოდა, ვაჟას სამარის ქვას ალერსით ხელს დაუთათუნებდა და სახლისაკენ გაუყვებოდა..

ახლაც ამ გზით მიაბოტებს.

ბიჭები მორიდებით და უხმაუროდ მიჰყვებიან მოშორებით. გრძნობენ, რომ აბიბო რაღაც კარგ ფიქრებთანაა განმარტოებული.

ხიბნელეში ისმის ღონიერი ნაბიჯების ხმა და შტოებს შეხლილი ბრგე სხეულის ფშვინვა.

აბიბომ როდი იცის, უკან რომ მიჰყვებიან. მიდის თავისთვის და აფორიაქებს ძილჩახვეულ მიწას.

# იდუმალი გრძნობა გულისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვახტანგ სიხარულიძე

აქ, ამ დოკუმენტურ მოთხრობაში სამი ამბავი მინდა გადმოგცეთ, რომელთა მოწმე და მონაწილე მე თვითონ ვიყავი, არაფერი გამომიგონია და დამიმატებია. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის აუხსნელი და იდუმალი ადამიანის სულსა და ცნობიერებაში. მე ვერც სახელს მოვუძებნი ამ გრძნობებს და არც რაიმე დასკვნების გაკეთებას ვაპირებ. „სასწაულებრივი", აქ, რა თქმა უნდა, არაფერია. იქნებ ყველაფერი ეს წინათგრძნობა იყოს, ან სრულიად უბრალო, დამთხვევა მოვლენებისა, როცა სიზმარში ნახული უცებ დაემთხვევა ხოლმე ცხადში მომხდარ ამბავს. არ ვიცი. მე მხოლოდ იმას მოგითხრობთ, რაც ვნახე და რაც სამუდამოდ დამახსომდა. დანარჩენი თქვენ თვითონ განსაჯეთ.

## ოდესის სადგურზე

ყირიმის ფრონტზე, მძიმე. ბრძოლების დროს, ჰიტლერელებმა საბჭოთა არმიის ბევრი დაჭრილი მეომარი ჩაიგდეს ტყვედ. მეც მათ რიცხვში ვიყავ. ყველა კეთილ ადამიანს აშოროს ის უბედურება და დამცირება, რაც ჩვენ თავს გადაგვხდა.

სახელდახელოდ მოწყობილ ტყვეთა ერთი ბანაკიდან მეორეში გადავყავდით. სიკვდილი სცელავდა შიმშილითა და ჭრილობებით ძალაგამოლეულ ჯარისკაცებს. ყირიმის დაუსრულებელი გზები მოფენილი იყო ბადრაგის ტყვიებით დაცხრილული საბჭოთა მეომრების გვამებით.

ტყვეობის მძიმე დღეებში ქართველებს დაგვიმეგობრდა ოდესელი ლეიტენანტი მიშა პლოხოტნიუკი. დარსა თუ ავდარში, ქარსა თუ წვიმაში ერთმანეთის მხარდამხარ მივდიოდით იმ გზებით, რომელთაც სულ ცოტა ხნის წინ გადაუარა ომის ქარცეცხლმა. ფეხით გავიარეთ გზა ქერჩიდან ფეოდოსიამდე, ფეოდოსიიდან ჯანყოიმდე, მატარებლით ჯანყოიდან დნეპრამდე, შემდეგ ისევ ფეხით დნეპრიდან ხერსონამდე; ნიკოლაევში ბარაკებში ჩაგვყარეს და სამხრეთ ბუგით ტრიხატში მოგვიყვანეს.

აქ რუმინელებს ჩაგვაბარეს.

საღამოთი, ბომბებით დანგრეული სადგურის შენობასთან სატვირთო მატარებელი ჩამოდგა. სასწრაფოდ შეგვრეკეს ვაგონებში, კარები მოგვიხურეს და გარედან მაგრად ჩარაზეს.

ორმოცდაათი კაცი ვიწრო ვაგონში დიდი გაჭირვებით მოვთავსდით, მწკრივებად დაწოლილნი, მჭიდროდ ჩავეწყვეთ. თუ ვისმეს სურდა გადაბრუნება, გვერდით მწოლი უნდა შეეწუხებინა, ხოლო ადგომას და გავლას თუ მოისურვებდა, ფეხებით უნდა გადასულიყო მწოლარეთა სხეულზე.

ჩვენი ეშელონი ზლაზვნით მიდიოდა წინ. სადგურებზე დიდხანს იდგა, შემხვედრ სამხედრო ეშელონებს აძლევდა გზას.

მგზავრობის მესამე დღეს, ადრიან დილით რომელიღაც სადგურში გავჩერდით. კარებთან მწოლებმა ჭუჭრუტანებიდან გაიხედეს და გვითხრეს: „ეტყობა რომელიღაც დიდ ქალაქში მოვედით, მაღალი სახლები მოჩანს, ხოლო სადგურის ბაქანზე ორიოდე კაცი დადისო".

თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ შორიდან მოგვესმა ძახილი:

— მიშა, მიშენკააა!

ძახილის ხმა ჩვენს ვაგონს უახლოვდებოდა.

ჩემს გვერდით მწოლი მიშა პლოხოტნიუკი წამოჯდა და ყური მიუგდო ძახილს. მერე მომიბრუნდა და მითხრა:

— დედაჩემის ხმაა!

— ჰო, გუშინ საღამოს დეპეშა რომ გაუგზავნე, ალბათ, ამიტომ დაგხვდა სადგურზე! — დაცინვით უთხრა პლოხოტნიუკს ვიღაცამ.

— შვილი ჩამოუვიდა ექსპრესით! — წამოიძახა ვაგონის სხვა კუთხიდან მეორემ.

ძახილის ხმა კი ახლოვდებოდა. ერთი ქალის ხმას, მეორე ქალისა მიემატა.

— მიშა! მიშაა! — ისმოდა ძახილი. ხმა უკვე ჩვენს ვაგონს უახლოვდებოდა.

— აქა ვარ, დედა, აქ! გალინა, აქა ვარ, აქ! — მთელი ხმით დაიყვირა პლოხოტნიუკმა, გზაში მწოლთ გადაახტა და ვაგონის კარებთან მიიჭრა.

გულისშემზარავი ყვირილი გარედან და ვაგონის შიგნიდან ერთმანეთში აირია.

ყველანი შეძრწუნებულნი და გაოგნებულნი მივჩერებოდით პლოხოტნიუკს, რომელიც ორივე მუშტით ურახუნებდა კარებს, ვერ წარმოგვედგინა, რომ ეს ჰალუცინაცია არ იყო და შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო.

ვაგონის კარები გაიღო, თოფებმოღერებული სამი რუმინელი ჯარისკაცი გააფთრებულნი იგინებოდნენ. მოშორებით მდგომი ორი ქალი ხელებგამოწვდილი გაიძახოდნენ: მიშა! შვილო! საყვარელო ძმაო!

ჯარისკაცები ქალებს ვაგონთან ახლოს არ უშვებდნენ, მიშასაც ემუქრებოდნენ — „არ გაბედო ვაგონიდან ჩამოსვლა, თორემ ტყვიას დაგახლითო".

ბაქანზე ხალხი შეგროვდა. დედა-შვილის საცოდაობამ ყველას გული შეძრა.

ბოლოს, თარჯიმანის თანხლებით მოვიდა ეშელონის უფროსი რუმინელი ოფიცერი და მიშას ძირს ჩამოსვლის ნება დართო.

პლოხოტნიუკმა ცოტა ხნის შემდეგ ვაგონის კარიდან რაღაც შეკვრა მოგვაწოდა, შემინახეთო და გაბრუნდა.

ვაგონში ჩამწყვდეულნი მოუთმენლად ველოდით პლოხოტნიუკის დაბრუნებას. მატარებელიც მის იღბლად დიდხანს გაჩერდა სადგურში, ჩვენც კმაყოფილნი ვიყავით: ვაგონის კარები ღიად დატოვეს, ჰაერი თავისუფლად შემოდიოდა და ეს ჩვენთვის დიდი შეღავათი იყო.

თურმე ოდესაში ვიმყოფებოდით, გარეუბანში, სატვირთო სადგურზე.

ოდესა! რომელ ჩვენთაგანს არ უოცნებია ენახა ეს შესანიშნავი ქალაქი. აი, ოცნება კი შეგვისრულდა, მაგრამ ვაი ამნაირ ნახვას!

ვაგონში ცხარე კამათი გაიმართა: ზოგნი ამბობდნენ, რომ, ალბათ, პლოხოტნიუკმა ვინმე ნაცნობი ნახა ტრიხატში და დააბარა, დამხვდითო. ამ აზრს არ იზიარებდნენ ისინი, ვინც უკანასკნელ დღეებში თითქმის განუწყვეტლივ იმყოფებოდნენ მიშასთან ერთად.

ბოლოს, ორთქლმავლის სიგნალმა გვამცნო, მატარებელი უნდა დაიძრასო.

მიშა გადაეხვია დედას და დას, შემოახტა ვაგონს, დიდხანს უქნევდა ხელს ბაქანზე დარჩენილ ატირებულ ქალებს და თვითონაც გულამოსკვნით ქვითინებდა.

როცა პლოხოტნიუკი ოდნავ დამშვიდდა, გვიამბო:

მარია პლოხოტნიუკს — მიშას დედას ღამით უცებ გამოღვიძებოდა, წამომჯდარიყო, სინათლე აენთო, ერთხანს თურმე გარინდებული იყო. მერე თავისი ქალიშვილი — გალინა გაეღვიძებინა.

— სიზმარი ვნახე, ჩვენი მიშა მატარებლით მოდის, უნდა დავხვდეთო.

გალინამ თურმე გაოცებით შეხედა დედას, იფიქრა — ჭკუიდან ხომ არ შეიშალაო.

— ადექი, მომეხმარე, რამე უნდა გავუმზადოთ საგზლად ჩემს ბიჭს.

— დედა, ეგ ხომ სიზმარია. მიშა ფრონტზეა, მტერს ებრძვის. აბა, აქ, ღრმა ზურგში, დაპყრობილ ტერიტორიაზე მიშას რა უნდა? შეუძლებელია ჩემი ძმა ოდესაში მომავალ მატარებელში იმყოფებოდეს. დამშვიდდი, დედა, მიშა აქ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ჯართან ერთად მოვა!

დედა კი თავისას არ იშლიდა. შეუძლებელი გახდა მისი გადარწმუნება, სადღაც გადამალული შაქარი ამოიღო, მეზობელი გააღვიძა, ყველი და ხაჭო სთხოვა, ერთადერთი ქათამი დაკლა, მოხარშა, მერე ქადები დააცხო.

დილის ოთხ საათზე დედას ყველაფერი გამზადებული ჰქონდა.

გალინა დედის საცოდაობით იწვოდა, ეხმარებოდა დედას, თან ფიქრობდა: გამოერკვევა თანდათან და ახირებულ ფიქრებს მოიშორებსო.

ოდესაში ღამით სიარული სასტიკად აკრძალული იყო; თუ განახავდნენ, ადგილზევე დაგხვრეტდნენ. მარია პლოხოტნიუკი კი, ყველაფერი რომ გაამზადა, ველარ ისვენებდა, რკინიგზის სადგურისაკენ მიიწევდა.

გალინამ დილის ხუთ საათამდე, როგორც იქნა შეაკავა დედა. კომენდანტის საათი ექვსზე მთავრდებოდა, მაგრამ მარია ჩაცმული, ფუთაში შეკრული მოსაკითხავებით ხელში, უკვე ეზოში იყო გამოსული.

დიდხანს ათვალიერეს ქუჩა ქალებმა, სანამ ეზოდან გაბედავდნენ გამოსვლას. მთელი გზა შიშის კანკალში გაიარეს. ორჯერ დაინახეს გერმანელთა

პატრული და სახლების დერეფნებში შეაფარეს თავი.

კომენდანტის საათი დამთავრდა. აქა-იქ მოქალაქეები გამოჩნდნენ ქუჩებში.

დედამ რატომღაც სატვირთო სადგურისაკენ გაუხვია.

გალინასათვის სულ ერთი იყო, საით წავიდოდა დედა, მთავარი ის იყო, რომ მას ვაჟიშვილთან შეხვედრის აკვიატებული აზრი გაფანტვოდა.

აი, სატვირთო სადგურიც.

ლიანდაგები ცარიელია, სადგურის შენობაშიც, მოსამსახურე რკინიგზელების გარდა, არავინ არის.

გალინამ რკინიგზის მორიგეს ჰკითხა: — „ხარკოვის მხრიდან სახალხო მატარებელი როდის ჩამოდგებაო".

სადგურის მორიგემ გაკვირვებით შეხედა ახალგაზრდა ქალს და უთხრა:

— აქ, საერთოდ სახალხო მატარებლები არ ჩერდებიან, ტყუილად მოსულხართ.

დედამ არ დაუჯერა გალინას რჩევას — სამგზავრო სადგურში წავიდეთო.

ბაქანზე ჩამოსხდნენ სკამზე. დედა ღრმა ფიქრებში ჩაფლული ჩუმად იჯდა, არც გალინა არღვევდა მყუდროებას.

ერთ საათზე მეტხანს ისხდნენ ასე დედა-შვილი.

სადგურზე სატვირთო მატარებელი ჩამოდგა, ვაგონების ბაქნებზე რუმინელი ჯარისკაცები იდგნენ. ვაგონის სახურავებიდან მრისხანედ გამოეშვირათ ლულები ტყვიამფრქვევებს.

სატვირთო ვაგონების რკინისბადეებიანი ვიწრო სარკმელებიდან ტყვეები იცქირებოდნენ.

ვიღაცამ სარკმლიდან დაიძახა:

— დედი, რომელი სადგურია?

ამ ძახილმა მარია პლოხოტნიუკი ფიქრებიდან გამოარკვია. სწრაფად დაავლო ფუთას ხელი, ეშელონის გასწვრივ ჩქარი ნაბიჯით წავიდა. მიდიოდა და ხმამაღლა გაიძახოდა: მიშა, მიშენკაა! მიშა პლოხოტნიუკი ხომ არავის გინახავთ?

ასე შეხვდნენ დედა და დაი ჩვენს მეგობარს.

## ბუდაპეშტი, ულუეს ქუჩა...

1945 წელი. ბუდაპეშტი... იანვარში წვიმებისა და ქარების შემდეგ ხორხოშელა თოვლი წამოვიდა.

გააფთრებული ბრძოლები იყო. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა, მან ყოველი ქუჩა, მოედანი თუ სახლი ციხე-სიმაგრედ აქცია.

უკრაინის მეორე ფრონტის სხვა შენაერთებთან ერთად, ჩვენი გვარდიული დივიზიაც მძიმე ბრძოლებით მიიწევდა წინ ბუდაპეშტის ქუჩებში.

ჩემს ბატალიონში, ისე როგორც სხვა ქვეგანაყოფებში, ხალხის დიდი დანაკლისი გვქონდა. ყოველ საღამოს შტაბში საველე ტელეფონით გადავცემდით ცნობას: „ამდენი შავი ჩხირი", ან „ამდენი წითელი ჩხირი", ე. ი. ამდენი მებრძოლი დაიღუპა და ამდენი დაიჭრაო.

ღამღამობით მებრძოლთა ახალ შევსებას ვღებულობდით.

ათმეთაურებს ვილა ჩიოდა, ოცეულებისა და ასეულების მეთაურებიც გვაკლდა. მათ ადგილებზე ხშირად უფროსი სერჟანტებისა და სერჟანტების დანიშვნა გვიხდებოდა.

სწორედ ამ დროს ჩვენს დივიზიაში პენზიდან საშუალო მეთაურთა ახალი შევსება მოვიდა. ჩვენს ბატალიონში ერთი ოფიცერი — უმცროსი ლეიტენანტი კოსტია კარპოვი გამოგზავნეს.

შენაერთის შტაბი დიდი სახლის სარდაფში იყო მოთავსებული, იქ ერთ-ერთ დარბაზში მოვნახე კარპოვი და ქვეგანაყოფში წამოვიყვანე.

გზაში გამოვკითხე ვინ იყო, საძაური; თურმე მამა და ორი ძმა ფრონტზე იმყოფებოდნენ, სახლში დედა და ცხრა წლის და დარჩენილიყვნენ.

დილაუთენიას შეტევითი ბრძოლები განვაგრძეთ. კარპოვი ჩემთან დავტოვე საკომანდო პუნქტზე.

კარგად რომ გათენდა, ეზოში გამოვედით. საშუალოზე ცოტა მაღალი ტანის კარპოვი ჯანღონიანი ბიჭი ჩანდა. მაზარაზე ბრჭყვიალა სამხრეულები ჰქონდა დამაგრებული. სხვებს რომ არ გაეგონათ, ხმადაბლა ვუთხარი:

— ამხანაგო უმცროსო ლეიტენანტო! ეგ ბრჭყვიალა სამხრეულები დამცავი ფერის საფრონტოთი შეცვალეთ, თორემ მტრის სნაიპერების მსხვერპლი გახდებით. ისინი განსაკუთრებული გულმოდგინებით დაეძებენ ოფიცრებს.

ჩემი ზურგჩანთიდან სათადარიგო სამხრეულები ამოვიღე და კარპოვს მივაწოდე. იგი სარდაფში ჩავიდა და მალე გამოცვლილი სამხრეულებით გამომეცხადა.

ახალგაზრდა ოფიცერი თან წავიყვანე ფრონტის წინა კიდეზე. გზაგზა შენიღბვის ხერხებს ვასწავლიდი. ის ხომ ჯერ ბრძოლაში ნამყოფი არ იყო!

უშიშარი და საზრიანი ბიჭი აღმოჩნდა.

საღამოთი პირველი ასეულის მესამე ოცეული ჩავაბარე.

ასეულის მეთაური უფროსი ლეიტენანტი სპირიდონოვი ორი დღის შემდეგ კარპოვზე მიამბობდა:

— მამაცი და მოხერხებული მეთაურია. საბრძოლო ვითარებაში უცებ გაერკვა...

ერთი კვირის შემდეგ კოსტია კარპოვი ასეულის მეთაურის მოადგილე იყო, ხოლო კიდევ ორი დღის გასვლისას უფროსი ლეიტენანტი სპირიდონოვი დაჭრეს და კარპოვი დავნიშნეთ ასეულის მეთაურად.

ბუდაპეშტის ოთხი მეხუთედი — პეშტი მტრის ჯარებისაგან გავწმინდეთ და შორიდან შემოვუარეთ მთაგორიან ბუდას. კარპოვი მოიხელთებდა თუ არა ცოტა თავისუფალ დროს, ჩემს ახლო ტრიალებდა. მეც უმცროს ძმასავით შევიყვარე იგი.

ბუდაში უფრო გამძაფრდა ბრძოლები. მტერი ჩასაფრდა ძველ ციხე-ბასტიონებში ავსტრია-უნგრეთის ყოფილი იმპერატორის სასახლის გარშემო, „მეთევზეთა კოშკთან", გელერტის მთისა და ციხე-სიმაგრის რაიონებში, და სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდა.

განსაკუთრებით მძიმე იყო ღამით ბრძოლები: ვერ გაარჩევდით სად იყვნენ ჩვენები, სად მტრის მებრძოლები. ძლიერ მახვილი ყური უნდა გქონოდა, რომ ერთმანეთისაგან გაგერჩიათ გერმანული და საბჭოთა ავტომატების, ტყვიამფრქვევებისა და ქვემეხების ხმა.

სამი დღე-ღამე განუწყვეტელი ბრძოლების შემდეგ, როგორც იქნა, მივიღეთ ბრძანება: „ამაღამ დაისვენეთო".

ჩვენი პოზიციები სხვა ქვეგანაყოფებმა დაიკავეს. ბატალიონი ერთი კვარტალით უკან გამოვიყვანე და ორსართულიანი სახლის სარდაფში განვალაგე.

ვახშმობის შემდეგ სახლის გარშემო და სარდაფში შემოსასვლელებში გუშაგები დავაყენეთ, ძლიერ დაღლილები დასაძინებლად მოვემზადეთ. ზემო სართულიდან ჩამოტანილ რბილ ტახტზე წამოვწექი, კოსტია კარპოვმა ჩვეულებისამებრ ჩემ გვერდით იატაკზე გაფენილ ხალიჩაზე მოიკალათა.

სარდაფში ლაპარაკი და ჩურჩული თანდათან შეწყდა. მორიგეების გარდა, ყველამ დაიძინა.

ნაშუაღამევს გულამოსკვნილი ქვითინის ხმამ გამომაღვიძა. ახალგამოღვიძებულმა სიბნელეში ვერ გავერკვიე, ვინ ტიროდა.

ჯიბის ელექტროფანარი მოვიმარჯვე და სარდაფში მიმოვანათე.

მძინარე კოსტია კარპოვი ტიროდა, სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა.

— დედა, მშვიდობით, დედა, ვკვდები! — გაიძახოდა თვალებდახუჭული ლეიტენანტი.

გავაღვიძე, შევუძახე, რომ გონს მოსულიყო.

წამომჯდარი კარპოვი უაზროდ მომჩერებოდა და ტირილს განაგრძობდა.

— კოსტია, რა მოგივიდა, რა გატირებს? მითხარი რა ნახე სიზმარში? გამოერკვიე, ხომ ხედავ, აქა ხარ, ჩემ გვერდით. მიცანი თუ ვერა?

— როგორ არა, გიცანით, ამხანაგო კაპიტანო!

— თუ ასეა, დამშვიდდი, რა გატირებს?!

— დედა ვნახე სიზმარში, შავები ეცვა, თავს მადგა და დამტიროდა.

ჩვენ გარშემო უკვე მებრძოლები შეგროვდნენ.

უხერხული იყო და კარპოვს შევუტიე:

— თვალები მოიწმინდე, ადექი, წესრიგში მოიყვანე თავი! — ადიუტანტს ვუთხარი: — წყალი დაალევინე, პირი დაიბანოს, რომ სიზმრისაგან გამოერკვეს.

აღარ დაგვეძინა.

კარპოვი ჩემს ტახტზე ჩამოჯდა. უკვე დამშვიდებულიყო, რცხვენოდა თავისი საქციელის. ჩვენს ხუმრობაზე ბავშვივით გულიანად იცინოდა.

...პოლკის შტაბიდან დარეკეს: „განთიადზე შეტევაზე უნდა გადახვიდეთო".

კოსტიამ თავისი ასეული გაამზადა, ასაუზმა, შეამოწმა მებრძოლების იარაღი და ტყვია-წამლის მარაგი.

ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც სამხედრო წესდებითაა გათვალისწინებული.

შორიახლოდან ვუკვირდებოდი, მეტად ნაღვლიანად გამოიყურებოდა.

„წინა ხაზზე მაგისი გაშვება სახიფათოა. არ დაიბნეს და არ დაიღუპოს", — გავიფიქრე და კარპოვი ჩემთან მოვიხმე.

— ამხანაგო უმცროსო ლეიტენანტო! ბატალიონის შტაბში დარჩებით ჩემს მაგიერ. კავშირი გექნებათ პოლკის შტაბთან და ასეულებთან.

კარპოვი გაკვირვებული მომაჩერდა, თითქოს მეკითხებოდა: „ეს რას ნიშნავსო?" მე დავასწარი:

— მინდა წინა ხაზი შევისწავლო მომავალი ოპერაციებისათვის.

— ჰო, მაგრამ ჩემი ასეული? — იკითხა კარპოვმა.

— შენს ასეულთან მე წავალ. ტელეფონით მექნება თქვენთან კავშირი.

კარპოვი უხალისოდ დარჩა სარდაფის ბუნკერში. მასთან მეკავშირეები და შიკრიკი დავტოვე.

დილიდან შუადღემდე გააფთრებული ბრძოლებით წინ მივიწევდით; მტრის ერთი ბარიკადი გავანგრიეთ, ორი კვარტალი გავათავისუფლეთ და გავწმინდეთ მტრის ჯარებისაგან.

კარპოვი ბატალიონის შტაბიდან ტელეფონით დროდადრო გადმომცემდა პოლკის შტაბის ბრძანებებს, ჩვენი ბატალიონის მეორე, მესამე ასეულების და მეტყვიამფრქვეველთა ოცეულების საბრძოლო ოპერაციების მიმდინარეობის ცნობებს.

ყველაფერი კარგად მიდიოდა.

...ნაშუადღევს ბატალიონის შტაბთან სატელეფონო კავშირი გაწყდა.

ვიფიქრე, ნაღმი ან ყუმბარა დაეცა, ალბათ, ქუჩების გასწვრივ ღიად გაყვანილ სატელეფონო კაბელს-მეთქი და ორი მეკავშირე გავგზავნე მის აღსადგენად.

რამდენიმე ხნის შემდეგ მეკავშირეები დაბრუნდნენ და მომახსენეს: „ბატალიონის შტაბი ვერ ვიპოვეთო".

არ დავუჯერე, მე თვითონ წაველი.

სახლს, რომელშიც ჩვენი ბატალიონის შტაბი იყო მოთავსებული, მტრის დიდი ბომბი მოხვედროდა და სარდაფში მყოფნი ნანგრევებში ჩაემარხა...

(დასასრული იქნება)

# საფლავის ქვათა ლაპარაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლომთათიძე

რანაირ ძველ ნაშთს არ შეხვდება და დააკვირდება ველად მოარული არქეოლოგი, საერთოდაც და კერძოდ ჩვენს ქვეყანაშიც?! იმ ასიოდე, სხვადასხვა თაობის მკვლევარს, რომელთაც სადღეისოდ გულში ამოჭრილი აქვთ ერთი დიდი ამოცანა — ძველი ქართული კულტურისა და ერის ისტორიისათვის ახალ-ახალი სხივის მოფენა, საუკუნეთა განმავლობაში დამიწებული ძეგლების გამომზეურება-შესწავლის გზით — სამშობლოს ყველა კუთხეში აქვს გათხრილი თუ დაზვერილი სხვადასხვაგვარი ძეგლები. ეს არის: სამარხვენები, ნაქალაქარები, ნასოფლარები; ცალკეულ ციხეთა, სახახლეთა, საყდართა თუ სახელოსნოთა ნაშთები და ა. შ.

ამ შინაარსიანი ძეგლების ერთს ყურადსაღებსა და საგანგებოდ შესასწავლ წყებას შეადგენენ საფლავის ქვები. ისინი მრავლადაა განათხარებშიც და გაუთხრელადაც, ძველ მიტოვებულ სასაფლაოებზე. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით შინაარსიანია წარწერიანი ქვები.

ჩვენში არქეოლოგიურად გამოვლენილი ასეთი ძეგლების ნიმუშად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ სერაფიტის საფლავის ქვა. სერაფიტს ამ 18 საუკუნის წინ უცხოვრია მცხეთის გარეუბან არმაზისხევში, იქვე დაუკრძალავთ და თანდათან ყველას დავიწყებია. იგი „მკვდრეთით აღადგინეს“ არქეოლოგებმა 1940 წელს და მას შემდეგ თითქმის ყველასათვის ნაცნობ და ღვიძლ ქალად იქცა: დღემდე გრძელდება ქართველ მგოსანთა მიერ მისი შორეული ლანდით შთაგონებული ლექსების წერა და ბეჭდვა, მხატვართა მიერ ტილოების შექმნა, ხოლო კომპოზიტორთა მიერ — მუსიკისა. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა სერაფიტის საფლავის ქვის წარწერამ, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, მკვლევარებზე: არქეოლოგებზე, ისტორიკოსებზე, ფილოლოგებზე, დამწერლობათმცოდნეებზე. სადღეისოდ ეს ძეგლი ფართოდ არის სახელგანთქმულიცა და განსჯილიც მსოფლიო მეცნიერებაში.

მართლაც შთამაგონებელია II საუკუნის იბერიის (ქართლის) ერისთავის ნაშიერის უდროო სიკვდილის გლოვით გამსჭვალული წარწერა — ჯერჯერობით უძველესი საქართველოში აღმოჩენილ ეპიტაფიათა შორის. გავახსენებთ მას ამ წერილის მკითხველს (აკად. გ. წერეთლის მიერ თარგმნილი, ორთაგან ძირითადი, „არმაზული“ ტექსტის მიხედვით — „არმაზის ბილინგვა“, 1943 წ.). იგი რამდენადმე გათანამედროვეებული ქართულით მოგვაქვს:

„მე ვარ სერაფიტი, ასული ზევახისა, ფარსმან მეფის მცირე პიტიახშისა, მეუღლე იოდმანგანისა, ხსეფარნუგ მეფის ძლევამოსილი და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოსმოძღვრისა, ფარსმან მეფის ეზოსმოძღვრის აგრიფას ძისა. ვაი, ვაი შენ, რომელიც იყავ ახალგაზრდა და იმდენად კეთილი და მშვენიერი, რომ არავინ ყოფილა სილამაზით მსგავსი. გარდაიცვალა ოცდაერთი წლისა“.

გარდა ყოველმხრივ სწორუპოვარი ქალის სახის დახატვისა და დატირებისა, ეს ეპიტაფია გვაწვდის დიდად ღირებულ ცნობებს ანტიკური ქართლის სამეფოს მესვეურთა — მეფეთა (ფარსმანი, ხსეფარნუგი), პიტიახშთა ანუ ერისთავთა (ზევახი) და ეზოსმოძღვართა (აგრიფა, იოდმანგანი) ვინაობისა და ნათესაური თუ თანამდებობრივი ურთიერთობის თაობაზე. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ, გარდა ფარსმან მეფისა (ჩვენს წყაროებში არა ერთი ასეთი მეფე იხსენიება), დანარჩენს ყველას პირველად ვეცნობით წარწერის მეშვეობით. არასპეციალისტებისთვისაც კი უეჭველი უნდა იყოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ამის გამო, სერაფიტის ეპიტაფიას წინარექრისტიანული საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვისაც.

ანტიკური ქართლი-იბერიის შესწავლის გაცხოველებამ (უპირველეს ყოვლისა, წარმატებული არქეოლოგიური თხრის წყალობით) კვლევის არეში მოაქცია ზოგი ისეთი ძეგლიც, რომელიც საქართველოდან შორს არის აღმოჩენილი, მაგრამ მტკიცე ძაფებით უკავშირდება მის მოუსვენარ ისტორიას იმ ხანაში. დავასახელებთ ერთ ქვას, რომში ნაპოვნს, რომელზედაც ასეთი ბერძნული წარწერა ყოფილა ამოჭრილი:



ზევახ ერისთავის ასულის სერაფიტის საფლავის ქვის ორენოვანი წარწერის არმაზული (ძირითადი) ტექსტი. ახ. წ. II საუკ.

„მეფის სახელოვანი ძე ამაზასპი, მითრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მიწაც არის კასპიის ბჭესთან; იბერი, იბერის ძე, აქ მარხია წმინდა ქალაქთან, რომელიცააგო ნიკატორმა მიგდონის ზეთისხილოვან მდინარესთან. გარდაიცვალა თანამგზავრი ავზონთა წინამძღოლი მეუფისა, მოსული პართელებთან (სპარსელებთან. გ. ლ.) საბრძოლველად. გარდაიცვალა უწინ, ვიდრე გაისვრიდა ხელს (ვაი, რომ ძლიერ ხელს) მტრის სისხლში, შუბსა, მშვილდსა და მახვილის პირზე. იყო ქვეითიცა და მხედარიც, თვით მორცხვი ქალწულთა მსგავსად“ (თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, 1951).

ამაზასპის მეთაურობით იბერიელთა ჯარი მიშველებია რომის კეისარს ტრაიანეს, 114-115 წლებში... ქართველი, მეფური თუ თავადური შთამომავლობის მხედართმთავრის ბრძოლა (და ხშირად დაღუპვაც) სამშობლოს გარეთ საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ქვემოთ კიდევ შევხვდებით სხვა სათანადო წარწერას. აქ კი იმის აღნიშვნაც გვინდა, რომ არმაზისხევის შესართავთან, სერაფიტის შორიახლოს, ოღონდ უკვე III საუკუნეში დაუკრძალავთ მხოლოდღა ძვლები — ჩანს, აგრეთვე უცხოეთს, ომში დაღუპული — მანამდე ჩვენთვის უცნობი ბერსუმა ერისთავისა და ისინი დაულაგებიათ ისევე უცნობი მეფის დადესის მიერ ნაჩუქარ ვერცხლის დიდ ლანგარზე („მცხეთა“, I, 1955).

მცხეთის მეორე, საქალაქო სამაროვანზე, სამთავროში, არქეოლოგებს აღმოჩენილი აქვთ ერთი ბერძნული ეპიტაფია ფილაქვაზე. იგი IV-V საუკუნეებს მიეკუთვნება და შემდეგს გვაუწყებს:

„ავრელი აქოლისი, მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი აქ განვისვენებ ჩემ მეუღლე ბევრაზურიასთან ერთად. ვთხოვ მეგობრებსა და გამვლელებს, რომ ყური უგდონ ერთმანეთის საქმიანობას (?) დაახლოებით მეათიათასე (წლამდე?), ისე რომ თუ ვინმე მოინდომებს ჩვენთან ერთად დასაფლავებას(?), ან ჩვენი ტომისა, ან უცხოელი, პასუხი აგოს თავისი აღდგომისას“ (თ. ყაუხჩიშვილი, იქვე).

როგორც ვხედავთ, უკვე ქრისტიანთა ეპიტაფიაა; ორივე დაკრძალული თუ არა (ქმრის უცხოური სახელის მიუხედავად!), ცოლი მაინც ჩვენებურია; გავრცელებული ყოფილა ერთი „სოციალური სენი“ — სხვათა საფლავების მითვისება, უპატივცემლობა (ამას შემდგომაც შევხვდებით!); მცხეთაში შეგვიძლია ვიგულისხმოთ მშენებლობა-ხელოვნების საკითხთა გამგებელი, არქიტექტორი და მხატვართუხუცესი; ეს უკანასკნელი ტერმინი ქართულიდან უნდა იყოს გადატანილი ბერძნულში.

ვერც ამ, ჯერ კიდევ თითქმის წინარეფეოდალური მცხეთიდან მომდინარე ეპიტაფიას დავემდურებით, უშინაარსოაო.

* * *

ჩვენამდე მოღწეული ეპიტაფიების უმეტესობა ეკუთვნის ფეოდალურ ხანას, უფრო კი — მის უკანასკნელ საფეხურს, ე. წ. გვიან შუა საუკუნეებს. თუმცა ამ ბოლო დროს არქეოლოგიამ გამოავლინა X-XI საუკუნეთა, ასომთავრულ-წარწერიანი საფლავის ქვებიც (გ. ლომთათიძე, რუსთავის თხრა... 1955), მაგრამ ისინი ძლიერ ნაკლული და ამიტომ ძნელი გასააზრებელია.

სწორედ გვიანფეოდალური ხანიდან შემოგვრჩენია ის ასეულობით და ათასეულობით ბრტყელი ფილაქვები, „კუბო-ქვები“ (ერთ მათგანზე ამოჭრილი წარწერისავე ტერმინი რომ ვიხმაროთ!), თუ ცხენის, ცხვრის ან საყდრის ქანდაკების სახით გამოყვანილი ქვები, რომლებიც თითქმის მთელ საქართველოში გვხვდება. განსაკუთრებით თავისებურია „ცხოველ-ქვები“, რომლებიც უფრო გავრცელებულია მტკვარს სამხრით მდებარე მხარეებში — ქვემო ქართლს, მესხეთსა და ჯავახეთში.

მოყვანილობის ნაირნაირობითა და ხშირად სიმბოლურობით, ზედ გამოკვეთილი და ამოღარული ყოფითი ნახატებითა და მეტადრე — თუ კი არის — წარწერებით ყველა ეს ძეგლები ქმნიან ერთ-ერთს, არსებითად თითქმის დაუშრეტელ წყაროს წარსულის შემეცნებისა.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

მათ, ახლანდელ არქეოლოგთა გარდა, სწავლობენ და აქვეყნებენ ისტორიკოსებიცა და ეთნოგრაფებიც (მაგ., ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს წარწერები, I — 1929, II — 1951; გ. ჩიტაია, პიტარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები, 1926; ს. მაკალათია, წიგნები აღმოს. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიის შესახებ; ლ. ბოჭორიშვილი, ქვემო ქართლის ისტორიული ეთნოგრაფიიდან, საფლავის ქვები, 1956 წ. და სხვ.). აქ სიტყვას აღარ განვავრცობთ XIX-XX საუკუნეთა ქართველი მოღვაწეების საფლავთა აღწერის თაობაზე, რასაც არ ეკარგება მნიშვნელობა იმის გამო, რომ იმ მოღვაწეთა ბიოგრაფია და ნაწერები ისედაც ცნობილია...

მაგრამ სადღეისოდ გამოკვლეული — და მით უმეტეს, მეცნიერულად გამოცემული — წარწერები ძველ საფლავთა ქვებისა ჯერაც წვეთია იმ ზღვასთან შეფარდებით, რომელიც ელის გულმოდგინე მეცნიერთ თითქმის ყოველ კუთხეში, ნასოფლართა სამაროვნებზე თუ ცოცხალ სამოსახლოებში, საყდართა გალავნებს შიგნით. მრავალი მათგანი უკვე ტყე-ბუჩქნარში და შამბნარშია ჩამალული და დავიწყებას ეძლევა.

მეტადრე ითქმის ეს საქართველოს სამხრეთ თემებზე, რომლებიც უცხო დამპყრობთა დაუსრულებელმა მტარვალობამ, ბოლოს და ბოლოს, სისხლისაგან დასცალა და იქაური ძირძველი მოსახლეობა თითქმის მოსპო, ან ჩრდილო საქართველოსაკენ ლტოლვილების გზას დააყენა. ოდესღაც მჭიდროდ დასახლებული, ნივთიერად ღონიერი და თავდაცვის მხრივ შეუპოვარი, კულტურულადაც მეწინავე ქართული ქვეყნები თითქმის ნაქალაქარ-ნასოფლარებად ქცეულნი შეეგებენ იმ ახალ ხანას ჩვენს ისტორიაში, რომელიც რუსეთთან შეერთებას მოჰყვა. გარდა ამისა, იმ თითქმის სულ გაუდაბურებულ მიწა-წყალზე თანდათან ჩამოსახლდა სხვადასხვა უცხო ტომი და ამრიგად თითქმის დაწყდა ოდესღაც უწყვეტლივ მომდინარე ნაკადი სიტყვიერი ტრადიციისა, რომელსაც სხვა მხარეებში მკვიდრი მოსახლეობა ინახავს და ეს კი ძალიან უადვილებს ხოლმე საქმეს ისტორიის მკვლევართ.

ამის გამოც ერთისამად მეტი მეცნიერული ღირებულება ენიჭება იქაური ძველი ქართველობის მიერ ნივთიერად დატოვებულ ყოველ ძეგლს და, კერძოდ, საფლავის ქვებსა და მათ წარწერებსაც.

* * *

ავტორს სწადია, გააცნოს მკითხველს შუა საუკუნეთა უამრავი ქართული ეპიტაფიებიდან შერჩეული რამდენიმე, მის მიერ ამა თუ იმ მოსაზრებით განსაკუთრებით ყურადსაღებად მიჩნეული. მათი უმეტესობა მიკვლეულია სხვადასხვა მეცნიერთა მიერ სწორედ სამხრეთ საქართველოში — სახელდობრ, ისტორიულ ქვემო ქართლში (ქვემო ქართლს შეადგენდა ახლანდელი თეთრი წყაროს, ბოლნისის, დმანისის, წალკისა და მარნეულის რაიონები). ამ მეცნიერთა შორის არიან ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის დიდი ექსპედიციის მონაწილენიც, რომელთაც 1948-49 წლებში ნიკ. ბერძენიშვილის თაოსნობახელმძღვანელობით „მოიხილეს“ თეთრი წყაროს რაიონი (აქვე დავძენთ, რომ დროა, ამ უკანასკნელს „სამშვილდისა“ ვუწოდოთ დაკანონებით, ისევე, როგორც „ბოლნისისა“ და „დმანისისა“ ვუწოდეთ მის ორ მეზობელს). იმ ექსპედიციის შედეგები შეჯამებულია გ. ლომთათიძის მიერ (ქვემო ქართლის ისტორ.-არქეოლ. ექსპედიციის არქეოლოგიური საქმიანობის ანგარიში, 1957).

ქვემორე მოტანილი ეპიტაფიების უმეტესობას აერთიანებს საქართველოს გამუდმებული რბევა-მოუსვენრობისა თუ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინების განცდა და ფიცხელი პატრიოტიზმი. აქ ჩვენც სწორედ ამ ჯაჭვის გაბმა გვაქვს მიზნად დასახული, თორემ თავისთავად ყოველი ის წარწერა მრავალ სხვა მხრივაც არის ყურადსაღები: ენობრივ, პოეტიკურად, კალიგრაფიულად; გენეალოგიის, ქრონოლოგიის, ონომასტიკონის (სახელ-გვართა), სოციალური ისტორიის და ა. შ. თვალსაზრისით.

გვგონია, რომ ეს, ფრიადი მომჭირნეობით გამოკრებილი ნიმუშებიც ისევე ხმამაღლივ ეტყვიან სათქმელს მკითხველს — გოროზ დიდგვაროვანთა სულიერი სატკივარი იქნება, თუ სამშობლოსათვის მართლაც თავდადებული ვაჟკაცებისა, — როგორც ჩვენ ან სხვა მკვლევარებს შემოღაღადებდნენ თავის დროზე, პირველად რომ წავაწყდებოდით მათ, მიწისა და ჩახლართული ბარდებისაგან გავწმენდდით, ამოვიკითხავდით და გადმოვიწერდით ხოლმე.

ხნოვანებით ისინი დიდად არიან დაშორებული ზემოთ განხილული, ანტიკური დროის ეპიტაფიებისაგან, მაგრამ ზოგი რამით მაინც ცოცხლად ეხმაურებიან მათ.

* * *

მდ. ქციის (ხრამის) ერთი ტყიანი შენაკადის ხეობაში, საუცხოო ადგილას, სოფ. ფიტარეთთან დღემდე მედიდურად არის აღმართული დიდი გუმბათიანი და უხვად მოჩუქურთმებული ტაძარი, აგებული XIII საუკუნის პირველ ნახევარში, ლაშა გიორგის დროს. გვიანფეოდალურ ხანაში ის მონასტერი საკუთრებად და სამარხავად უქცევიათ იმ მხარის ახლად მოვლენილ მფლობელთ, ბარათაშვილ-ქაჩიბაძეთა განაყოფ შტოს — ორბელიშვილებს ანუ ორბელიანებს („საორბელო“). სხვა ორბელიშვილებს იმავე მიზნით გამოუყენებიათ დმანისის უძველესი საყდარი, გუდარეხის სამონასტრო საყდარი და ა. შ.

გულზვიადობა გამოსჭვივის ფიტარელ ორბელიშვილთა ეპიტაფიებშიც — მიუხედავად იმისა, რომ მტერი მათაც ძლიერ ავიწროებდა ხოლმე და თან, შოთა რუსთაველის თქმით, სიკვდილისაგან თითქოს უნდა „გასწორდეს ყოველი“...

აი ერთი მათგანი:

„ღმერთო, შეიწყალე პატრონი ყაფლან. ქ. წყალობითა და შეწევნითა მე ორბელის შვილმა ყაფლან მეორეთ შევამკე მონასტერი ესე და ბარსა და მთაში მტრისაგან გაოხრებული მკვიდრი მამული ჩემი, აღვაშენე სოფელი ၼა (61) და ამას გარეთ შენი (მონასტრისა. გ. ლ.) მამებარა სოფელი იზ (17). ესე ყოველი დაუტევე ძეთა ჩემთა ე (5) და დავემკვიდრე ამასა შინა ქორონიკონსა ტნთ (1671 წ.). შენდობა ყავთ ჩონთვის (!), გევედრები“.

მეორე (იმ ყაფლანის ხუთთაგან ერთი ვაჟიშვილისა):

„მე, დიდის ორბელის შვილის, ბატონის ყაფლანის უხუცესი ძე, სომხითის მოურავი, საორბელოს პატრონი, საბარათიანოს დიდი თავადი, მეფის გიორგის დედის ძმა, ბატონი პაპუნა გარდავიცვალე და ძე არ მესვა, არცა ასული. ესოდენის დიდების პატრონი ამ მცირეს საფლავს დავემკვიდრე. შეძრვად ხელს ნუ მიყოფთ. შენდობას ბრძანებდეთ, გევედრებით. ქორონიკონი ტოზ (1689 წ.)“.

„მეფე გიორგი“ არის ქართლის მფლობელი გიორგი XI, რომლის ბიძაობის აღნიშვნაც, ცხადია, თავმოსაწონად არის მიჩნეული. იმ, საკმაოდ ცნობილ მეფეს ქვემოთ სხვა ეპიტაფიაც გვიხსენებს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ საფლავის „შეძვრად ხელის არ ყოფა“ (რისიც ისე ეშინოდა ჯერ კიდევ IV-V საუკუნეთა მცხეთაში დაკრძალულ ხუროთმოძღვარს, როგორც უკვე ვნახეთ) ყოველთვის როდი ხვდომიათ წილად იმ, კარგა ხნით გაველურებულ მხარეებში დაკრძალულ დიდგვაროვანთ. ამის ერთ მაგალითსაც ქვემოთ ვნახავთ, იმაზე თუ აღარას ვიტყვით, რომ ფიტარეთის და სხვა საფლავის ქვებში წასაწერად ჩადგმული მარმარილოს ფიქლები მეტწილ დალეწილია ხოლმე.

მესამე:

„მე, დიდის ორბელის ბატონის... დიდი... პატრონი ორბელი... ამა სამარხოსა დამდვეს. ესე არს განსასვენებელი ჩემი, ამას დავემკვიდრე, რამეთუ მთნავს (შემეფერება, ჰეკუთვნის, გ. ლ.) ესე. მთ (49) წლისა მივიცვალე, ქორონიკონს ტო (1682 წ.) და შენდობა ყავთ, გევედრებით“.

სიტყვა „სამარხო“ და არა „სამარხი“ დამოწმებულია ბევრად უფრო ადრინდელ ეპიტაფიაშიც, რომელიც კუხეთის რუსთავის განათხარში გვაქვს.

მეოთხე:

„ბაგრატოანთა ასული და დიდის ორბელის სძალი, სულხანის მეუღლე, ბატონი დარეჯან ამას დავემკვიდრე ქორონიკონსა ტოა (1683 წ.)“.

ე. თაყაიშვილის გადაჭრილი თქმით, ეს დარეჯან ბაგრატიონი ყოფილა სახელოვანი სულხან-საბას (ვახტანგის ანუ ორბელის ძის) პირველი ცოლი (კიდევ ერთი მაგალითი მეფეთა და „დიდ ორბელთა“ დამოყვრებისა! გ. ლ.). შემდეგ, მეორე ცოლად სულხანს ათაბაგის ასული მოუყვანია.

ფიტარეთის ყველა ეს ეპიტაფია ნაწერია ძველებური ასომთავრულით.

მათი ხნოვანება, როგორც დავინახეთ, 1671-1689 წლებს შორის ექცევა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში ინახება ალფესი ხელაძის მოგონება გალაკტიონ ტაბიძეზე (გ. ტაბიძის ფონდი, № ა — 478). ამ მოგონების ავტორი გალაკტიონის ახლო მეგობარი იყო. ალ. ხელაძე (1886-1964) ადრე ჩაება სახალხო მოძრაობაში და განვლო პროფესიული რევოლუციონერის მძიმე და ეკლიანი გზა.

ცხოვრების მძიმე პირობების მიუხედავად, ა. ხელაძემ შეძლო დაემთავრებინა პრაღის უნივერსიტეტი (ეკონომიური ფაკულტეტი). მთელი თავისი ცოდნა და უნარი მან სამშობლოს კეთილდღეობას მოახმარა. წლების განმავლობაში იგი თბილისის კომუნალური ბანკის მმართველი იყო.

წერა-კითხვა ალფესის ბიძამ, ცნობილმა მესტამბემ ექვთიმე ხელაძემ შეაყვარა, რომელთანაც ხშირად იკრიბებოდნენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრ. ყიფშიძე, ალ. ფრონელი და სხვ. ახალგაზრდა ალფესი დიდი ინტერესით უსმენდა მათ საუბარს.

ალფესი ხელაძე ახლოს იცნობდა გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ქუჩიშვილს, შალვა დადიანს და სხვა მწერლებს. მას გადაწყვეტილი ჰქონდა დაეწერა მოგონებები მათთან შეხვედრებზე. ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა, ჩვენს ხელთ არის მხოლოდ რამდენიმე ჩანაწერი. ერთი ამ ჩანაწერთაგანი მოგვითხრობს იმაზე, რომ სრულიად ახალგაზრდა გალაკტიონის ლექსებისათვის ყურადღება მიუქცევია ილია ჭავჭავაძეს.

ალ. ხელაძის მოგონება, მრავალ-

# გამოჩენილი მოჭირნახულე

მრავალი შესანიშნავი მოღვაწე ემსახურებოდა ქართველი ხალხის კულტურის შესწავლისა და გამდიდრების საქმეს, ემსახურებოდა უანგაროდ და თავდადებით; მათ რიცხვს მიეკუთვნება გამოჩენილი მკვლევარი-ისტორიკოსი ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი (1864-1911), რომლის შესახებ ახლახან გამოქვეყნდა ისტორიკოს შოთა ბადრიძის პოპულარული ნარკვევი. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პირველი მონოგრაფიული ნარკვევია სახელოვანი მეცნიერის შესახებ.

ალ. ხახანაშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართველი ხალხის მდიდარი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეს. ორი ათეული წლის მანძილზე (1889 წლიდან 1911 წლამდე), მიუხედავად ავადმყოფობისა, იგი გასაოცარი ენერგიითა და ნაყოფიერებით იკვლევდა საქართველოს წარსულს, მის კულტურას, სწავლობდა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური ისტორიის საკითხებს. ალ. ხახანაშვილი ქართველ ისტორიკოსთა იმ ბრწყინვალე პლეადას მიეკუთვნებოდა, რომელმაც გასული საუკუნის 90-იან წლებიდან მოყოლებული ჩვენი ისტორია მკვიდრ მეცნიერულ საფუძვლებზე დაამყარა და შეამზადა ნიადაგი მარქსისტული ისტორიოგრაფიის აღმოცენებისათვის. მართლაცდა, სოციალური პრობლემატიკისადმი ყურადღების გამახვილება, რითაც აღინიშნა ალ. ხახანაშვილისა და მის თანამედროვეთა სამეცნიერო მოღვაწეობა, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ისტორიული პროცესის მარქსისტული გაგების ათვისებას.

შ. ბადრიძის მონოგრაფიაში „ქართველთმცოდნეობის გამოჩენილი მოჭირნახულე ალექსანდრე ხახანაშვილი“ კარგადაა გადმოცემული ამ თვალსაჩინო მეცნიერის დამსახურებანი ჩვენი ისტორიოგრაფიის განვითარების საერთო ფონზე; წიგნში ნაჩვენებია ალ. ხახანაშვილის წვლილი ქართული ფეოდალიზმის შესწავლაში, დახასიათებულია მისი შეხედულებები და არც ამ შეხედულებათა ნაკლოვანი მხარეებია უყურადღებოდ დატოვებული.

ალ. ხახანაშვილმა არაერთი ნაშრომი უძღვნა საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხებს, რუსეთ-საქართველოს ისტორიულ ურთიერთობებს, ქართველთა ეთნოგენეზისისა და უძველესი განსახლების საკითხებს და ა. შ. შ. ბადრიძე სამართლიანად გამოჰყოფს ალ. ხახანაშვილის მოზრდილ მონოგრაფიას Histoire de Géorgie (წიგნში შეცდომითაა: Georgien), დაწერილს 1900 წლის პარიზის მსოფლიო გამოფენისათვის, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციას დასავლეთის ქვეყნებში.

ჭეშმარიტი მეცნიერული ისტორიული აზროვნება შეუძლებელია უტყუარი და ნამდვილი პირველწყაროების გარეშე. შ. ბადრიძე გულდასმით განიხილავს ალ. ხახანაშვილის იმ ნაშრომებს, რომლებიც საქართველოს ისტორიის წყაროებს ეხებიან. ალ. ხახანაშვილმა სპეციალური გამოკვლევა უძღვნა „ქართლის ცხოვრებას“, აღწერა უცხოეთში დაცული ქართული ხელნაწერები, დაბეჭდა მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“, გამოაქვეყნა საქართველოს მთელი რიგი ისტორიული ძეგლების აღწერა. იგი აქტიური მონაწილე იყო იმ ფართო ევრისტიკული მუშაობისა, რომელიც გაიშალა ჩვენში გასული საუკუნის დამლევს და რომელიც ასე აუცილებელი იყო ახალი, კრიტიკული ისტორიოგრაფიის დამკვიდრებისათვის.

ქართველი ხალხის უმდიდრეს ზეპირსიტყვიერებასა და ლიტერატურულ მემკვიდრეობას ალ. ხახანაშვილის სახით დაუღალავი მკვლევარი და ენთუზიასტი ჰყავდა. შ. ბადრიძე სარეცენზიო წიგნში დაწვრილებით გადმოგვცემს ალ ხახანაშვილის მონუმენტური ნაშრომის — „ნარკვევები ქართული სიტყვიერების ისტორიიდან“ — შინაარსს. ეს იყო პირველი წარმატებითი ცდა ქართული სიტყვიერების სრული და სისტემატური კურსის შექმნისა და, მიუხედავად სერიოზული ხარვეზებისა, იგი დარჩება, როგორც მნიშვნელოვანი მიჯნა ქართული მწერლობის შესწავლის ისტორიაში.

„ნარკვევებში“ ქართული მწერლობის ისტორია მე-19 საუკუნის 90-იან წლებამდეა მოყვანილი. ნაშრომის ბოლო ფურცლებზე აღნიშნულია ის დიდი გარდატეხა ქართულ მხატვრულ აზროვნებაში, რომელიც გამოიწვია მარქსისტული იდეების შემოჭრამ და გავრცელებამ საქართველოში.

ალ. ხახანაშვილის „ნარკვევები“ დიდხანს იყო სამაგიდო წიგნი ქართული მწერლობის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

ალ. ხახანაშვილი სრულიად ახალგაზრდა გამოაკლდა ქართველ მოღვაწეთა რიგებს. სიცოცხლის უდიდესი ნაწილი მან მოსკოვში გაატარა, სადაც ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ჯერ ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში, შემდეგ კი მოსკოვის უნივერსიტეტის ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრაზე, რომელიც 1901 წელს მისივე თაოსნობით დაარსდა.

შ. ბადრიძე მიმზიდველად და საქმის ღრმა ცოდნით მოგვითხრობს ალ. ხახანაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებითი წვის ამბავს. იგი მართებულად აფასებს მეცნიერის ღვაწლს, მის ადგილს ქართულ ისტორიოგრაფიაში. ორიოდე შენიშვნა, რომელიც წამოგვეჭრა ამ წიგნის გაცნობისას, არ არის გამოწვეული რაიმე სერიოზული ნაკლით. ჩვენ ვისურვებდით მხოლოდ, რომ უფრო მეტი სიზუსტე ყოფილიყო დაცული ამა თუ იმ ცნობის მოტანისას და მოვლენის დახასიათებისას. ასე, მაგალითად, თეიმურაზ ბატონიშვილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი იყო და არა ნამდვილი წევრი, როგორი შთაბეჭდილებაც შეიძლება დარჩეს მკითხველს ამ წიგნიდან (გვ. 27). ლაზარევის ინსტიტუტში ალ. ხახანაშვილის მუშაობის დაწყების თარიღად ერთსა და იმავე გვერდზე (გვ. 12) 1888 წელიცაა დასახელებული და 1889 წელიც. ცნობილი ქართული ლიტერატურული ძეგლი მეფე მირის შესახებ იწოდება „მირიანად“ და არა „მირიანიანად“ (გვ. 51). უფრო სრულად შეიძლებოდა ფეოდალიზმის თანამედროვე კონცეფციის გადმოცემა და მისი შეპირისპირება ფეოდალიზმის ბურჟუაზიულ კონცეფციებთან (გვ. 29-30). საერთოდ, ნათელი ენით დაწერილ ამ ნაშრომში აქა-იქ მაინც გვხვდება ბუნდოვანი და სტილისტურად გაუმართავი ადგილები (გვ. 30, 43, 47, 56).

შ. ბადრიძე შეზღუდული იყო ამ გამოცემის მოცულობითა და მიზანდასახულობით (პოპულარული ნარკვევი). ამიტომ შეგვიძლია თუ არა შესრულებულად ჩავთვალოთ ჩვენი მოვალეობა ალ. ხახანაშვილის ხსოვნის წინაშე? ვფიქრობთ, რომ არა. ალ. ხახანაშვილი იმასაც იმსახურებს, რომ მის შესახებ დაიწეროს ვრცელი მეცნიერული მონოგრაფია, სადაც სრული სიღრმითა და მთელი სიგრძე-სიგანით იქნება განხილული თუ შეფასებული მისი მოღვაწეობა. ვფიქრობთ, უახლოეს ხანში ჩვენი მეცნიერები ამ ამოცანასაც შეასრულებენ.

შ. ხანთაძე

## [illegible]

მხრივ საინტერესოა. იგი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ რა დიდ მზრუნველობას იჩენდა ილია ყოველი ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტისადმი. სასიხარულოა, რომ გ. ტაბიძის პოეტურ ქმნილებათა პირველი შემფასებელი ილია ჭავჭავაძე ყოფილა.

ზემოხსენებულ ჩანაწერში ვკითხულობთ:

„ბიძია ექვთიმე ხელაძესთან ხშირად იკრიბებოდნენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი.

საუბრობდნენ სხვადასხვა საკითხებზე, უმთავრესად, ლიტერატურაზე.

არასოდეს არ დამავიწყდება 1905 წლის ერთი საღამო, როცა ბიძაჩემთან იყვნენ ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ ყიფშიძე და ალექსანდრე ფრონელი.

— მე თქვენ საინტერესო ამბავი მინდა გაგიზიაროთ, — დაიწყო ილია ჭავჭავაძემ, — რამდენიმე დღის წინ ერთმა ქართველმა დედამ ლექსების კრებული გამომიგზავნა, იგი მწერდა: ჩემი შვილი გალაკტიონი ლექსების წერითაა გატაცებული. გთხოვთ გადაიკითხოთ ეს და თქვენი აზრი გამაგებინოთ... მე წავიკითხე მთელი რვეული დიდი ყურადღებით და მართალი გითხრათ, სიხარულის ცრემლები მომერია.. ეჭვი არ არის, რომ მისი სახით შესანიშნავი პოეტი გვეყოლება, — დაბეჯითებით განაცხადა დიდმა მწერალმა და დასძინა, — საჭიროა ამთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მას.

— კარგია, რომ სწორედ დედას მიუქცევია ყურადღება ამისათვის. იგი, ალბათ, მომავალშიაც არ მოაკლებს მას თავის მზრუნველობას და შესაფერისადაც აღზრდის! — თქვა ალექსანდრე ფრონელმა.

— ჩვენი ქვეყანა რუსთაველის სამშობლოა. და ტყუილად კი არ უთქვამთ სახელოვან წინაპრებს: „ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს ნადირსა შავის ტყისასო“, დაიბადებიან კიდევაც ასეთები! — ანთებული ხმით განაცხადა გრიგოლ ყიფშიძემ.

გარინდებული ვიდექი.

სიყვარულით ვათვალიერებდი თითოეულ მათგანს. მას შემდეგ რამდენმა დრომ განვლო, მაგრამ ეს ეპიზოდი არასოდეს დამავიწყდება.

იგი სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს გულში“.

ალფესი ხელაძის ეს ჩანაწერი დათარიღებულია 1958 წლის 12 ივნისით.

ლამარა ხელაძე,

ლიტერატურული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი.

**სერგო კლდიაშვილი**

# მთვარეული*

სამორიგეოში ახლახან შემოყვანილი ჭაბუკი მორჩილად, თითქმის გულგრილადაც კი იდგა, როცა მილიციის სერჟანტი მის გაჩხრეკას შეუდგა. სერჟანტმა ჯიბეებიდან ამოუღო ცხვირსახოცი, ფანქრით ნაწერი რამდენიმე ფურცელი, ასანთი, სიგარეტის კოლოფი და ყველაფერი მაგიდაზე დაყარა. მერე ერთხელ კიდევ მოუსინჯა გვერდებზე და, ბოლოს, მკერდზე ჩამოუსვა ხელი. აქ რაღაც მაგარი ნივთი იგრძნო და გულისპირი შეუხსნა.

დაპატიმრებულს კისერზე ეკიდა პალტოს ღილის ოდენა ბრინჯაოს მედალიონი.

სერჟანტმა ნივთს ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ გამომძიებელმა ესაძემ, რომელიც მაგიდის კუთხეში იჯდა, ოქმის შემდგენელის გვერდით და თავიდანვე გაკვირვებით მისჩერებოდა ახალგაზრდის უჩვეულოდ მშვიდ გამომეტყველებას, მოითხოვა:

— ჩამოხსენით!

ჭაბუკმა ფრთხილად გახსნა საკეტი, რომელიც ძეწკვს ჰქონდა.

გამომძიებელმა შეათვალიერა ნივთი, რამდენიმეჯერ გადაატრიალა, ხან ერთ მხარეს დასჩერებოდა, ხან მეორეს, მერე პატიმარს შეხედა გაოცებით და ბოლოს ისევ მედალიონს დააცქერდა.

ბრინჯაოს მედალიონის ერთ მხარეზე გამოსახული იყო ღვთისმშობელი ყრმა იესოთი, მეორეზე— ჯვარცმა.

— კაცი დანით დაკალი და გულზე ხატი გესვენა?! — დატუსაღებულს მწარე ღიმილით მიაჩერდა ესაძე.

ჭაბუკმა ყურადღება არ მიაქცია.

— დიდი ხანია, რაც ატარებ? — ჰკითხა გამომძიებელმა.

ამის გაგება სულაც არ აინტერესებდა და თუ მაინც ჩაჰკითხა, მხოლოდ იმიტომ, რომ გულს იოხებდა.

პატიმარმა არც მოიხედა მისკენ. აუჩქარებლად იკრავდა ღილებს ნეილონის თეთრ პერანგზე.

ჭაბუკი ჩაცმული იყო გემოვნებით და ყველაფერზე ემჩნეოდა, რომ თავის გარეგნობაზე ზრუნვა უყვარდა. ოდნავ ფერმკრთალი, უფრო კი დაღლილი სახე ჰქონდა, ქეჩოზე თმა წამოზრდოდა და კისერი თითქმის არ უჩანდა. ამით ის, როგორღაც, გოგონას ჩამოჰგავდა.

— გვარი, სახელი, მამის სახელი! — ოქმის წერას შეუდგა მორიგე.

— ძელაშვილი... — ყრუდ თქვა ახალგაზრდამ და წამიერი დუმილის შემდეგ, თითქოს მხოლოდ ახლა გაახსენდაო, დაუმატა: — გივი...

— მამის სახელი!

— ლევანი.

— წლოვანება!

— ცხრამეტი.

— პროფესია!

— ვსწავლობ... სტუდენტი...

ძელაშვილი არც ცდილა დაეფარა, რომ დანაშაული მან ჩაიდინა. ჰო, დანით... ჰო, მგონი, მკერდში... — ყველაფერი ისე თქვა, სულაც არ ემჩნეოდა მღელვარება. თითქოს კმაყოფილიც იყო თავისი თავით.

— რას ერჩოდი? — ჰკითხა გამომძიებელმა ესაძემ. — რა დაგიშავა, რომ სასიკვდილოდ გაიმეტე?

პატიმარმა არ უპასუხა.

— არ გესმის, რას გეკითხებიან? — განერვიულდა ოქმის შემდგენელი.

— სიგარეტი მომეცით... — პასუხის ნაცვლად ხელი გაუწოდა ძელაშვილმა.

— იოლად წახვალ უსიგარეტოდ! — ცივად უთხრა ესაძემ.

ჭაბუკი შეიშმუშნა და თითებით თმა ჩაივარცხნა.

— ვინ იყო კიდევ შენთან? — შეეკითხა განყოფილების უფროსი, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა.

— არავინ... — მცირე დუმილის შემდეგ ხმა ამოიღო ძელაშვილმა.

— ხელს აფარებ შენს ამხანაგებს? — ისევ მიმართა განყოფილების უფროსმა.

— არავინ... — ახლაც უნდომლად ჩაილაპარაკა დაპატიმრებულმა.

მილიციელმა, რომელმაც დანაშაულის ადგილზე შეიპყრო, თქვა, რომ ძელაშვილი გაქცევას შეეცადა, მაგრამ როცა გამაფრთხილებელი სროლა გაიგონა, გაჩერდა და ისე დანებდა, წინააღმდეგობა არ გაუწევია. დანა იქვე ეგდო ტროტუარზე, დაზარალებულის გვერდით. აი, სწორედ ეგ დანა. ამ ყმაწვილის გარდა, იქ სხვა არავინ დაუნახავს. იქნებ იყვნენ, მაგრამ მოასწრეს დამალვა.

— ეგ კიდევ არ ნიშნავს, რომ ხელისშემწყობნი არ ჰყოლია, — თქვა გამომძიებელმა.

დაპატიმრებულმა თავიდანვე აღიარა დანაშაული და ამ მხრივ თავსატეხი არაფერი იყო. ჩვენების ოქმსაც ხელი ისე მოაწერა, არ გადაუკითხავს.

— შეიყვანეთ კამერაში! — თქვა განყოფილების უფროსმა და სამორიგეოდან გავიდა.

მისთვის გარკვეული იყო მთავარი და წვრილმანის გაგება აღარც თუ ისე აინტერესებდა. გამომძიებელს კი ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა დასაზუსტებელი და, როგორც თვითონ ფიქრობდა, მთავარი ამიერიდან იწყებოდა.

— დამიტოვეთ რამდენიმე წუთით, — შეაჩერა მორიგე, რომელმაც კამერის გასაღები ამოიღო მაგიდის უჯრიდან, და მერე პატიმარს მიმართა: — მაინც რა იყო მიზეზი? ჯავრი გქონდა მისი?

ძელაშვილს სახე დაელმიჭა. ეტყობოდა, უკმაყოფილო იყო, ჩვენების ჩამორთმევა რომ განახლდა.

— სხვა ვინ იყო შენთან? ნუ დამალავ... — გამომძიებელი ცდილობდა მშვიდი კილო ჰქონოდა.

— არაფერი მაქვს მე დასამალავი... — უკვე უხეშად უპასუხა პატიმარმა.

გამომძიებელმა იგრძნო, ჩაციებით ახლა ვერაფერს მიაღწევდა და მორიგეს ანიშნა, გაიყვანეთო.

* * *

ესაძე რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ გივი ძელაშვილთან ერთად თავდასხმაში რამდენიმე სხვაც მონაწილეობდა. იცოდა, დაზარალებულის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო, მაგრამ იმედს მაინც არ ჰკარგავდა, რომ შეძლებდა გაეგო მისგან, მართლა მარტო მოქმედებდა ძელაშვილი, თუ სხვებიც ერივნენ.

ამის გამოსარკვევად დილით ადრე საავადმყოფოში მივიდა და ითხოვა დაჭრილთან შეეყვანათ.

ავადმყოფი უგონოდ იყო. ექიმის თქმით, ძალიან საეჭვო იყო მისი გადარჩენა. იქნებ სასწაული მოხდეს, სხვა იმედი კი არ არისო.

ესაძეს ფიქრიც აღარ შეეძლო იმაზე, რომ რაიმეს ათქმევინებდა. ჩუმად იდგა და ნაღვლიანად დაჰყურებდა. წლოვანებით ის დამნაშავის ტოლი იქნებოდა. ისე, ჩანდა ტანადი ჭაბუკი იყო. გაფრთხილებული რომ ყოფილიყო, ძელაშვილი ვერც გაბედავდა ხელი აემართა მასზე. მხოლოდ ერთი ჭრილობა ჰქონდა, გულთან ახლო. პატარა, მაგრამ ღრმა. სახეზე და კისერზე მზით დამწვრობა ემჩნეოდა, ისეთი, ზღვისპირის აგარაკზე ნამყოფთ რომ აქვთ ხოლმე. ეტყობოდა, წინა დღეს სამართებლით გაპარსულიყო. გუშინდელს აქეთ ოდნავ ამოწვეროდა ნიკაპზე ქერა ბუსუსები. წუხელ რომ იმ არამზადას არ შეჰყროდა, დღეს, ალბათ, ხალისიანად იქნებოდა. შეუძლებელია, ასეთი ჯანიანი ახალგაზრდა ხალისიანი და ბედნიერი არ ყოფილიყო.

დაჭრილის თანატოლები, რომლებსაც საავადმყოფოს დერეფანში თავი მოეყარათ, უხმოდ იცრემლებოდნენ. ესაძე გამოესაუბრა მათ, მაგრამ ისეთი რამ, რაც შორეულად მაინც მიანიშნებდა თავდასხმის მიზეზზე, ვერაფერი გაიგონა. ისინი მხოლოდ გაკვირვებას გამოთქვამდნენ. გადამტერებული ან თუნდაც განაწყენებული არავინ ჰყოლია, თორემ ერთ რომელიმე ახლო მეგობარს მაინც არ დაუფარავდაო. არც ოდესმე გარეულა რაიმე სადავიდარაბო საქმეში, მხოლოდ თავისი ფაკულტეტის საგნებით იყო გატაცებული და სხვა არაფერი ახსოვდაო.

გამომძიებელი საგონებელში იყო ჩავარდნილი. ეშმაკმა დალახვროს ის ძელაშვილი, ნუთუ არ ტყუოდა, რომ შეთქმული არავინ ჰყავდა?!

...იმის შემდეგ, როცა ძელაშვილმა თვითონ დაადასტურა დანაშაული ჩავიდინეო და ჩვენებასაც ხელი მოაწერა, გამოსაძიებელი თითქოს აღარაფერი იყო. მაგრამ ესაძე მაინც არ კმაყოფილდებოდა ამით. რა იყო მიზეზი, რომ მოსაკლავად გაიმეტა? ყველა ბოროტმოქმედი ცდილობს როგორმე დაიძვრინოს თავი, ხავსს ჩაეჭიდება ხოლმე და ისეთ რაიმეს გამოიგონებს, რაც, მისი აზრით, სასჯელის შესამსუბუქებლად გამოადგება. ძელაშვილი კი სულ სხვაგვარად იქცევა. ცხრამეტი წლის ჭაბუკმა შეუძლებელია არ იცოდეს, რას მიუსჯის სასამართლო, ის კი სულაც არ ცდილობს თავი დაიხსნას. ეგ კი არა, ყველაფერი თავის თავზე გადაიბრალა. რა არის ეს, მიამიტობა, თუ გულუბრყვილო წარმოდგენა რაინდობაზე? ან იქნებ რაიმე ისეთი საიდუმლო არსებობს, რისი გამხელაც არ შეუძლია? ამის გაგება უნდოდა და გადაწყვიტა ისევ ენახა პატიმარი, სანამ ის ქალაქის სატუსაღოში არ გადაეყვანათ.

გამომძიებელი გრძნობდა, რომ გივი ძელაშვილი იმ ჯურის ადამიანებს ეკუთვნოდა, ვისზედაც იტყვიან ხოლმე — „მძიმე ხასიათი აქვსო“. ასეთთან კი ხერხიანი მიდგომა იყო საჭირო და, განყოფილე-

* ერთი თავი მოთხრობიდან.

ბიჭკენ მიმავალი, ახლა იმაზე ფიქრობდა, საიდან დაეწყო და რა ღონე ეხმარა, რომ პატიმარი საუბარში ჩაეთრია.

* * *

ჩაბნელებულ პატარა ოთახში კედლის სიგრძეზე გაჭიმულ დაბალ ფიცრულზე გივი გულაღმა იწვა და თავქვეშ ხელები ამოედო. კარები რომ გაიღო, ყურადღებაც არ მიუქცევია, თუ ვინ შემოვიდა.

— შენთან ლაპარაკი მინდა, — მიუახლოვდა ესაძე.

პატიმარი არ ამდგარა, მხოლოდ ირიბად ახედა და ისევ ჩაღუნა თავი.

— ბიჭო, უბრალო ზრდილობაც დაკარგე? — წყენით, მაგრამ მაინც რბილად მიმართა ესაძემ.

ძელაშვილი მძიმედ წამოდგა, გაიზმორა და მერე ისევ ტახტზე დაეშვა.

— შენთან ლაპარაკი მინდა, — გაიმეორა ესაძემ და თვითონაც ჩამოჯდა. — მოვედი არა როგორც თანამდებობის პირი. ჩემი მოვალეობა მე შესრულებული მაქვს, ყველაფერი გარკვეულია და ხელმეორედ ჩვენების ჩამორთმევა საჭიროდ არ მიმაჩნია. გესმის ჩემი?

გივი თავდახრილი იჯდა და თავის ფეხებს დასცქეროდა.

— საკვირველი კაცი ხარ, უნდა გითხრა. შენც გრძნობ, ალბათ, მკაცრი სასჯელი გელის. მაინცდამაინც დაისაჯოსო კაცი, ეს ჩვენი მიზანი არ არის. მართალია, მძიმე დანაშაული ჩაიდინე, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ აქ შემთხვევაშიც გამოინახოს ისეთი რამ, რაც სასჯელს შეგიმსუბუქებს. შენ კი, რატომღაც დუმილს არჩევ. რატომ, ვერ გამიგია. რა გაიძულებს? დამიჯერე, უბრალო ცნობისმოყვარეობა არ მალაპარაკებს. მე თუ ახლა შენთან მოვედი, მხოლოდ იმიტომ, რომ...

— ჰო, რაო? — უტიფრად იკითხა ძელაშვილმა.

— იქნები გულწრფელი?

— არ ვიცი.

ახლაც უტიფრად თქვა, მაგრამ გამომძიებელს ეწიშნა, რომ ის უარზე აღარ იყო საუბარში გაჭყოლოდა.

ესაძემ დააპირა პირდაპირ ეკითხა, რისი გაგებაც ყველაზე უფრო უნდოდა, მაგრამ უკანასკნელ წუთში გადაიფიქრა და ისევ შორიდან მოვლა ამჯობინა.

— მე ველაპარაკე შენს მშობლებს... გაინტერესებს ოჯახის ამბავი?

— ვიცი, რაც იქნება იქ, — ხელი ჩაიქნია გივიმ.

— მე ნება დავრთე მათ მოსულიყვნენ შენს სანახავად, მაგრამ... არ ისურვეს.

ესაძეს უნდოდა დაენახა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ამის გაგონება, მაგრამ სრული გულგრილობის მეტი ვერაფერი ამოიკითხა პატიმრის სახეზე.

მისი ყურადღება რომ მიეპყრო და საუბარი არ შეწყვეტილიყო, ესაძე იძულებული შეიქნა ტყუილი ეთქვა:

— მედალიონი, გულზე რომ გეკიდა, დედაშენს გადავეცი შესანახავად.

— რატომ? — გამომწვევად შეხედა გივიმ, — მედალიონი სხვისი ნაჩუქარია, ჩემთვის უნდა დაგებრუნებიათ. თქვენთვის ის მაინც არაფერში გამოსადეგი არ არის!

— შენთვის კი საჭირო იყო? დავიჯერო, მორწმუნე ხარ? ატყუებდი, ალბათ, ვიღაცას.

— არავის არ ვატყუებ მე, — ხმადაბლა, მაგრამ ბრაზიანად ჩაილაპარაკა პატიმარმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ესაძემ სიგარეტის კოლოფი ამოიღო ჯიბიდან და გააბოლა.

ჭაბუკი შეტოკდა, როგორც კი თამბაქოს სუნი იგრძნო.

— გინდა მოსწიო? — მიაწოდა ესაძემ და ასანთიც გადასცა.

ძელაშვილმა თითქმის გამოსტაცა ხელიდან კოლოფი და ხარბად დაეწაფა სიგარეტს. ერთი რომ ჩაათავა ბოლომდე, მაშინვე მეორეს მოუკიდა. ეტყობოდა, ძალიან დანატრებული იყო თამბაქოს. მაგრამ ახლა, როცა გული იჯერა, კმაყოფილება კი არა, ტანჯვა უფრო გამოჩნდა მის თვალებში. სახეც გაფითრებული და თითქოს დაბერებულიც ჰქონდა.

— არ გეძინა წუხელ? — ჰკითხა ესაძემ. — ისეთი ნატანჯი სახე გაქვს, მთვარეულს მაგონებ.

ძელაშვილმა ხელი ჩაიქნია.

— ალბათ, თბილად წოლას ხარ დაჩვეული და აქ კი...

— არა! — მოულოდნელად გაშმაგდა ძელაშვილი. — არ მჭირდება მე რბილი საწოლი!

— ნუ გავიწყდება სად იმყოფები, — წყნარად უთხრა ესაძემ, გულში კი გაიფიქრა: — თავხედია ვიღაც, ან იქნებ სულიერად დაავადებული...

— ვეღარ გავუძლებ ამ წამებას, — ისევ აბორგდა პატიმარი. — მომკალით ბარემ, ასე აჯობებს ჩემთვის!

ესაძე გაკვირვებით მიაჩერდა.

— შენთვის ის უფრო აჯობებს, რომ დაწყნარდე. ძალიან გაგივიდა თავს.

— მე ავადმყოფი ვარ, იცოდეთ ეს! — შესაბრალისად ამოიკვნესა ძელაშვილმა. — გაიგეთ, ავადმყოფი ვარ!

— რით ხარ დაავადებული? რით შემიძლია დაგეხმარო? ჰო, რაო?

— არ ღირს, მაინც უარს მეტყვით, — ხელი ჩაიქნია გივიმ.

— რა იცი, რომ უარს გეტყვი? ხომ უნდა გამაგებინო, რა გჭირს ისეთი?

— ჩემთვის აუცილებელია მორფინი... დიახ, მორფინი! დღეში სამჯერ, ოთხჯერ... გესმით, ოთხჯერ!

ამის გაგონება მოულოდნელი იყო ესაძისათვის.

— პატიმარი და ნარკოტიკი? ეგ შეუძლებელია! — ჩაილაპარაკა მან.

არ შეუხედავს ძელაშვილისთვის, მაგრამ გრძნობდა, როგორი სასოწარკვეთილებით შეჰყურებდნენ ამ წუთში მისი ამღვრეული თვალები. ერთხანს ჩუმად იჯდა, მერე მძიმედ წამოდგა და ოდნავ გასაგონად თქვა:

— კარგი, შევეცდები, ვთხოვ განყოფილების უფროსს და თუ ნება დამრთო, მაშინ...

ძელაშვილი უმალვე გამოცოცხლდა:

— ოღონდ მალე! ნუ დამიგვიანებთ! თქვენი ჭირიმე, ნუ დამიგვიანებთ! — ხმა დაეწია გამომძიებელს, როცა ის კამერიდან გადიოდა.

ძელაშვილი ჯერ კიდევ დაეჭვებული, თითქმის უიმედოდ იყო. მარტოდ დარჩენილი, კიდევ უფრო ნერვიულობდა და კუთხიდან კუთხეში მოუსვენრად მიმოდიოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ესაძემ კარები შემოაღო და როგორც კი დაინახა ძელაშვილის ფართოდ გაღებული თვალები, მიაძახა:

— დამშვიდდი, მალე მოგიტანენ ყველაფერს!

პირველად იყო, პატიმარმა მადლობითა და ნდობით მიაპყრო თვალები, მერე მოხსლეტით დაეშვა ფიცრულზე, სახე ორივე ხელით აიფარა და ატირდა. ტიროდა უხმოდ, მხოლოდ მხრები უთრთოდა.

— თქვენ არ იცით, რა აუტანელი წამებაა... რა თქმა უნდა, არ იცით... შეიძლება კიდევაც გაგიჟდეს კაცი... — აგერ როდის მოიწმინდა თვალები და თითქოს კიდევაც დამშვიდდა.

— დიდი ხანია შეეჩვიე? — რაღაც შეცოდება იგრძნობოდა ესაძის ხმაში.

— წელიწადია... ცოტა მეტი.

— შინაურებმა იცოდნენ?

— იცოდნენ.

— მერედა, არ გიშლიდნენ?

— უკვე გვიან იყო, როცა გაიგეს. ერთხელ შეუძლოდ რომ ვიყავი, სახლიდან ველარ გავედი, ძალიან გამიჭირდა და დედას გავანდე.

— გასაგებია. დედა შვილისთვის უფრო მახლობელია და უფრო ადვილადაც დაიყოლიებ. —

— ჰო, შეიძლება. ოღონდ, მართალი გითხრათ. დაახლოებული არც ერთთან არ ვყოფილვარ. მით უფრო მამასთან. ჩვენ მუდამ უცხო ვიყავით ერთიმეორესთვის.

— მკაცრი იყო? არ შეგისრულებდა ხოლმე, როცა რაიმეს სთხოვდი?

— წვრილმანი, ჩხირკედელა მოხუცია.

— აბა, სადაური მოხუციაო?! ორმოცდაათის თუ იქნება.

— განა ეგ ცოტაა? ორმოცდაათი, მეტი რაღა იქნება!

— რა სთხოვე, მაგალითად, ისეთი, რაც ძალიან გენატრებოდა და არ შეგისრულა?

— არ ვიცი, აღარ მახსოვს...

— გქონდა კი, საერთოდ, რაიმე სურვილი? ოცნებობდი რაიმეზე?

ძელაშვილმა ჯერ წაუყრუა. სიგარეტი გააბოლა.

— რა ვიცი, — ყრუდ თქვა ბოლოს, — ვნატრობდი ხან რას, ხან რას.

— მაგალითად, რას უფრო მეტად?

— მაგალითად..., — გივიმ ღრმა ნაფაზი დაარტყა. — მინდოდა შორი ნაოსნობის მეზღვაურად წასვლა.

— სადმე დარჩენას ხომ არ აპირებდი? — გაეღიმა ესაძეს.

— არა, სად უნდა დავრჩენილიყავი?!

— მაშ რატომ მაინცდამაინც შორეული ნაოსნობა ამოარჩიე.?

— მინდოდა ოკეანეები მომევლო. ვეშაპებზე მენადირა.

— მერედა რატომ არ წახვედი? მშობლებმა დაგიშალეს?

ძელაშვილი შეყოყმანდა.

– რა ვიცი, ვეღარ წავედი.

— მაინც რატომ?

— გემზე ბევრი სამუშაო აქვთ მეზღვაურებს. ბევრი და მძიმე.

— შენ კი გინდოდა, ისე, იოლად, შენთვის სასიამოვნოდ გეტარებინა დრო. ასეა, არა?

გივიმ არაფერი თქვა. დუმდა და აბოლებდა.

— აქ კიდევ დიდხანს გამაჩერებთ? — იკითხა ბოლოს.

— დღეს, ალბათ, ციხეში გადაგიყვანენ.

ძელაშვილი ერთხანს კიდევ ჩუმად იჯდა. თითქოს დაფიქრებულიც იყო.

— თავდებად რომ მამა დამიდგეს, გამიშვებთ? — გაუბედავად მიმართა გამომძიებელს.

— მაგას ვერ დაგპირდები, — თავი გააქნია ესაძემ.

— თქვენ თუ მოინდომებთ, ყველაფერი გაკეთდება, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ძელაშვილმა.

— ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს გამოსარკვევი.

— მაინც რა?

— თუნდაც ის, რომ არ გინდა გამოტყდე, რამდენი ხელისშემწყობი გყავდა.

— აკი გითხარით, მარტო ვიყავი.

ესაძემ უნდობლად შეავლო თვალი:

— ვერა ხარ შენ კარგი კაცი. ერთხელაც არ იკითხე, ცოცხალია თუ მოკვდა ის ბიჭი... ვხედავ, სულერთია ეს შენთვის.

ძელაშვილმა ახლაც წაუყრუა. დიდხანს იყო გაჩუმებული. ახალი სიგარეტი ამოიღო, ასანთი გაჰკრა. მაგრამ თითქოს დაავიწყდაო, თითებს შუა ეჭირა მანამდე, ვიდრე ცეცხლმა ხორცი არ მოწვა. მხოლოდ მაშინ უშვა ხელი და ღრმად ამოიოხრა:

— მე ერთი უბედური ვინმე ვარ... თქვენ არ იცით ეს.

# ფიქრები გზაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესკიზი

კახეთის გზატკეცილი, გზა გრძელი და დამქანცველი, შემხვედრი მანქანები და ხელაწეული მგზავრები, ავტობუსის შოფრებს რომ ეხვეწებიან წაგვიყვანეო, ქვიშნარი გორაკები, გომბორის დათოვლილი მთები, მინდვრები, ვენახები...

„რა მესაზღვრე გუშაგებივით გაჭიმულან ეს ალვები. დგანან და იცავენ... ვის? ყანებსა თუ მინდვრის ყვავილებს? თავს სწირავენ მათთვის, იცავენ ყველაზე საშინელი მტრისაგან — ქარისაგან. ხეები არიან და ჩემზე მეტი კი შეძლებიათ. მე რას ვაკეთებ? ერთი სწავლა მაბარია ჯერ და მასაც ვერ ვაბამ თავს წესიერად. არაფერში არ ვუქნივარ ღმერთს. ვითომ რაღაცეებსაც ვწერ. ნეტავი მეც ელიკოსავით ისევ მასწავლებელი ვყოფილიყავი. ბავშვები და მათთან მუშაობა მიყვარს და, მგონი, ამას უფრო გავართმევდი თავს“.

მიგუგუნებს ჩვენი ავტობუსი. უცებ უადგილო ადგილზე ჩერდება. მოხდა რამე? შოფერი კაბინის არს აღებს, დაბლა ჩადის და ვხედავ — წელში მოხრილი ბერიკაცი ამოჰყავს ავტობუსში. ამოსვლაში შველის მოხუცს, ადგილს უძებნის და მერე ისევ საჭეს უბრუნდება. რა კარგი კაცი ყოფილა, კეთილი. პირველად რომ შევხედე, სულ სხვაგვარი მეჩვენა — უხეში და უკმეხი. მაპატიე, კარგო კაცო, რომ თუგინდ გულშიც კი გავივლე ასეთი აზრი. აგერ, ერთ ავადმყოფ ბიჭს სულ არ გამოართვა ფული, არ მინდა, წადიო. ბიჭი გაკვირვებული, რაღაცნაირი ავადმყოფური თვალებით მისჩერებოდა, ბოლოს საცოდავად მოიხარა წელში და ჩავიდა. შოფერმა ნაღველნარევი მზერა გააყოლა და დაძრა ავტობუსი.

მგზავრებით გაჭედილი ავტობუსი კი მიდის თავისი გზით. მიდის და თან მიაქვს მდუმარე მგზავრების ფიქრები, მათი გულისთქმანი. ზოგჯერ ჩვენი შოფერი თუ მიესალმება ხელის აწევით შემხვედრი ავტობუსის შოფერს. მიდის ავტობუსი მაღალი, შეყვითლებული ხეების ტევრში. გორაკებზე ნაძვის პატარა ნარგავები შეფენილან. მხოლოდ მათღა შემორჩენიათ სიმწვანე კახეთის მიწაზე. ეს ყველაფერი მოჰქრის ჩვენსკენ და ისევ მალე გვშორდება. აი, გზის პირას გდია კანდაკოჟრებული ბებერი მუხა, ვიღაც ბოროტი კაცის ხელით მოჭრილი. იმ მუხის ძმა თუ მეზობელი კი გადარჩენილა, მის გვერდით მდგარი, მასავით დაგრეხილი და ძარღვებდაბერილი.

ვაი, როგორ მოხრილხარ წელში, შე საწყალო, შენა! მიწა გიხმობს განა თავისკენ, უნდა რომ ჩაგიკრას გულში და თავისი ბებერი ხელით მოგეფეროს. შენ წაგიყვანს, შენს ადგილზე სხვას გაახარებს — შენსავე შვილებს, შვილიშვილებს, მათაც გაზრდის, დაავაჟკაცებს. ასე ყოფილა ამ სოფლის კანონი. „იგი წავა და სხვა მოვაო“, ასე არა თქვა რუსთაველმა?

ისევ ელიკო მახსენდება... ჩემთან რა შესადარებელია. ელიკო ჭკვიანი გოგოა. მას გულის სწორიც ჰყავს და მასზე ფიქრობს. როგორ უყვარს, რა სუფთაა და გულუბრყვილო მისი ფიქრები! როგორ ამბობს ხოლმე: „რა იქნება, ჩემი რომ იყოს? არა, ჩემი კი არა, ვგრძნობდე, რომ ის მეორე ოთახში მუშაობს და მე კი აქეთ ვარ. ის მუშაობდეს, აი ისე, როგორც ხანდახან იცის ხოლმე — წვერგაუპარსავი, ხალათჩამოჩაჩული... მეტი არ მინდა არაფერი, მის სუნთქვას ვგრძნობდე ახლოს“... ელიკო ამბობს ბაიყუში ვარო, პირიქით კი არის.

მე კი არც კი ვიცი, თუ შემიყვარდება ვინმე. ზოგის სიცილზე ვოცნებობ, ზოგის ღიმილზე, ზოგის სიარულზე.

ვიცოდე მაინც ეს მზე რაღას მეთამაშება. პატარა ბავშვივით მემალება. ხან ჩემს მარჯვნივ არის, ხან მარცხნივ. ხან თეთრ ღრუბლებში შეიმალება, ხან ზამთრისთვის უჩვეულო სითბოს შემომაფრქვევს. ეჰ, კარგია, მეც შენსავით უდარდელი რომ ვიყო. თუმცა რა, ალბათ, შენც გექნება შენი წილი დარდი!

ვუახლოვდები ნინოწმინდას. ეს სოფელი სახელის გულისთვის მომწონს... აი, პატარძეულიც. ეს კი მართლა პატარძალივითაა, განსაკუთრებით გაზაფხულზე. ნუშები და ტყემლები თეთრ ფიფქებად გაყრიან ყვავილებს. დაძარღვულ ხელს გიქნევს ლეონიძის ეზოში მდგარი ბებერი ნუშიც. ატმები კი, ლაწვებშეფაკლულნი, მორცხვად გიღიმიან, თავისკენ გიხმობენ საალერსოდ. ზამთარში კი თეთრ სამოსში გახვეულს რომ იხილავ, ისღა დაგრჩენია, თავი დახარო ამ სილამაზის წინ. მიყვარს პატარძეული იმიტომ, რომ იგი დიდბუნებოვანი, სულით გოლიათი კაცის გამზრდელია. მე ის კაცი განუზომელი სიყვარულით მიყვარს, მისი ლექსები სისხლად დუღს, მისი ტკბილი, გუგუნა ქართული სიცოცხლეს მიხალისებს, სიხარულს მმატებს. ეს მისი სოფელია. აი, ვაჟას სოფელი კი არ მინახავს. ამის გამხელა სირცხვილიც კი არის, მაგრამ მე ხომ ახლა მხოლოდ საკუთარ თავს, ფოთლებგაცლილ ხეებს და გადახნულ მინდვრებს ვესაუბრები.

აგერ დამშრალი და თითქმის ქვიშადქცეული იორიც. მებრალება, რა საცოდავად გამოიყურება იგი ამ დროს — დაჩივებულა და ვანიერ ნაკადულებად ქცეულა.

ვუახლოვდები თბილისს, ამ მართლაცდა მუდამ მზით სავსე ქალაქს. გზაში მზე ათასში ერთხელ თუ გამოიჭვრიტებოდა ღრუბლებიდან, აქ კი თბილისი მზით და სითბოთი გვეგებება. ახლა ვიგრძენი, რომ დამენაღვლა ყველასი — პაპასი, რომ ვერ დავემშვიდობე, დედასი — თეთრი ძაფები აბლაბუდასავით რომ გაბმია თმაში, და ჩემი მუდამ მოუსვენარი ბებიისა. როგორ წუხდა საწყალი, ავტობუსი რომ იგვიანებდა. დედაჩემი კი, როგორც ყოველთვის, ჩუმად იყურებოდა გზისკენ. ყოველთვის ვამაყობ დედაჩემით და ვოცნებობ მეც ისეთივე ვიყო, როგორც ქალი და როგორც დედა. ახლაც რომ მაცილებდა, რამდენ რამეს ამბობდნენ მისი თვალები. სიტყვით კი მხოლოდ ეს მითხრა: შენ იცი, შვილო, იმედია, არ შემარცხვენო. ბებიაჩემს კი რა ჰქონდა სათქმელი, ყოველ სამ დღეში თბილისშია. ცოტა თუ შეაგვიანდა, მთელი ეზო კითხულობს, ბებია რატომ არ ჩამოვიდა, რატომ დაგვივიწყაო. ბებიაჩემი ნამდვილი მსახიობია, დროზე რომ მიექციათ ყურადღება, მეორე ცეცილია თაყაიშვილი იქნებოდა. რა ვუყოთ, ასეც კარგი ბებიაა!

ძალიან ხშირად ვარ ფიქრებით დედაჩემთან. მინდა ყველაფერში მას მივბაძო. ვიყო მასავით დარბაისელი, წყნარი, ზომიერად მკაცრი, თავმდაბალი, კეთილი. მგონია შევძლო.

ო, უკვე მოვსულვარ თბილისში. ჩემი მომავალი მსახიობი ძამიკო ახლა არ მომელის. ექვს საათზე ჩამოსასვლელი — ოთხზე ჩამოვედი. იქნებ მივასწრო სახლში. თორემ თუ გამომასწრო, გაიყინება ლოდინში.

ავტობუსი გაჩერდა. რა ვქნა, არ ვიცი, ვერ ვიხვენებ. შოფერს მინდა ვკითხო გვარი და სახელი. რატომღაც ვერ გავბედე, ისე კი წამოსვლისას თვალებში ჩახედვა მაინც მოვახერხე. კეთილი თვალები ჰქონდა, ნუმც დალეოდეს საქართველოს კარგი ადამიანები!

სხვა დროსაც მიმგზავრია კახეთში, მაგრამ ეს უფრო ლამაზი და რაღაცით კარგი იყო. არ ვიცი, რატომ მომეჩვენა ასე. ძველი წელი უკვე მიდიოდა. იქნებ ეს მგზავრობა მანიშნებელი იყო ახალი წლის მოულოდნელი ამბებისა, ჩემთვის უჩვეულო ამბების, სიხარულისა, მაგრამ ახალი წელი რას მიშველის, მე თვითონ თუ მეტი არ მოვთხოვე საკუთარ თავს.

„ღმერთმა ქნას!“ — იდუმალმა ხმამ მიპასუხა და ეს ისევ მე ვიყავი...

ლირა მოსეშვილი

## ათი წელი, მეასე ნომერი

წელს, აპრილის თვეში „საქართველოს ბუნებას“ თავისი არსებობის ათი წელი უსრულდება; ამ თარიღს ემთხვევა ჟურნალის მე-100 ნომრის გამოსვლა. განვლილი წლების მანძილზე ჟურნალმა მოიხვეჭა მკითხველი საზოგადოებრიობის ულრმესი სიყვარული; ეს ჟურნალი არის ნამდვილი გუშაგი ჩვენი ხალხის ფასდაუდებელი სიმდიდრისა — საქართველოს თვალწარმტაცი და უხვი ბუნებისა.

ჟურნალ „დროშის“ რედაქცია სულითა და გულით მიესალმება იუბილარს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს მთელ მის კოლექტივს. დაე, „საქართველოს ბუნება“ კვლავაც ერთგულად ემსახუროს ჩვენი ეროვნული სიმდიდრის — საქართველოს ფაუნისა და ფლორის დაცვისა და გამრავლების კეთილშობილურ საქმეს.



სურათზე: „საქართველოს ბუნების“ ცალკეული ნომრების გარეკანი.

# მოზაიკა



## როგორ კლავენ პრეზიდენტებს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებზე თავდასხმების ისტორია საოცრად ჭრელია. თავდასხმა სულ რვაჯერ მოხდა, აქედან ოთხი თავდასხმა პრეზიდენტის მოკვლით დამთავრდა. ჯონ კენედი ამერიკის პირველი პრეზიდენტი როდი იყო, რომელიც მკვლელთა თავდასხმის მსხვერპლი გახდა. 1865 წელს მსახიობმა ჯონ ბუტმა ფორდის თეატრში მოკლა პრეზიდენტი აბრამ ლინკოლნი. დამსწრენი იმდენად ალაშფოთა ამ ამბავმა, რომ ადგილზევე გაუსწორდნენ მკვლელს.

1881 წელს პრეზიდენტი ჯეიმს ჰარფილდი შვებულებაში მიემგზავრებოდა, მაგრამ სადგურის ბაქანზე ტყვიით განგმირა უმუშევარმა გუიტმა. მკვლელი ჩამოახრჩვეს.

1901 წელს, ქალაქ ბუფალოში, ერთ-ერთი დიდი მიღების დროს პრეზიდენტ უილიამ მაკლინთან მივიდა ფანატიკოსი ანარქისტი ჩალგოში. მან პრეზიდენტს ესროლა იმ მომენტში, როცა ამ უკანასკნელმა ჩალგოშს ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. მკვლელმა სიცოცხლე ელექტრონის სკამზე დაასრულა.



## ვინც ყველაზე ლამაზია

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველ წელს დიდი ხმაურით ტარდება კონკურსები მსოფლიო, სრულიად ამერიკის, ცალკეული შტატების და, ზოგჯერ, ცალკეული ქალაქის სილამაზის დედოფლის სახელის მოსაპოვებლად. ამ კონკურსების მომწყობნი დიდძალ ფულს შოულობენ თავიანთი თანამემამულე ქალიშვილთა ტურფა შეხედულების და ლამაზი ფეხების წყალობით. ვინლა არ მისდევს ამ შემოსავლიან საქმეს. სილამაზის დედოფალს ყოველწლიურად ირჩევენ ლუდსახდელი ქარხნების მეპატრონენი, ყველისა და დაკონსერვებული თევზის მწარმოებელი კომპანიები, რკინიგზის, ავტობუსების, სიგარეტების, საპნისა და სხვა კონცერნები. კონკურსში გამარჯვებული ლამაზი ქალიშვილების პორტრეტები უმალვე გამოჩნდება ხოლმე საქონლის ეტიკეტებზე და სხვადასხვა სარეკლამო გამოცემებზე. თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში ანტრაქტის დროს სილამაზის დედოფლებს ახეირნებენ სცენაზე, ისინი გამოჰყავთ რესტორნებისა და კაფეების ესტრადებზე.

ყველაფერი ეს კეთდება არა იმიტომ, რომ მნახველები აღაფრთოვანონ ქალწულთა სიტურფით; არა, მთელი ამ ინსცენირების მიზანი მხოლოდ რეკლამაა და მეტი არაფერი. სანახაობას დახარბებული ამერიკელები სილამაზის დედოფლის ნახვის სურვილით უფრო ხშირად ივლიან რესტორნებში ან საკონცერტო დარბაზებში და დალევენ მეტ „რეინგოლდს“, მოსწევენ მეტ „ლაკი სტრაიკს“.



## თუ ავად ხართ, შეატყობინეთ პოლიციას

ხშირად ამერიკელები ღამით იძახებენ პოლიციას, რომელსაც ავადმყოფი საავადმყოფოში მიჰყავს. რატომ მიმართავს ავადმყოფი პოლიციას და არა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პოლიციის განკარგულებაშია ტრანსპორტი, რომლითაც ავადმყოფს შეუძლია საავადმყოფოში მივიდეს, ხოლო მეორე — იმიტომ, რომ პოლიციის გამოძახება უფასოა.

ღატაკი ამერიკელი ქალები, რომლებსაც საშუალება არა აქვთ საავადმყოფოს ხარჯები გადაიხადონ, როცა მშობიარობის მოახლოებას იგრძნობენ, პოლიციას იძახებენ. ადგილზე მისულ წესრიგის დამცველს ხშირად სხვა აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ ქალი მოამშობიაროს. ასეთი შემთხვევები უკანასკნელ ხანებში ისე გახშირდა, რომ პოლიციის სკოლებში მეანობის სპეციალური კურსები შემოიღეს.

მართალია, ამერიკის შეერთებულ შტატებში არის ფედერალური ხელისუფლების საავადმყოფოები, სადაც მკურნალობა უფასოა, მაგრამ ის, ვინც ერთხელ მაინც ისარგებლა ამ უფასო მკურნალობით, მეორეჯერ ველარ ბედავს ასეთი ექსპერიმენტის გამეორებას. იმისათვის, რომ ასეთ საავადმყოფოში მოხვდე, არაფერი არ უნდა გაგაჩნდეს: არც ქონება, არც ჯანმრთელობა, არც დანაზოგი თანხა, არც სამუშაო. ასეთი საავადმყოფოები ყოველთვის გადატვირთულია და ადგილის შოვნა, თვით პოლიციის დახმარებითაც კი, ძალიან ძნელია.



## ტკბილი და მწარე

როგორც კარგად არის ცნობილი, მაოს ჯგუფის პოლიტიკამ დააქვეითა ჩინეთის ეკონომიკა და დიდად დაბლა დასწია მოსახლეობის ცხოვრების დონე. უკანასკნელ ხანებში ჩინეთის პრესამ და რადიომ ახალი „პროპაგანდისტული“ კომპანია გააჩაღეს. რადიოში და გაზეთების ფურცლებზე ხშირად იბეჭდება წერილები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ შინ სტუმრების მიპატიჟება და მათთვის სადილების გამართვა — „გამფლანგველობა და ეგოიზმია“.

ამ ახალი წამოწყების სფეროში ყველას გადააჭარბა გაზეთმა „გუანმინ ჟიბაომ“, რომელმაც გამოაქვეყნა ხენანის პროვინციიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია. გაზეთი ქება-დიდებას ასხამს ფანის მაზრის „რევკომის“ გადაწყვეტილებას, რომელიც მოსახლეობას რჩევას აძლევს, დაამზადონ კერძები ველური მწარე ბალახების ფოთლებისა და ძირებისაგან, „რათა უფრო უკეთ შეიგრძნონ ახლანდელი ცხოვრების მთელი სიტკბო“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყველაზე უებარი წამალი

„მთელ მსოფლიოში უძილობა არავის ისე არ აწუხებს, როგორც ჩვენს ხალხს. ამერიკელთა 52 პროცენტს არ შეუძლია დაიძინოს ძილისმომგვრელი ტაბლეტების დაუხმარებლად“, ირწმუნება ცნობილი ამერიკელი ნევროპათოლოგი ბროკ ბრაუერი. გასულ წელს ამერიკაში გაიყიდა 13 მილიარდი ძილისმომგვრელი ტაბლეტი, ე. ი. საშუალოდ 70 ცალი თითოეულ სულ მოსახლეზე.

რით არის გამოწვეული ეს უძილობა? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია. მიუხედავად ამისა, რამდენიმე მთავარი მიზეზი მაინც შეიძლება დავასახელოთ: ცხადია, უძილობით იტანჯება ადამიანი, როცა იგი საღამოს საწოლში წვება ხვალინდელი დღისადმი შიშის გრძნობით, როცა ქალაქის მერი ყოველდღე რადიოთი გაჰყვირის, რომ საჭიროა სასწრაფოდააგონ თავშესაფარი ატომური ბომბისაგან თავდასაცავად.

უძილობასთან ბრძოლის მიზნით ათასგვარ საშუალებას მიმართავენ: აფთიაქში ამერიკელს შეუძლია შეიძინოს „ძილის ნიღაბი“, ძილისმომგვრელი ბალიშები, თვალსაფრები, დამამშვიდებელი წამლები, ძილისმომგვრელი აბაზანის მოწყობილობა, ძილისმომგვრელი მუსიკის ჩანაწერები, მთქნარების მომგვრელი ნილბები და ა. შ.

ფირმა „აკვარესტ კომპანია“ მასობრივი გამოშვებისათვის ამზადებს სპეციალურ საძილე კამერებს განსაზღვრული წნევითა და ბიოქიმიური გარემოთი; მაგრამ თურმე თვითონ ფირმის დირექტორი არ იყენებს ამ კამერებს — არა აქვს მისი იმედი.

ერთი სიტყვით, აღარც წამლებმა გასჭრეს, აღარც ტაბლეტებმა, და აი უძილობით დატანჯული მოქალაქენი, როგორც მამაკაცები, ისე ქალებიც. მიმართავენ ყველაზე ძველ და ყველაზე უებარ დასაძინებელ წამალს — ერთი ჭიქა ღვინო, ან ვისკი ძილის წინ!

მოზაიკა

# ღიმილი

## როგორ ვიშოვე საგზური

ღამე თეთრად გავათენე, ნახაზები დილისთვის მზად მქონდა. მოულოდნელად სტუმრები დამადგნენ თავს, სოფლიდან დიდი ხნის უნახავი ნათესავები ჩამოვიდნენ. მაშინვე ტელეფონს ვეცი, ჩემი უფროსისათვის სულ რვა-სიტყვა უნდა მეთქვა: „ბატონო კაკო, სტუმრები მყავს და ნახაზებს დღეს ვერ მოგიტანთ“.

დავიწყე ნომრების აკრეფა, აპარატმა პირველად მეორე ციფრზე გამაწყვეტინა, მერე მესამეზე, მერე მეოთხეზე, მერე ისევ მეორეზე და ა. შ. დაუსრულებლად.

სტუმრები დგანან და მიცქერიან.

უცებ გამახსენდა, რომ ჩემი სახლის წინ ავტომატი დგას, მასკენ გავეშური. ჩავაგდე ორკაპიკიანი ხვრელში — თითქოს ყველაფერი რიგზეა, ნომრები ავკრიფე. მოსდა სასწაული, ვიღაცამ ყურმილი აიღო: ალო, გისმენ! მე პირის გაღება ვერ მოვასწარი: „ჩხიკ“ და უკვე აღარაფერი არ ისმის.

ხელახლა ვიღებ ყურმილს, ხელახლა ვაგდებ ორკაპიკიანს, ზუმერია. ნომრებს ვკრეფ. იგივე ხმა: ალო, გისმენთ. „ბატონო კაკო“... ეს კი მოვასწარი და მერე ისევ გაისმა საბედისწერო „ჩხიკ“.

შესახვლელის მეორე მხარეს სხვა აპარატი დგას. ახლა მასთან გადავინაცვლე. ორკაპიკიანი. ყურმილი. ნომრები. ზარი. პასუხი, „ბატონო კაკო“... და ისევ „ჩხიკ“.

გავწირე ჩემი სტუმრები და გადავწყვიტე ავტობუსით შემომევლო რამდენიმე უბანი, სადაც სხვა ტელეფონები მეგულებოდა. ჩამოვედი საჭირო გაჩერებაზე. მივუახლოვდი ტელეფონის ჯიხურს და მუხლები მომეკვეთა: საცოდავ ტელეფონზე ნახევარი ყურმილიღა ეკიდა. დავჯექი ისევ ავტობუსზე. მაგრამ სახლისაკენ არ წამოვსულვარ.

— ბატონო კაკო, — ვეუბნები კარიდანვე ჩემსკენ წამოსულ მასპინძელს, მის აბეზარ ბიჭუნას კი ფილა შოკოლადს ვაწვდი (უამისოდ ამ ყაჩაღთან ვერ გამოჩნდებით), — ბატონო კაკო, მე სახლში სტუმრები მყავს და ამის გამო ნახაზებს ვერ მოგიტანთ.

— საიდან მოდიხარ, კაცო?! — მეკითხება გაოცებული უფროსი.

— შინიდან, ბატონო. მთელი ღამე გავათენე და ნახაზები მზადა მაქვს.

— მერე, შე კაცო, ნახაზები ვერ წამოიღე?! — მეუბნება გაოცებული უფროსი და თან რაღაც ეჭვით მიყურებს, ხომ არ შეიშალაო.

ვცდილობ თავი ვიმართლო.

— მე სულ რვა სიტყვა მინდოდა მეთქვა.

უფროსი სიბრალულით შემომცქერის:

— მეტისმეტი ვიცით, — ამბობს იგი, — თავს არ ვუფრთხილდებით... რამდენჯერ გითხარი, მოგცემთ საგზურს და წადი ერთი თვით ლიკანში, შე კაცო!

მართალი გითხრათ, ფრიად გამეხარდა. საგზური ძალიან მინდოდა, მაგრამ ვერ ვბედავდი მეთხოვა უფროსისათვის, საჩქარო სამუშაოები გვქონდა.

ერთი სიტყვით, თბილისის სატელეფონო ქსელის მუშაკებისათვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

**შალვა გოგოლაძე**

## ჩემი დობილი ციცინო

დაწესებულებაში, გვერდიგვერდს რომ ზიხარ ადამიანთან, ისე უახლოვდები, თითქოს შინაური იყოს. მეც და შინაბერა ციცინოც ასე ვიყავით. ის ჩემი გულითადი დობილი გახდა.

საერთოდ ასეთი ხასიათი მაქვს: ვინც გამიცვნია, ნათესავად მქცევია, მით უფრო, თუ მის ოჯახში პური გამიტეხავს, იმ დღიდან მარადის განუყრელ მოყვარედ ჩამითვლია, ახლობელი და შორეული ნათესავი ერთიმეორისაგან არ გამირჩევია, მეგობრის მეგობარიც კი გულითად ძმად მიმიღია.

სამწუხაროდ, დობილი ზარმაცი გამომადგა; დაწესებულებაში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, თხუთმეტი თანამშრომელია. ყველანი დროზე ცხადდებიან სამსახურში, გარდა ციცინოსი. ციცინო ხან დღის თერთმეტზე, ხანაც თორმეტზე მოდის სამუშაოზე სრულიად არხეინად.

დაწესებულების უაღრესად კეთილშობილმა ხელმძღვანელმა ვერავითარი ზეგავლენა ვერ მოახდინა მასზე; ციცინოს გამოსწორებას კი საშველი არ დაადგა. მისივე მოხუცი დედა თუ არ გამოაღვიძებს, შეიძლება ეძინოს ნაშუადღემდე. წარმოიდგინეთ, ის საცოდავი დედაბერი ხანდახან გასწევს ბაზრისაკენ და დაავიწყდება ხოლმე, რომ შვილი ჰყავს გამოსაღვიძებელი.

კაცმა რომ თქვას, რა ჩემი საქმეა ყოველივე ეს, რაზე ვიმტვრევ ამ ჩემს საცოდავ თავს, ან რად უნდა მაწუხებდეს ციცინოს გულგრილობა სამსახურისადმი.

დიახ, მე რას დავეძებ, მითუმეტეს, რომ ციცინო სამსახურში გაცდენილ დროს თურმე უსარგებლოდ როდი ჰფლანგავს, თავის თავზე მუშაობს.

როცა ინებებს და სამსახურში მობრძანდება, ხშირად მხოლოდ მე ვარ მისი ერთადერთი დამხვდური. დანარჩენები კარგა ხნის გასულნი არიან და თავიანთ ობიექტებზე იმყოფებიან. მოვა ციცინო, ამოიღებს უჯრიდან სარკეს, მიაყუდებს კედელზე და უმალვე შიგ მოთავსდება. უყურებ და ამჩნევ, რა მშვენივრად ჩასახლებულა შიგ და ნათლად ხედავ, თავის თავზე თუ რამდენი უნდა იმუშაოს, რათა განერიდოს ყოველგვარ მიწიერ უმსგავსობას და ჰაეროვან ქმნილებად იქცეს.

ერთხელ ამ საქმით რომ იყო გართული, შევბედე და ვუთხარი:

— ციცინო, ასე კვირაში ერთხელ რომ შემოიხედავ ხოლმე სამსახურში, ვთქვათ სადმე გადაიტანეს ჩვენი კანტორა. რა გეშველება, მისამართი რომ არ გეცოდინება? ციცინომ ირონიულად გადმომხედა და მითხრა:

— ვაი შენს პატრონს უბედურს!

ვერაფერი ვუპასუხე, თავი მივანებე და ჩემს საქმეს შევუდექი.

მერე, დრო რომ გავიდა, ციცინომ, გალამაზების მიზნით, ბიჭურად დაიყენა თმა. ამაზე არაფერი ვუთხარი, მაგრამ როცა ერთ დღეს თავი სამართებლით გადაიპარსა, მაშინ კი ვერ მოვითმინე და ვუსაყვედურე. მან მიპასუხა, რომ ასევე მოქცეულა ულამაზესი ჯენი ჰემფორდი, რომელიც თურმე ვალპარაისოში ცხოვრობს.

ერთხელ ციცინო გვერდით მომდევდა და ვიღაც გამვლელმა თქვა:

— ღმერთო ჩემო, ამ კაცს სახე როგორ ქალივით უელავს...

მეორემ უპასუხა: — რას ამბობ, კაცური კაცია, ბიჭობაც მაგან დაიკვეხოს!

ციცინოს ადრე მშვენიერი ცხვირი ჰქონდა, ნაბოძები ღვთის მიერ. ერთ დღეს აღარ მოეწონა თავისი ცხვირი. რა უშნო, რამ არის, აბა, ასეთი ცხვირი ადამიანმა რაში უნდა გამოიყენოსო; ადგა და დაიმოკლა ცხვირი. მე ვუთხარი — ციცინო მაგ ცხვირის ნაცვლად, ენა რომ დაგემოკლებინა, ის აჯობებდა-მეთქი.

ახლა კი ნამდვილად შემომწყრა ციცინო და ხმას აღარ მცემს. ამით დამთავრდა ჩვენი და-ძმობა.

**პ. შიხაშვილი**

გარეკანის პირველ გვერდზე: ვ. ი. ლენინი, ნახატი უჩა ჯაფარიძისა.
მეოთხე გვერდზე: ჩვენს მთიანეთში. ფოტო ო. თურქიასი.


მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 10/II-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/III-69 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 3
პირობით ნაბეჭდი ფურცელი 4,2. ტირაჟი 43.700. შეკვ. № 771. უე 02100.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина. 14.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზერმუხა მთათუშეთში. ფოტო ბ. დადვაძისა.

ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა

